



საბჭოთა ხელოვნება

6
1937

ნ ო მ ე რ უ ნ ი

თბილისის საქალაქო საბჭოს რუსთაველის
საიუბილეო საზეიმო პლენუმის მიმართვა
ხალხთა ბელადს დიდ სტალინს 3

პრავდის მოწინავე. საბჭოთა კულტურის
დიადი დღესასწაული. 9

პ. ინგოროყვა. შოთა რუსთაველი
და მისი პოემა 11

ი. აბულაძე. შოთა რუსთაველი 41

დ. ჯანელიძე. რუსთაველი და „ვეფხის-
ტყაოსანი“ თეატრსა და დრამატურგია-
ში. 56

კ. ბობოქაძე „ვეფხის-ტყაოსნის“ ეკრანიზა-
ციის შესახებ. 73

სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის V
პლენუმი. 79

ჩ ა ნ ა რ თ ი

შოთა რუსთაველი — (ორი ფერი)
გავრცელებული სურათი

პ ო რ ტ რ ე ტ ე ბ ი

შოთა რუსთაველი ქანდაკება
კ. მერაბიშვილისა

შოთა რუსთაველი ფერწერა
უ. ჯაფარიძისა

შოთა რუსთაველი ფერწერა
კ. კიკნაძისა

შოთა რუსთაველი ნახატი
ა. ჩხაიძისა

ყ და ზ ე

შოთა რუსთაველი (ორი ფერი)
ქანდაკება ი. ნიკოლაძისა

ტექრედაქტორი—

ბ. იაშვილი



კორექტორი—

შ. ბერიძე

მეტრანაჰაყი—

თ. გველესიანი

ილუსტრაცია დამზადდა სახელგამის ცინკოგრაფიაში. ცინკოგრაფები—

ბ. ნ. გოგიჩაიშვილი

კ. მ. ალექსნო

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის
პროსპ. № 21, ტელეფონი 3-09-64.

მიღება ყოველდღე, გარდა გამოსასვლელ დღეებისა, 2-დან 5 საათამდე.

თბილისი. გამოცემის მესამე წელი. 5¹/₂ ბეჭდვითი
ფურცელი. მასალების ჩაბარება 20/XII-37 წ.

ხელმოწერილია 2/II-38 წ. შეკვეთა № 48.

ტირაჟი 2500. მთავლიტი 3448.

პარტგამომცემლობის სტამბა. თბილისი.

ორჯონიკიძის ქუჩა № 50.

Хсабчота № 6
Хеловнеба

Журнал литературоведения и искусства

Орган Управления по делам искусств
при СНК ССР Грузии

1937 წ. ს. კ. ბერიძის 4-5 ნაბეჭ.



საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხელოვნება


ხელოვნებისა და ლიტერატურის მინისტრის განკარგულებაში.

სსსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკის
სამხარეთეთვის მუშაკთა კავშირი, თბილისი.

პანკინის მუშაკთა კავშირი, თბილისი
პანკინის მუშაკთა კავშირი, თბილისი.

2014

№ 6
1937



ხალხთა ბელადს — დიდ სჯალისს

საუკუნეთა წყვილიადი რუსთველმა გადაანათა,
 მზე, გულზე დაშუქებული, ბრძოლაში გვეუხარადა!
 ოქროა კერას ნაღები, სიმღერა კარის კარადა,
 მის ლექსით გული დამაგრდა, სიცოცხლე გავეიხალეთა!

ათასობით და ასობით ეს წიგნი იწერებოდა,
 მის გადამწერელს, ამკინძელს ხან ცრემლი ჰქონდა წებოდა.
 ქალღმის მზითვეს ამკობდა, გამზრდელად თან მიჰყვებოდა.
 ომში გვირ ვეჯეცს უძლოდა, ტყვიის წინ ემღერებოდა!

ვერ გადახვია სიკვდილმა თავის ჩონჩხარა მკლავები,
 შოთამ ახარა სამშობლო სიცოცხლით და უკვდავებით...
 ბევრჯერ ვეჯეცით დიდ ქირში, სიკვდილის ქსელში გავებით,
 მაგრამ გულს გვიქვიტკირებდა რუსთველის ლექსის ტავები!

ხალხს ბევრი ჰყავდა მტარვალი, ომით რომ ვერა ძღებოდა,
 ხალხს უბნელებდნენ მზეს, მაგრამ მზედ შოთა მიუძღებოდა,
 „მართ ვითა ლალსა მზისაგან მას ფერი ეხარდებოდა“,
 მისი ბრწყინვალე ნათელი მტერი შეგზნელი კრთებოდა!

და წიგნი „ვეფხისტყაოსნის“ — სამშობლოს დიდი, სახელი —
 არის სიმღერა ხალხისა, ხალხთა საბრძოლო ძახილი!
 ხალხის ერთობის, გმირობის, მხნეობის გამომსახველი...
 ამოსაფხენელად უნდოდით, თვით გახდნენ ამოსაფხენელი!

ცეცხლში სწვავდნენ და ჰგლეჯავდნენ, სდევნიდნენ ჩინგისხანები!
 ხონთქარ-ყეინი-ნოინი, მონგოლ-სპარსელი ხანები;
 კვლავ ცელესია ებრძოდა, კითხვა აკრძალა ბრძანებით,
 რომ არ ჰქონოდა ხალხს წიგნი — იმედის ამამწვანები!

მაგრამ ვერ მოსპეს სიმღერა მკლავ-ფიტხელ-გულმავრობისა,
 წიგნი დიდ სიყვარულისა, ვეჯეცურ მეგობრობისა;
 გადაშენდნენ და დაიწვენენ მსურველნი მის ჩაქრობისა,
 რუსთაველს შერჩა მზეობა და სიჯაბუჯე ორბისა...

შოთა არ იყო მსახური ფარისევლური ტაძრისა,
 იმას ებრძოდა ძლიერად, ვინც ხალხი იუკადრისა...
 უყვარდა ადამიანი, თავისუფლება აზრისა;
 ვერც მტერმა მწარედ მდევნელმა, ვერც შვილას წელმა გასრისა!

და სიტყვა ციციკლის დამბერი, სიმღერა დამადნობელი,
ხალხმა ატარა გულითა, ის იყო მისი მკობელი...
ვარდი დაქენება, ზაფხულიც, ის რჩება დაუქნობელი;
გამარჯვებულმა დასძლია სიკვდილი დაუნდობელი!

ხალხმა თავის თავს ამგავსა, სიტყვა სთქვა რა დიდებულად:
„შეე ხეობაში მრისხანედ ვეფხე-ლომნი წაქიდებულან,
ვეფხი სცემს, ლომი უფარებს, ერთ-ერთზე გამწარებულან,
იმათ შუაში ტარიელ გმირობით გახელუებულა!“

რა ძლიერებით ისმოდა წიგნის ხმა ათასხმიანი:
შრაშის და ნიჭის მიხედვით ცხოვრობდეს ადამიანი!
გულს ახალ ცეცხლით აფეთქებს, თუმც ძველი ამბავი არი...
მისა და სიბრძნის ჩანჩქერი მოსჩქეფს დიდების გრიალით!

წარვიდნენ საუკუნენი— დღე დამის გამომცველია,
შვება „მოგვეცა, მოგვეშორდა ყოველი ჭირი ძნელია:
მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია,
ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გძელია!“

დიდ ოქტომბრისგან მიიღო სამშობლომ აღორძინება,
ძალა და შემოქმედება, ამ ძალის გამოვლინება;
აჩქედდა დიდი ნაკადი, მისი უწყვეტი დინება:
ხალხს, ბრძოლით გამოღვიძებულს არასდროს დაეძინება!

ქართულ კულტურის დიდება, დღემდის რომ იყო ფარული,
წარსულის დიდი ძეგლები, უწყალოდ გადამაღული,
ბედნიერ ხალხმა მიიღო პატივით და სიყვარულით,
შეკინდა გადახეული, ამთელა გამომზარული!

საბჭოთა ქართველი ხალხი ძველ დიდ სიმდიდრის მქონები,
გულმოდინებით ითვისებს, რაც ნაღვაწია გონების,
ასრულდა შოთას სიტყვები საქვეყნოდ გასაგონები:
„მიღვეწიან, მომიგონებენ, დამოცვენ, მოვეგონები!“

შენ გვასწავლე, დიდო სტალინ, ამ სიმდიდრის დაფასება,
მივიღოთ და შევინაზოთ, რასაც ხსოვნა შეერგება,
რასაც ჰქმნიდა საქართველოს სახელოვან კაცთა კრება,
შენ გვასწავლე შენახვისთან მისი სწორი მოხმარება...

ვიცი, სტალინ, როგორ გიყვარს შოთას წიგნი დიდებული,
რუსთაველის ტბილქართული, მისი სიტყვა თვითთული;
გულს ანათებს, ვით დილის მზე მთაზე გადმოკიდებული,
ვარდს ჭფურჩნის და იასა ჭვენს, არა კმარობს კიდევ გული...

ვით გიყვარდა ყრმას და ქაბუკს — ტარიელ და ავთანდილი!
ვით ხიბლავდა შენს ოცნებას საქმე მათი გარდავლილი, —
ამხანავი მეგობრისთვის ცხრამთას იქით გავარდნილი,
ქაჯეთს კარებს შეაღწევის, შევარდება შევარდნი!

ამ გმირობის მეოცნებე ბავშვობიდან შენ იყავი...
ტკბილი «ყვფხის-ტყოსანი» დღეს ვის გულში არა ჰყავის,
მუშისა და კოლმეურნის, ყველა მშრომლის საკითხავი,
საყვარელი წიგნი არი — ოქროვანი ლექსის ხეავი...

ძალი, სიღრმე ამ წიგნისა, აზრი თქმული უშიშარად,
დიდ სამშობლოს ხალხებისთვის მხოლოდ ეხლა გადიშალა,
დაიარა ყველა სახლი, საბჭოეთის გზა და შარა,
ძველად ძნელი სავალი გზა დღევანდელი მზით ამშრალა!

მათ ენაზედაც აელერდა რუსთველის ლექსი წყობილი,
ხელთ შოთას წიგნი უჭირავთ, ვით ვარდი დაუქნობელი...
თარგმნიან მრავლად მგოსნები, გამხდარან მისი მკობელი,
დღეიდან ყველასი არი — წიგნი გულთ გამათობელი!

კითხულობს რუსი, უზბეკი, ყაზახი, უკრაინელი,
ებრაელი და ჩუვაში — გაგონებაა პირველი!
კითხულობს სომეხ-თათარი ახალ მშენებლის მხილველი,
რა ამბავია, რა ტკბილი, — ძმურ გრძნობათ გამომპირველი!

საბჭოეთის ყველა ხალხებს შოთა მისთვის უყვართ დიდად,
რომ ნათქვამი რუსთველისა სიყვარულსა ზრდის და ზრდიდა!
„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“!

უყვართ, რადგან შოთას ლექსი ხალხთა ძმობას ეთაყვანა
რომ ძმობა და მეგობრობა ურჩევნია მთელ ქვეყანას!
რომ მზისაკენ უწოდებდა, მზის — დრუბლიდან მოსაყვანად,
სამშობლოსთვის თავდადებებს ვერა დეაწლი ვერ ამგვანა!

რომ ახლოს არ გაიკარებს მუხანათსა და ტიალსა,
გმობს კაცსა აუგვიანსა, ცრუსა და ლალატანსა,
აქებს მალაღს და მართალსა, გმირსა და ეთქაცს მზიანსა,
„არ დავიწყება მოყვრისა აროდეს მოგვცემს ზიანსა“!

კვლავ უყვართ ხალხებს რუსთველი, — დღეს მზზე გამოყვანილი,
მისთვის, რომ შოთას სამშობლომ მსოფლიოს მისცა სტალინი!
კაცობრიობის ბელადი, — გულში მზის შემომბანელი...
ქვეყანას თვლი ჩაუდგა, გუგუნებს ქარიშხალივით!

ამ დიდებულ დღეს, როდესაც ხმაურობს გული დღევილი,
რუსეთის დიდ ხალხს საღამი, ვინც წარმოშობა ლენინი!
კაცობრიობის გენია, მზე გულზე გადმოფენილი,
ვინც ანუგეშა ამ ქვეყნად ცრემლდენილი და დგენილი...

დიდება კვლავ სხვა ხალხებსაც, ჩენი მოკითხვა ქართული!
შოთას დღეს ერთად ეზეიმობთ, ერთად გვაქვს გულში ჩართული.
მოგვშორდა შიშივე ბორკილი, ცხოვრება უკუღმართული,
ვიღწვით და ვშრომობთ ბეჯითად მშენებლობაში ვართული!

შოთას დღე, შოთას ზეიმი — ჩვენი ერთობის დღე არი!
გამანათებელი გულისა და ძმობის გამაღვივარი...
მოედნებზე და ქუჩებზე — წითელ დროშების ტყე არი...
ძველი ქრილობა მოგვირჩა, აღარ გვიკირს გულს ნატყვიარი!

წყალმა და ღვარმა წაიღო ვეება შავ წარსულისა,
„ხსოვნა აღარ ჰხამს ჭირისა, ვით დღისა გარდასრულისა*,
იპოვნა ხალხმა პირთაშუგ, წადილი თავის გულისა,
დაუვავილებას მოესწრო, მის ხელით დანერგულისა...

ვის შეუძლია გასტეხოს სიმაგრე ჩვენი ძმობისა,
შეურყეველი სირტიკეცე საბჭოთა მეგობრობისა,
როს წინ მიგვიძღვის პარტია — რაზმი და რაზმი წყობისად,
როცა წინ გვიძღვის სტალინი — მზე ხალხთა ბელადობისა!

მაგრამ თუ მტერმა გაბედა კაკუნი ჩვენი კარისა,
მტერს გულში დავეჯახებთ, ვეცემით მსგავსად ქარისა,
ერთიანეთს შემოვაწყვეტავთ, ვით ზათქი ნიაღვარისა,
განა თავს გეხურავს ლეჩაქი, ვართ შოთას გმირთა გვარისა!

ძიშობით ვართ შემტყიცებულნი და მხოლოდ ძიშობის ფიცი გეწამს,
ვერ მოგვერგვა, რომ აღსდგეს თვით ძალა დედამიწისა,
ვერვინ ჩავვიტრობს ერთობას, სინათლის სხივთა ციმციმსა,
ვერც გარეთ და ვერც შინიდან, გინდ გამტეხელი ფიცისა!

ტურფა ჩვენი სამშობლო, მშენებმა მისი მღვდლოსი,
მისთვის გვებრძოდა სუყველა, ეშმაკი თუ ანგლოსი...
მაგრამ ფართ ხალხი მებრძოლი, ბოლოს გამტანი ლელოსი,
არც გული გაცედა, არც ხმალი, არც სიტყვა საქართველოსი!

რკინის პერანგში ვაფზრდილვართ, გვედო ქვის გული მაგარი,
ჩვენი გმირობის ფოლადი ჩვენს კოშკებს გადაუკარით,
სხეას არ მივეციტ სახელი წინაბართ ნაჭირმაგარი,
სისხლით ვიყიდეთ სიცოცხლე, შრომით ვაყვავეთ მთაბარი!

საუკუნეთა წყვილიაღში სინათლის შემომტანელი, —
თუ ქართველ ხალხმა ვაფურჩქნა დიდი რუსთველის ყვავილი,
მან ახალ კაცობრიობას ბელადად მისცა სტალინი,
ლენინის ბუდის არწივი, შეუდრეკელი სტალინი!

ლენინ-სტალინის პარტია წინ გვიძღვის, დიდი სტალინი!
იყოს დღევრძელი ბელადი — შეუდრეკელი სტალინი!
მსოფლიოს შურომელთ იმედი, — გმირთა სიმტკიცე სტალინი!
სამშობლოს დროშის გამსხნლი, ხალხთა დამსხნელი სტალინი!

თბილისის საპალაქო საბავოს რუსთაველის საიუზილეო სახიშიშო
კლუბის მიხარება ლეჩაქა ბარდასთქვა გიორგი ლეონიძე.



შოთა რუსთაველი

ქანდაკება ქ. მერაბიშვილისა



საჭოთა კულტურის დიდი ღელსანაული

წითელ დროშებზე, რომელიც ამაყად ფრიალებენ საბჭოების ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებზე, აულებსა და მუშათა უბნებზე, სოციალიზმის ბრძოლისა და გამარჯვებათა დიდი ღელსანაული სხედასხეა ენებზეა წარწერილი, მაგრამ არ არსებობს მიჯნები, რომლებიც ერთმანეთს აშორებდეს საბჭოთა ქვეყნის რესპუბლიკებსა და ოლქებს.

ერთიან, მძლავრ, განუყოფელ ოჯახად აკავშირებს მათ ხალხთა სტალინური მეგობრობის სრულმნიშვნელო ენა. ჩვენგან შორეულ დროს, 750 წლის წინათ, კავკასიონის მთების ძირას იმდრო თავისი უქცონობი სიმღერა შოთამ სოფელ რუსთავიდან. და დღეს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა ქვეყანაშიაც ზეიმითა და სიხარულით აღნიშნავენ ამ ისტორიულ თარიღს ქართული კულტურის განვითარებაში.

რუსთაველის გენიალური პოემა ყველა საბჭოთა ხალხის კუთვნილებად გახდა. მრავალფერად მოელვარე ძვირფასი ქვა, რომელშიაც ასახულია მესხთა ქვეყნის მცხუნვარე მება, შეტანილია პოეზიისა და კულტურის ჩვენს საერთო სავანძურში, სადაც ჩაუქრობელი უშუალო ბრწყინავენ ხალხურ გენიათა და ტალანტთა სახელები.

რუსთაველის იუბილე ჩვენი ძლიერების, სოციალიზმის ქვეყნის ძლიერების ბრწყინვალე დემონსტრაციაა. ეს არის ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების დღესასწაული. ჩვენი მრავალრიცხოვანი ხალხები ერთად, მწყობრად, ერთი დროში ქვეშ—ლენინ-სტალინის პარტიის დროში ქვეშ—ცხოვრობენ, აწინებენ, ჰქმნიან, აწვითებენ თავის კულტურას, — ფორმით ნაციონალურს, შინაარსით სოციალისტურს.

თავის ისტორიულ მოხსენებში საბჭოების სრულიად-საქართველო სავანებო მეფე ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო საბჭოთა ხალხების მეგობრობის საკითხს. მან სთქვა რომ სოციალიზმის ბაზზე წარმოშობილი მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ცდა სრული წარმატებით დამთავრდა. რით იხსენება ეს გამარჯვება? ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„არარსებობამ ექსპლოატატორთა კლასებისამ, რომლებიც ნაკითა შორის ჩაჭები ძირითად ორგანიზატორებს წარმოადგენენ; არარსებობამ ექსპლოატაციისამ, რომელიც ურთიერთუნდობლობის ნერვას და ნაციონალისტურ ვნებებს აღვივებს; იმან, რომ ძალაუფლების სათავეში სდგას მუშათა კლასი, რომელიც მტერია ყოველგვარი დამონებისა და ერთგული მატარებელია ინ-

ტერნაციონალიზმის იდეებისა; ხალხთა ურთიერთდახმარების ფაქტორმა განხორციელებამ სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში; ბოლოს, სსრკავშირის ხალხთა ნაციონალური კულტურის, ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებამ,—ყოველივე ამან და მათმა მსგავსმა ფაქტორებმა მივეყვანა იქამდე, რომ ძირფესვიანად შეიცვალა სსრკავშირის ხალხთა სახე, ვაჭკრა მათში ურთიერთუნდობლობის გრძობა, განვითარდა მათში ურთიერთმეგობრობის გრძობა და ამგვარად, მოვკარულ და ხალხთა ნამდვილი ძმური თანამშრომლობა ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს სისტემაში.“

საბჭოთა კავშირის ძმურ თანამშრომლობას მოწმობს ღირსშესანიშნავი თარიღი—1937 წლის 12 დეკემბერი—სსრკავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დღე. ერთი გრძნობით, ერთი გატაცებით იყვნენ აღფრთოვანებულნი სსრკავშირის ყველა ხალხთა შვილები, ისინი მთელ მსოფლიოს უჩვენებდნენ თავის პოლიტიკურ და მორალურ ერთიანობას, თავის სიყვარულს სამშობლოსადმი, თავის ერთგულებას ლენინ-სტალინის პარტიისადმი.

საბჭოთა ხალხების ძმურ თანამშრომლობას მოწმობენ ჩვენი მრავალეროვანი ლიტერატურა, სიმღერები, თეატრი, მხატვრობა, ჩვენი უნივერსიტეტები და სამეცნიერო ინსტიტუტები. თვითველი ხალხი სწავლობს, მღერის, ჰქმნის თავის შრობილურ ენაზე და თავის აღმაფრენის საუკეთესო ნაყოფი მოაქვს მეცნიერებისა და კულტურის სავანეს საკავშირო სავანძურში, აფართოებს და ამდიდრებს ამ სავანძურს.

დიდი რუსი პოეტის პუშკინის იუბილე აღნიშნა მთელმა ჩვენმა ქვეყანამ, ყველა მის ენაზე უცვლადია პუშკინის ლექსი, მისი სილამაზე და სიმაართე აღელვებს ბელორუსსაც, თურქმენსაც და ტაჯიკსაც. დაღესტანის აშულ სულეიმანის სიმღერები, კახახთა აკინ ჯამბულის ჰანგების მუსიკალური სტრიქონები ცნობილია რუსთა და უკრაინეთა სოფლებშიაც.

ბელორუსები და ქართველები მხურვალედ უკრავენ ტანს მისეკს და თბილისში სავსატროლოდ ჩასულ უკრაინის საოპერო თეატრს. მოსკოველები აღტაცებით ღებულობენ, როგორც თავის შრობილურ ხელოვნებას, ქართულ ოპერა „დაისასაც“, კახახურ „ჯაღბრისაც“ და უკრაინულ „ნატალკა-პოლტავასაც“.

ქართველი გენიოსის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ თავი-

საშუალოდ მბატონო დღით, თავისი ღრმა იდეური შინაარსით ეკუთვნის მთელ კაცობრიობას, ხოლო პირველ რიგში მის მოწინავე რაზმს—საბჭოთა ხალხებს, სოციალიზმის მშენებელთ, სილამაზისა და სიმართლისათვის მებრძოლთ.

როდესაც მღერის ავთანდილი, რუსთაველის პოემის გმირი, მას უსმენს არა მარტო მთელი ბუნება, არამედ ყველა ადამიანიც, ყველა ხალხი... „ინდოთ, არაბოთ, საბერძნეთით, მაშორიანი და მალრიბელნი, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრითთ მეგვიჭუნნი“. აი დიდ მგოსანთა და პოეტთა სასუკვარი ოცნება—მათი ჰანგების ტბილმზოვანმა ნაკადმა უნდა დაანგრეოს ყველა ჯებიარი, ყველა ნაციონალური ზღუდე.

სოციალიზმის ქვეყანაში განხორციელდა პოეტის ოცნება.

რუსთაველის შემოქმედება მსოფლიო და შემხატებულყოფილია ჩვენთან, სტალინური ეპოქის ადამიანებთან. რუსთაველი გასაგები და მსოფლიოა ჩვენთვის, იმიტომ რომ იგი ნათელი მზერითა და სისარულით შესცქერდა მსოფლიოს, ცხოვრებას. რუსთაველმა ჩაახშო საშუალო საუკუნეების ბნელეთის მოციქულთა კოტიმოძულე ღრიალი და იმდერა მგზნებარე სიმღერა ადამიანზე, თავისუფლების, სიყვარულისა და ბედნიერების უფლებებზე.

რუსთაველი მგობრობას უმღერის, მაღალ კეთილშობილურ, პრინციპულ მეგობრობას. მისი გმირები, სხვადასხვა ეროვნებათა ადამიანები, დამეგობრდნენ რწმენის, მისწრაფებათა და განწყობილებათა ერთიანობის საფუძველზე. ორპირ უბადრულ ადამიანთა, საზოგადო მოღალატეთა და გამცემელთა წინააღმდეგ რისხვითა და ზოხლით გაისმის პოეტის ხმა—„გვმობ კაცსა უაუგოსა, ცრუსა და ღალატანასა“. „მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია“.

რუსთაველი სიყვარულს უმღერის. მაგრამ ეს უსუსური ღირსების დორბლიანი სიყვარული როდია, პოემის გმირი ქალი თავის მიჯნურს ეუბნება, რომ მის სიყვარულს მიჯნური მოიპოვებს არა სიტყვებით, არა ცრემლით, არამედ მახვილით ბრძოლის ველზე, მტრებისაგან სამშობლოს დაცვით. განა ეს არ მოგვაგონებს ჩვენს საუკეთესო ქალებს—დედებს, ცოლებს, საციოლებს, რომელნიც თავის ახლობელ ადამიანებს ჰგზავნიან საბჭოთა საზღვრების დასაცავად, შაჰრის სივრცეთა დასაყოფად, სამშობლოს გულსათვის საგმირო საქმეების შესასრულებლად?

ნესტანი ეუბნება თავის მიჯნურ ტარიელს: „სპარსთა ვერა ვიქმ ინოლეთისა ჰუამასა“, ჩვენი სახელმწიფოდან მათ „არ მივსცემ არცა დრამასა“. განა ჩვენთვის

მსოფლიო არ არის ეს კეთილშობილური გრძობა სამშობლოსადმი სიყვარულისა? განა ჩვენ მზალმზობა ვართ საბჭოთა ქვეყნის თვითუფლი გოჯი დავიცვათ საზოგადოებრივ მტრებისაგან?

რუსთაველი სიციხეს უმღერის, — სიციხელე მიყვარს, ამას არ ვმალავო,—ამბობს ავთანდილი, მაგრამ ამავე დროს იგი დასძენს: „სჯობს სიციხესსა ნაზრასსა სიყვდილი სახელოვანი“. ეს სიტყვები მსოფლიო და გასაგებია სტალინური ეპოქის ადამიანებისათვის, ჩვენს რაინდებისათვის, ჩვენი გმირებისათვის. „უფუჯობესია ფეხზე მდგომი მოკვედე, ვიდრე დაჩოქილი ციციხობდე!“ — შესძახა მგზნებარე დოლორეს იბარურში, მიმართავდა რა მადლიერი გმირ დამცველთ.

სიციხელე მხოლოდ მაშინ არის მშვენიერი, როდესაც იგი აღსასება მალად იღეაღმებთ. „სჯობს სიციხესსა გაძლება, მისთვის თავისა დადება“.

ერთერთი ასეთი მაღალი იდეალი, რომელიც სიციხელეს ასხივოსნებს, ეს არის სიყვარული სამშობლოსადმი. „ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ყვავილი ფერადურები, ვინაჲ გვიცნობენ, გენატრიან, იგიცა, ვინა მტერები“. დღეს ჩვენ შეგვიძლია გავიმეოროთ ეს სიტყვები, ვებდავთ რა ჩვენს აყვავებულ მხარეებს, ჩვენს მშვენიერ სამშობლოს, რომლის გამარჯვებანი მტრის, გამარჯვებას იწვევენ.

საშუალო საუკუნეების ბნელეთის მოციქულნი რუსთაველის პოემას კოცნიან სწავადნენ. მეცხრამეტე საუკუნის ბნელეთის მოციქული—შოინისტური ინტელიგენცია არ სწავდა პოემას, მაგრამ მან „წმინდა ქართულ ნაწარმოებად“ გამოაცხადა ეს ნაწარმოები და უარყოფდა მის მსოფლიო საერთო საკაცობრიო მნიშვნელობას.

იმავე გზას გაკვეთენ ბნელეთის თანამედროვე მოციქულნი—ბურჟუაზიული ნაციონალისტები. სხვა მტრებთან ერთად ისინი ცდილობენ ეკლერიკული მავთულით გააცოცკონ ერთი ხალხი მეორისაგან, გასთიონ ისინი ერთმანეთისაგან პოლიტიკურად, დაშალონ საბჭოთა კავშირი. ეს არ მოხდება! სსრ კავშირის ხალხები ერთსულაფნად ჰქმნიან სოციალისტურ კულტურას ლენინ-სტალინის პარტის დროში.

და დღეს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი მიესალმება საქართველოს—კულტურის დიადი დღესასწაულის დღეს. საბჭოთა ხალხები ამ დღესასწაულს ესწრებიან არა როგორც უცხო სტუმრები, არამედ როგორც ზემის აქტიური მონაწილენი. შოთა რუსთაველი—ქართველი ხალხის დიადი შვილი—სსრ კავშირის ყველა ხალხებს ეკუთვნის.



ახალ ინფორმაცია

შოთა რუსთაველი და მისი პოემა

მიმდინარე 1937 წ. საბჭოთა საქართველო და საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებს დღესასწაულობენ უდიდესი ქართული პოეტის და მსოფლიო პოეზიის ერთი უდიადესი გენიის შოთა რუსთაველის 750-წლოვან იუბილეს.

საუკუნეები გვაშორებს ჩვენ რუსთაველის ხანიდან, მაგრამ მის უკვდავ პოემას „ვეფხისტყაოსანს“ არ აკლდება ბრწყინვალეობა და შთაბეჭდილებები ძალა. მარქსის სიტყვები პომპროსის ეპოსის შესახებ რომ იგი დღემდის ინარჩუნებს პოეზიაში „ნორმისა და მიუწოდებელი ნიმუშის მნიშვნელობას“, შესაძლოა განმეორებულ იქნას რუსთაველის უკვდავი პოემის მიმართაც. ზოგად-კაცობრიული შინაარსი, პოეზიის უმწიფიერეს ფორმასთან ერთად, რუსთაველის პოემას ანიჭებს საპატიო ადგილს კაცობრიობის გენიის რჩეულ ქმნილებათა შორის.

საბჭოთა კავშირის ვაზარჯებელი ხალხი, რომელმაც ხალხთა ბელადის, შრომალიური დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, ააგო სოციალისტური საზოგადოება, არის ნამდვილი მემკვიდრე მთელი იმ კულტურული საგანძურისა, რომელიც კაცობრიობამ თავისი ისტორიის მანძილზე შექმნა.

ქართველი ხალხი საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში კოლონიალურ ჩაგვრას განიცდიდა რუსეთის ცარიზმის მიერ, და დიდი კულტურა ქართველი ხალხისა, რომელსაც უძველესი ტრადიციები მოეპოვება, ჩრდილში იყო დაყენებული. ოქტომბრის რევოლუციამ კავკასიის ქედზე მიჯაჭვულ ამირანსაც აპყარა ხუნდები, ქართველ ხალხს მიანიჭა ნამდვილი თავისუფლება, და ამ დროიდან იწყება მისი განახლებული, ფორმით ნაციონალური, ხოლო შინაარსით სოციალისტური კულტურის მძლავრი აღმავლობა.

სამართლიანად ამბობს ამხანაგი ლაერენტი ბერია: „მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, მთელი ხალხის შემოქმედებისა და კულტურის მძლავრი აღმავლობის პირობებში გახდა შესაძლებელი გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის პოემის დაწერებიდან 750 წლისთავის აღნიშვნა. მხოლოდ ურდვევი სტალინური მეგობრობის პირობებში გახდა შესაძლებელი სარ კავშირის ხალხთა ის შვიდობი კულტურული ურთიერთობა, როდესაც ცალკეულ ხალხთა კულტურის უდიდესი ძეგლები მთელი საბჭოთა ხალხის კეთილგზებდ ზედბიან, როდესაც უკვდავი რუსთაველის 750 წლისთავის აღსანიშნავად თანამართი სიყვარულით ემზადებინათ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებსა და ოლქებს“ ლ. ბერია — „პრავდა“, 1937 წ. 7 ნომბერი).

შოთა რუსთაველის დიდი სახელი — მშობლიური და მახლობელი გახდა საბჭოთა კავშირის მძურ ოჯახში შემავალი ყველა ხალხისათვის. შოთას უკვდავი პოემა ითარგმნება საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე. მარტო რუსულ ენაზე უკანასკნელ წლების განმავლობაში შესრულებული იქნა მთელი წყება თარგმანებისა. შოთას პოემა ფართოდ გავრცელდა და განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა საბჭოთა კავშირში, რუსთაველის ქმნილება უდიდესი სიყვარულით მიიღო და შეითვისა მშრომელი ხალხის ფართო მასებმა. დიდი რუსის ხალხი შოთა რუსთაველის სახელს სიყვარულით ახსენებს. პუშკინის სახელთან ერთად, ისევე როგორც უკრაინის დიდი ხალხი რუსთაველის სახელს მოიგონებს შეგერნოს სახელთან, თავიცი — ფირდოუსის სახელთან; ბელარუსი და უზბეკი, თურქმენი, ყაზახი და ყირგიზი, ასევე ჩვენი ქარის მეზობლები, ჩვენი მოძმე კავკასიელი ხალხები — სომხები, აზერბეიჯანელები, კავკასიის მთიელები — რუსთაველის სახელს სიყვარულით მოიხსენებენ თავიანთი ნაციონალური პოეტების გვერდით.

რუსთაველის იუბილე გარდაიქცა საბჭოთა კავშირის ხალხთა ინტერნაციონალურ ზეიშად, განთავისუფლებული ერების ნამდვილ ხალხურ დღესასწაულად.

საქართველო, ბედნიერი სამშობლო დიდი სტალინისა, ეგებება რუსთაველის იუბილეს თავის მოძმე ერებთან ერთად თავისუფლების შარავანდელით მოსილი, ეპოქის უდიდესი დოკუმენტით, დიდი სტალინური ხარტით განათებული.

I

ბატონი ლიტერატურის განვითარების ზეიშები და რუსთაველი


ძველი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი შოთა რუსთაველის პოემას ადარებს ცოცხალ ხეს, რომლის რტობი მუდმივად გამოსცემენ ნაყოფს, ხოლო ფესვები ღრმად არის გადგმული მიწაში.

რუსთაველის პოემა მართლაც არის ასეთი მუდმივად ნაყოფის მომცემელი ცოცხალი ხე ქართული პოეზიისა, რომლის ფესვები ღრმად არის გადგმული ქართულს მიწაში. რუსთაველის პოემა თავისი ძირებით ორგანიზულად დაკავშირებულია ძველ საქართველოს კულტურასთან, იგი არის ნაყოფი ძველი ქართული კულტურის მრავალსაუკუნოვანი განვითარებისა, უმადლიანი გამოვლინება ამ კულტურის.

რუსთაველის შემოქმედება შეუძლებელია გაგებულ იქნასა



... მიმოქცობდა იგი სინათლისა იქითა	მ	ნ	მ
... იქითა: საჩივრს: ვინაღუ: თი მსიერეთობათს: ჯიქეთ: მ	ნ	ნ	მ
... იქითა: აქედნ: იმერის: მსიერს: ჯიქეთი	ნ	ნ	მ
... თა: უნდოლო: სილჯი: მ უნდო: ითქმის: შაინთა: მადეპა	ნ	ნ	მ
... თან: უნდოლო: მ: ვინ სჯედის: ჯიქეთ: მ	მ	მ	მ
... თა: უნდოთოსა: მადეპანი: შაინთა: სიქმთა: შარდოკის: მ	მ	მ	მ
... თით: უნდოკის: მადეპის: სასუბოთა: ჯიქეთთა: აქი	მ	მ	მ
... თა: მის: მისი: მისი: მისი: მისი: მისი: მისი	მ	მ	მ
... მადეპის: მისი: მისი: მისი	ნ	ნ	მ
... თა: უნდო: მისი: მისი: მისი: მისი: მისი: მისი	ნ	ნ	მ
... თა: მადეპა: მისი: მისი: მისი: მისი: მისი: მისი	ნ	ნ	მ
... თა: უნდომადეპის: სჯედის: ით: ვინა: იქმთ: ს: ჯიქეთ: მ	ნ	ნ	მ
... თა: ჯიქეთთა: უნდოთა: უნდოთ: აქის: იქმთ	ფ	ნ	მ
... ხელის: უნდოთთა: ბიქეთ: მ: მ: სიქეთით: იქმთ	მ	მ	მ
... თა: უნდოთ: მადეპათა: მისი: მისი: მისი	მ	მ	მ
... თა: იქმთ: სასუბოთა: მადეპის: ს: იქმთ	მ	მ	მ



ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიასთან დაკავშირების გარეშე, ძველი ქართული კულტურის რთული სპეციფიკისა და ლიტერატურული გარემოს გათვალისწინებულად.

ამის გამო, ვიდრე შევიხებოდეთ შოთა რუსთაველის ცხრიტებსა და შემოქმედებს, ჩვენ აქ მოგვიხდება გაავსეკით მაგისტრალური ხაზები ძველი ქართული ლიტერატურის განვითარებისა, და ვუჩვენებთ ის პირობები რომელთაც მოამზადეს რუსთაველის უცვდავი ქმნილების წარმოშობა.

* * *

ქართულ კულტურას უძველესი სათავეები აქვს.

ქართველები არიან პირდაპირი შთამომავალი და კულტურის შექვეყნებელი ხეთა-ურარტუს წრის ხალხთა, რომელთაც უძველეს ხანაში შექქნენ ბრწყინვალე კულტურა, ერთ-ერთი წამყვანი კულტურათაგანი ძველი აღმოსავლეთისა.

არქაული დამწერლობის ძეგლები, რომლებიც გვუთვნიან მეორე და პირველ ათასწლეულს ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს, შეიცავენ ცნობებს ქართველი ხალხის უშუალო წინაპრების, ხეთის ჯგუფის ქართულის — მუსხუბის (მესხების) და თობელეების (მიბერების) შესახებ, რომელთაც ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდათ ხეთის ხალხთა დიად კულტურულ კოლექტივში მე-12 საუკუნეამდე, ვიდრე მე-7 საუკუნემდე ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს.

ხეთის სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა კატასტროფის შემდეგ მომდევნო საუკუნეებში ყალიბდება საქართველოს სახელმწიფოებრივობა კავკასიაში, საქართველოს თანამედროვე მიწა-წყალზე.

ჩვენ აქ არ შევლივართ ქართველი ხალხის უძველესი ისტორიის განხილვაში და ავრთვებ არ ვეცებთ საითხის არქაულ დამწერლობათა შესახებ ხეთის ხალხთა ენებზე. ჩვენი მიზნობილას აქ ვიყვებით საკუთრივ ქართულ ლიტერატურადან, რომელიც თანამედროვე საქართველოს მიწა-წყალზე განვითარდა და რომელიც სარგებლობდა არა ქართულის ტიპის რომელიმე ძველი ენით, არამედ საკუთარ ძველ ქართულ ენით, ე. ი. ენით, რომლითაც დაწერილია შოთას „ვეფხისტყაოსანი“ და რომლის ტრადიციები განუყოფლად გრძელდება დღემდე.

ლიტერატურა ქართულ ენაზე შესაძლოა შესწავლოთ იქნეს, ჩვენი ცოდნის თანამედროვე მდგომარეობაში, 15 საუკუნის მანძილზე. უძველესი ძეგლები ქართული ლიტერატურისა, რომლებიც ჯერჯერობით აღმოჩენილია, ეკუთვნის მე-4—5 საუკუნეებს ჩვენი წელთაღრიცხვისა.

მაგრამ დასაწყისი მწერლობისა ქართულს ენაზე, როგორც ეს შესაძლოა დადგინოთ იქნეს მიიღო რიგ მონაცემთა მიხედვით, ბევრად უფრო ადრინდელს ხანას ეკუთვნის, ვიდრე მე-4 საუკუნე. ქართული მწერლობის დიდი სიძველის მაჩვენებელია უწინარეს ყოვლისა თვით ქართული ანბანი, რომელიც შეუმუშავებელი და შეუფარდებელია ქართული ენისათვის ჩვენი წელთაღრიცხვის წინა საუკუნეებში. ქართული ანბანი გამოპოვდა მცირე-აზიური არქაული ალფაბეტების ჯგუფს უძველეს ხანაში, და მისი სათავეები, როგორც ირკვევა, თვით ხეთურ ეპოქამდე აღწევს.

დასაძლავ ქართული მწერლობის ადრინდელი ხანის ძეგ-

ლებისა, რომლებიც მე-6 საუკუნეზე უწინარეს დროს გვთვინდნენ, გამოწვეული იყო ქრისტიანობის გავრცელებით საქართველოში, რაც მე-4 საუკუნის დასაწყისში მოხდა. მებრძოლი ქრისტიანული ეკლესია სდგენდა ტერითწოდებულ „წარმართულ“ ხანის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, და ამის შედეგად წინა-ქრისტიანული მწერლობის ძეგლები ზოგი მოსპობილ იქნა, ზოგიც თანდათანობით დაივიწყებას მიეცა და ამ გზით დაიღუპა. აქ ჩვენ გვაქვს სრული ანალოგია ისლამის წინააღმდეგ ირანის ლიტერატურის ისტორიასთან, როდესაც მუსულმანობის გაბატონებამ შედეგად თანდათანობით მოისპო უმდიდრესი ისლამის წინააღმდეგი ირანული (ფარსული) ლიტერატურა.

მაინც წინა-ქრისტიანული ქართული მწერლობის გავლენა, ბუნებრივია, უკვალოდ იქნა გაქრებოდა და ეს გავლენა მოსახსნ კიდევ მომდევნო ხანის ქართულს ლიტერატურაში. ახალმა ქართულმა ლიტერატურამ, რომელიც მე-4 ს. უსუენური ქრისტიანობის საუფუძვლები წარმოიშვა, შეთვისა ძველი „წარმართული“ მწერლობიდან როგორც ანბანი, ისე — სიანს — ზოგიერთი ლიტერატურული ტრადიციები (კერძოდ ტრადიციები საერო მხატვრული მწერლობისა) შეითვისა ამ ახალმა ლიტერატურამ ძველი ლიტერატურადან სხვაგვარად დამუშავებული, უღირსად მდიდარი სალიტერატურო ენა. უნდა გვახსოვდეს, რომ ახალი ქრისტიანული მწერლობის უძველესი ტექსტებში უკვე მოკლებულია ქართული სალიტერატურო ენის კლასიკური ნიმუშები, და ისეთი ძეგლები, როგორცაა მავალითად იაკობ კურტაველის საისტორიო თხზულება, რომელიც უსუსტად მე-5 საუკუნით თარიღდება, გვთვინის ძველი ქართული პროზის უბრწყინვალეს ნაწარმოებთა რიცხვს.

ქართული ლიტერატურის განვითარების გზები, დაწყებული მე-4—5 საუკუნეებიდან — ვიდრე რუსთაველის ეპოქამდე ე. ი. მე-12—13 საუკუნეებამდე, წარმოადგენს თავისებურებებს, რომლებიც გამოარჩევს ქართულს ლიტერატურას საშუალო საუკუნეების ქრისტიანულ ლიტერატურათა ციკლიდან. პირველი და ძირითადი თავისებურება ის არის, რომ საქართველოში ბრწყინვალე განვითარება მიიღო წმინდა საერო მხატვრულმა მწერლობამ. როგორც ცნობილია, საქართველოს უახლოეს მეზობელს ბიზანტიას წრისა და წინა-აზიის ქრისტიანული მსოფლიოს ხალხებს, ბერძენ-ბიზანტიულს, სირიულსა და სხვებს არ მოეპოვებათ საშუალო საუკუნეთა განმავლობაში საერო სიტყვა-კამბული ლიტერატურა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, რომლის შედარებაც შეიძლება იდგეს ქართულთან. ქართული მწერლობა ამ მხრით წარმოადგენს ყველაზე უსინანოვანს და ყველაზე მნიშვნელოვანს მოვლენას საშუალო საუკუნეების ქრისტიანულ ლიტერატურათა შორის.

სურათის სისრულისათვის საჭირო იქნება აღვნიშნოთ აგრეთვე ისიც, რომ ქართული მწერლობა საშუალო საუკუნეების არ განისაზღვრებოდა მარტო საერო მხატვრული ლიტერატურის დარგით. უამის გარდა ქართულს მწერლობაში მდიდრად იყო წარმოდგენილი ყველა დანარჩენი დარგებიც, რომლებსაც კი ვხვდებით საშუალო საუკუნეთა სხვა ლიტერატურებში, ასეთებია: ჰიმნოგრაფია (სასულიერო პოეზია), პოეზიოგრაფია (თავისებური განარი სასულიერო მხატვრული მწერლობისა), თეოლოგიუ-



ბა ვაზის მღერა ყმასა სმუნად მსუცნა მთიანად

ნაწ. მხატ. ლ. გუდიაშვილისა

რი ლიტერატურა; ცალკე აღსანიშნავი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დარგი ძველი ქართული მწერლობისა — ისტორიოგრაფია, არა მხოლოდ სასულიერო, არამედ პირველ რიგში საერო, რომელმაც დაგვიტოვა უძვირფასესი მემკვიდრეობა, მთლიან რიგი პირველხარისხოვანი ძეგლები; შემდეგ, საფილოსოფიო ლიტერატურა (უმთავრესად ნეოპლატონიკოსები), და აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურის დარგები (მედიცინა და ბუნების-მეტყველება, მათემატიკა, ასტრონომია — შეთავსებით ასტროლოგიასთან და სხვ.).

ქვემოთ, ძველი ქართული ლიტერატურის განვითარების მიმოხილვის დროს, ჩვენ მხედველობაში გვექნება პირველ რიგში საერო მხატვრული მწერლობა და ძველი ქართული მწერლობის დანარჩენ დარგებზე საგანგებოდ აღარ შევჩერდებით.

* * *

ქართული მწერლობის განვითარების ისტორიაში, ვიდრე რუსთაველის ეპოქამდე, სამი პერიოდი იმართება, რომლებიც შემდეგ ქრონოლოგიურ რკალებს მოიცავს.

პირველი პერიოდი — მე-4 საუკუნიდან ვიდრე მე-7 საუკუნემდე; მეორე პერიოდი — მე-8 საუკუნიდან — მე-11 საუკუნემდე; მესამე პერიოდი — საუთრივე რუსთაველის ეპოქა — შეიცავს ხანას მე-11 საუკუნის დასასრულიდან მე-13 საუკუნის პირველ ნახევრამდე.

ქართული მწერლობის პირველი ორი პერიოდის შესახებ ჩვენ აქ დავიწყაფილდებით რაჰდენიმე მოკლე შენიშვნით.

პირველი არქაული პერიოდი ქართული მწერლობისა, როგორც მოხსენებულს გვექონდა, ეგრეთწოდებულ „წარმართულ“ ხანამდე აღწევს, მხოლოდ სრულდება პირველი პერიოდი არაბთა მფლობელობის დამყარებით საქართველოში, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებები მოჰყვა.

ქართული ლიტერატურის ამ პირველ არქაულ პერიოდს ეკრძა ის სახასიათებს, რომ ქრისტიანული იდეოლოგია ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გაბატონებული, ქრისტიანობასთან ერთად ისევ განაგრძობდა არსებობას ძველი ქართული წარმართობა და მახდევანობა. ამის გვერდით უერთე ვაგრცელება ჰქონდა აგრეთვე მანიქეველობას. ამასთან თვით ქრისტიანული ეკლესიაც არ წარმოადგენდა მონოლითურ ერთეულს, აქ ადგილი ჰქონდა შინადაც განხეთქილებას, იგი იყოფოდა სხვადასხვა სექტებად. გასაგებია ხდება ზემოთაღნიშნულის შემდეგ, რომ ასეთ პირობებში ქრისტიანულ ეკლესიას არ შეიძლებოდა ჰქონოდა და არც ჰქონია შეუზღუდველი ბატონობა იდეოლოგიის სფეროში და ქრისტიანულ სასულიერო მწერლობას ამ ეპოქაში არ ეკუთვნოდა მონოპოლისტის როლი. მის გვერდით თანაბარის უფლებით არსებული საერო მხატვრული მწერლობა, რომელიც წარმართული ხანის ტრადიციების უშუალო მემკვიდრე იყო.

ამ ეპოქის ქართული საერო მხატვრული მწერლობის ფართე დიპაზონი შესაძლოა წარმოვიდგინოთ იმის მიხედვით, რომ მე 6—7 საუკუნის საზღვარზე ქართულს ენაზე არსებული თარგმანი ისეთი კაპიტალები ძველსა, როგორც იყო ირანული ფარსის განთქმული კრებული „ხეტაჰ-ნამაჰი“, ანუ „უფალთა წიგნი“ (ეპიური ციკლი ფერდუნდინად ბაჰმანამდე). ეს კრებული „უფალთა წიგნი“, როგორც ცნობილია, არის პროტოტიპი ფირდოუსის „შაჰ-ნამაჰის“.

აღსანიშნავია, რომ „უფალთა წიგნი“ ქართულ კვირსა; როგორც ირკვევა, შეიცავდა არა მხოლოდ პირველ მოთხრობას, როგორც ეს ფაქტურ დედანმეცნიერებამდე იგი ნაწილობრივ ლექსადაც ყოფილა დამუშავებული. „უფალთა წიგნი“-ს ჩვენ დრომდე მოღწეულ მსკერძატებში, რომელიც დაუცავს ძველ ქართველ ავტორს კონტრპროველს, შერჩეულია ტექსტი, დაწერილი რიბინიან ლექსით, „დაბალი შაირის“ მეტრით. აქ მე 6—7 საუკუნის ამ ნაწილობრივ უკვე მოციმბოლა უმეტესად ბელოვ იგივე სალექსო ფორმა დაბალი შაირისა, რაც ბევრად უფრო გვიან, მე-12—13 საუკუნეთა საზღვარზე, გამოიყენა შოთა რუსთაველი.

რომ ამ პერიოდში ლექსის კულტურის უკვე ჰქონია ფართე ვაგრცელება ამას ადასტურებს აგრეთვე ჩვენ დრომდე მოღწეული „პროკოპის მარტიკობის“ ქართული ტექსტი. ეს ძველი ეკუთვნის ხანას არა უგვიანეს მე 6—7 საუკუნისა (თარიღი ირკვევა იმის მიხედვით, რომ ძველში ჯერ კიდევ წარმართული ქართული საკალენდარი ტერმინოლოგია არის მიღებული), და იმ ამ ძველში ჩვენი გვხვდება ციკატი ჰომიროსიდან, ლექსი: *ოც-მარცხედლი ძველ-ქართული საზომით (ოთხმუხლი ხუთეული)*.

ამვე პერიოდში, როგორც ეს დასტურდება მოსე ხორენლისა და გრიგოლ მაგისტროსის ცნობებით, ქართულად არსებული ვერთარგანს ეპოსი, არა სჩანს, მხოლოდ, წარმოადგენდა ვერთარგანს ეპოსი მხოლოდ ზეპირსიტყვიერებითს (ციკლს, თუ იგი წერილობითი სახითაც იყო აღიარებული (ყოველ შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ ვერთარგანს ეპოსის გამოძახილს ჩვენ ვაგვივლით ძველ ქართულ წერილობითს ძველში „ჰამბავი ვახტანგ გარგასარისა“).

ამვე არქაულ პერიოდში ქართულს ენაზე არსებული თარგმანი ანტიური საისტორიო რომანისა აღექვანდნენ მკვედრენის შესახებ, რომელიც კალისტენის სახელით არის წარწერილი. ამ რომანს გავლენა მოუხდენია უძველეს ქართულ ისტორიოგრაფიაზე.

* * *

გადავივართ ქართული ლიტერატურის განვითარების მეორე პერიოდზე, რომელიც გრძელდება მე-8 საუკუნიდან მე-11 საუკუნემდე. ეს არის ადრეული ფეოდალიზმის ხანა საქართველოში.

პოლიტიკურად საქართველო ამ ეპოქაში შემდეგ სერათს წარმოავლიდგენს. არაბთა მფლობელობის პირველ ხანის შემდეგ თანდათან აკლიბდება საქართველოს სხვადასხვა კუთხებში ნახევრად დამოუკიდებელი სამფლობელოები. საქართველო მოკლებულია პოლიტიკურ მთლიანობას და მხოლოდ ამ პერიოდის დასასრულს ხდება საქართველოს გაერთიანება.

დიდ როლს თამაშობს ამ ეპოქაში საქართველოს ეკლესია. იგი მონოლითურ ერთეულს წარმოადგენს; სექტებად დანაწევრება მოსსო და ერთბა ზიხანტონოფილურმა ფორმამ (ქალკედონიტები) შეუზღუდავი ბატონობა მოიპოვა.

წამყვანი როლი ქართული ლიტერატურის ამ მეორე პერიოდში ეკუთვნოდა საქრისტიანო სასულიერო მწერლობას. ეს არის კლასიკური ხანა ძველი ქართული სასულიერო მწერლობისა.

მაგრამ საერო მხატვრული მწერლობის ტრადიციები, როგორც ირკვევა, არ შეწყვეტილა, იგი განაგრძობდა არსებობას პარალელურად სასულიერო მწერლობასთან.



თქვებ: „ვაითათაითთ, ვაითა ვაღნათ აჲ გამართაჲ მნუღია“
ნახ. მხატ. ლ. გუდიაშვილისა

ამ ეპოქის სალიტერატურო ძეგლებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ორი ნაწარმოები: ლეონტი მროველისა „ცხოვრება ქართველთა“ და უჯარმეელის „ჰამბავი ვახტანგ გორგასარისა“.

ეს ორი ძეგლი წარმოგიდგენს საერო მხატვრული მწერლობის თავისებურს ჟანრს, საისტორიო მოთხრობას ეპიურ ხასხებში დამუშავებულს.

ორივე ძეგლს აშკარად ეტყობა გავლენა საგმირო რომანების ჟანრისა; უტილობელი ხდება, რომ ამ დროს ქართულად უკვე იწერებოდა საგმირო-სარაინდო რომანები, იმ ტიპის, როგორიც აყო, მავალითად, შემდეგდროინდელი „ამირან-დარეჯანიანი“. მთელი რიგი ეპიზოდები ლეონტი მროველისა და უჯარმეელის ისტორიულ-ეპიურ მოთხრობებში დამუშავებულია ასეთი საგმირო-სარაინდო რომანების სპეციფიური სტილით.

საერო მწერლობა ამ პერიოდისა, როგორც ირკვევა, მდიდრდებოდა თარგმნილი ძეგლებითაც. ასე ამ დროს უთარგმნიათ ქართულად განთქმული დიდაქტიურ ეპოსი „ქილილა და დამანა“, რომლის ექსცერპტი ჩვენ დრომდისაც გადაჩენილა.

„ქილილა და დამანა“-ს რთული ლიტერატურული ისტორია ჰქონდა: მისი პროტოტიპი (ფანჩატანტრა) ინდოეთში ჩამოყალიბდა, აქედან მე-ნ საუკუნეში წარმოიშვა ფაჰლური რედაქცია, ხოლო უკანასკნელიდან მიმდინარეობს არაბული ვერსია. უძველესი ქართული ვერსია თარგმნილი ყოფილა არაბულიდან, როგორც ამას ადასტურებს ქართული ექსცერპტში დაკული ლექსიკური ნიშნები.

ქართულ-არაბულ ახლო ურთიერთობას საერო მხატ-

ვრული მწერლობის დარგში მოწიბობს კერძოდ ტერმინები „მოზაირე“ (პოეტი) და „შაპირი“ (ლექსი). როგორც ამ დროს არაბულიდან შემოდის ქართულ მწერლობაში და საყოველთაო გავრცელებას დებულობს.

მეორე პერიოდის მხატვრულ მწერლობაში ცალკე აღსანიშნავი ნაწარმოებნი, რომლებიც წარმოგიდგენენ სასულიერო და საერო პოეზიის ელემენტების შეერთებას.

ასეთია კერძოდ ახლად აღმოჩენილი ჰაგიოგრაფიული პოემა „ახუჟურა“, რომელიც მე-9 საუკუნეს ეკუთვნის. ამ პოემას საერო პოეზიისთან აკავშირებს ჯერ ერთი ფორმა (იგი შეიცავს გართიმულო ტექსტს), სიუჟეტის მხრითაც იგი წარმოადგენს სასულიერო და საერო პოეზიის ელემენტების შეთავსებას (— აქ დამუშავებულია, სასულიერო ელფერის დაცვით, რომანიული ეპიზოდი).

საერო მწერლობის ელემენტებს შეიცავს აგრეთვე მე-10 საუკუნის განთქმული ქართველი მწერლის გიორგი მერჩულის თხზულება „გორგოლი ხანძთელი“. ამ ნაწარმოებში ჩართულია ცალკე ნოველები რომანიული შინაარსისა, რომლებიც გვისახავენ ქართული ფეოდალური საზოგადოების გაერმოს. აღსანიშნავია ამასთან, რომ გიორგი მერჩულის თხზულებაში ჩვენ გვაქვს ბუნების გიჟობა, მის ჰაგიოგრაფიულ პოემაში ჩვენ გვხვდება არტისტულად დახატული ქართული პეიზაჟი, რეალისტურ ფერებში შესრულებული. გიორგი მერჩული ეკუთვნის შოთას ლიტერატურულ წინამორბედთა რიცხვს.

დასასრულს საკეროა შეგებოთ განთქმულ ქართულ მოთხრობას „სიბრძნე ბალაჰვარისა“, რომელსაც მსოფლიო რეზონანსი ჰქონდა საშუალ-საუკუნეთა მწერლობაში.



ხმალი გაყვდიდრე, გარბეიჭი, ჟუფსი შვიდაჲ სელთისა;
ნახ. მხატ. ლ. გუდიაშვილისა

მოთხრობას „სიბრძნე ბალაჰვარისა“ საფუძვლად უდევს ჰინდური ლეგენდა ბუდლას შესახებ. გარდა იმ ინტერესისა, რომელსაც იწვევდა ბუდლას თავგადასავალი, ნაწარმოები ხიზლავდა მკითხველებს შეუღარებელი მაღალმოეტური იგავებით.

ამ მოთხრობას რთული და საინტერესო ლიტერატურული ისტორია ჰქონდა.

11 საუკ.). ეფთიმე ერთ-ერთი უპოპულარესი ქართული მწერალი იყო საშუალ-საუკუნეებში, რომელმაც უკუდაუტყო თავისი სახელი თარგმანებით ბერძნულსა და სხვანაირად ქართულს ენაზე. სიტყვის დიდი ოსტატი, იგი თანაბარის ბრწყინვალეობით ჰფლობდა როგორც ქართულს, ისე ბერძნულს. ეფთიმემ მოახდინა ბუდლას ლეგენდის ქართული ვერსიის ხელმოწერა გადაწმუშავება, გაფართოვა იგი და



მიგან ასტო გაფრეი, ნწლის ჯდგსა ვილა ქლბა.

ნაბ. მბატ. ლ. გუღიაშვილისა

ბუდლას ლეგენდა იმ რედაქციით, რომელიც ქართული მოთხრობის პროტოტიპი გახდა, პირველად ჩაწერილი იქნა ფაშლაურ (საშუალო ირანულ) ენაზე მე-6—7 საუკუნეებში. ფაშლაური ტექსტიდან მომდინარეობდა არაბული თარგმანი მე-8 საუკუნისა.

მე-8—9 საუკუნეებში ქართველმა ავტორმა გადაამუშავა ქართულ ენაზე ეს თქმულება ბუდლას შესახებ, მოახდინა მისი შინაარსის ნაწილობრივი ქრისტიანიზაცია, შეუფარდა თანამედროვე ქრისტიან მკითხველთა ლიტერატურულ მოთხოვნილებებსა და გემოვნებს.

ბუდლას ლეგენდის ეს ქართული ვარიანტი შემდეგ ცნობილი გახდა მთელს ქრისტიანულ მსოფლიოში.

ქართულ მოთხრობას მსოფლიო რეზონანსი შეუქმნა მეორე ქართველმა მწერალმა ეფთიმე ივერიელმა (10—

გამოაქვეყნა ეს ახალი რედაქცია ქართული მოთხრობის ბერძნულ ენაზე სათაურით: „მოთხრობა ბარლამისა და იოსაფის შესახებ.“

ეფთიმეს რედაქცია მე-11 საუკუნის პირველ ნახევარში ბერძნულიდან ითარგმნა მეორე მსოფლიო ენაზე—ლათინურზე. ამის შემდეგ მოთხრობა—ეფთიმეს რედაქციით—ნამდვილს მსოფლიო რეზონანსს აღწევს, იგი ითარგმნება ბერძნულიდან და ლათინურიდან ევროპისა და წინაზღვის ხალხთა ყველა ენებზე (ამასთან ზოგიერთ ენაზე იგი ითარგმნა რამდენიმე-ჯერ). საშუალ-საუკუნეთა მსოფლიოში იშვიათად თუ ჰრგებია რომელიმე წიგნს ისეთი პოპულარობა, როგორც ამ ძველ ქართულ მოთხრობას, დამუშავებულს ეფთიმე ივერიელის მიერ.



«Դա զննողն շղթա դնինս ինքեւ Յսկցն Յոյզընս»

Ին, Սնաժ, Ե Ռ Ռ Ս Յ

მესამე პერიოდი ქართული ლიტერატურისა შეიცავს ხანს მე-11 საუკუნის დასასრულიდან მე-13 საუკუნის პირველ ნახევარამდე. ეს არის რუსთაველის ეპოქა ქართული მწერლობისა, პერიოდი, რომელშიც უშუალოდ მოამზადა ნიადავი შოთას გენიალური თხზულების წარმოშობისათვის.

აღნიშნული პერიოდი ქრონოლოგიურად ემთხვევა საქართველოს პოლიტიკური ძლიერებისა და კულტურული აღორძინების ეპოქას.

რუსთაველის პოემის წარმოშობა შეუძლებელია აიხსნას, თუ არ იქმნა ვათვალისწინებელი გარემო უღრესად ორიგინალური ქართული კულტურისა მე-11—13 საუკუნეებში.

მართლაც, საიდან მომდინარეობს ის სიფართო მსოფლმხედველობისა, ის ნამდვილი ჰუმანიზმის სული, რომლითაც გამსჭვალულია რუსთაველის პოემა, ნაწარმოები რომელიც საშუალო-საუკუნეთა ქრისტიანულ ქვეყანაში დაიწერა.

ეს პოულობს ახსნას იმ გარემოებაში, რომ დაიდი კულტურული მოძრაობა, რომელიც რენესანსის სახელით არის ცნობილი, საქართველოში იწყება რამოდენიმე საუკუნით ადრე, ვიდრე იგი ნიადავს იპოვიდა დასავლეთ ევროპაში.

თელ რიგ მიზეზთა შორის, რომლებმაც მოამზადეს ეს კულტურული მოძრაობა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა ის იყო, რომ საქართველო იმყოფებოდა ორი მსოფლიოს მიჯნაზე, მუსულმანური აღმოსავლეთისა და ქრისტიანული დასავლეთისა. საქართველოს უშუალო ურთიერთობა ჰქონდა ორივე მსოფლიოსთან. საქართველოს ნიადავზე ხდებოდა შეხედრა და შეჯვარება როგორც ქრისტიანული დასავლეთის, ისე მუსულმანური აღმოსავლეთის კულტურულ გავლენათა. ეს გარემოება ვახვად ერთ-ერთი მიზეზი, რომ საზოგადოებრივ განვითარების გარკვეულ საფეხურზე დაძლეულ იქმნა საშუალო-საუკუნოებრივი ევროპული გავლენები, ვადალახულ იქმნა საშუალო-საუკუნოებრივი კარჩაკეტილობა და ხელსაწყოლობა, მოხდა განთავისუფლება საშუალო საუკუნოებრივი აზროვნების არტახებიდან. ამ ნიადავზე ვითარდება კულტურული მოძრაობა, რომელიც ბევრ ხაზებში უახლოვდება შემდეგი დროის დასავლეთ ევროპის რენესანსს.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა განმანაცოფებრებელი შეხვდრა და თავისებური სინთეზი საქართველოში ვაადვილა განსაკუთრებით ხელსაყრელმა პირობებმა, რომელიც შეიქმნა საქართველოში მე-12 საუკუნისათვის. საქმე ის არის, რომ მე-12 საუკუნის მანძილზე საქართველო ვადაიქცა დიდ სახელწიფოებრივ გაერთიანებად (საშუალო საუკუნეთა მასშაბით), რომლის ფარგლებშიაც თანდათანობით შევიდნენ როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის კულტურული წრის ფარგლებში. მე-12 საუკუნეში საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში ვაერთიანდა მთელი მრავალრიანი კავკასია, ხოლო მე-12—13 საუკუნეთა საზღვარზე საქართველოს ვაგვლენის სფეროში მოექცა ჩრდილო-ირანის რაიონები, აღმოსავლეთ ანატოლიის იმპერიებიც, და ნაწილობრივ ტრაპეზუნის ბერძნული ბიზანტია რომლის დაარსებაში საქართველო უშუალო მონაწილეობა მიიღო.

აი ამ სახელწიფოებრივ გაერთიანებაში, რომელსაც წარმოადგენდა მე-12—13 საუკუნის საქართველო, რომელშიაც კულტურულ თანამშრომლობას ეწვედნენ საქართველებთან ერთად მეზობელი ერები, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის კულტურული წრის ერთგული კოლექტივები, ჩამოყალიბდა ბრწყინვალე ქართული კულტურა, ეს უღრესად თავისებური და განუმეორებელი სინთეზი ორი კულტურისა, დასავლეთისა და აღმოსავლეთისა, რომლის მსგავსი ჩვენ არ ვაგვაქვს სხვაგან საშუალო საუკუნეთა მანძილზე

მხოლოდ ამ პირობებში და ამ ფონზე ხდება ვასაგები რუსთაველის პოემა, და ის სიფართო მსოფლმხედველობისა, ის ინტერნაციონალური სული, თავისუფალი ვიწრო ნაციონალური ნაკერძობისა და კარჩაკეტილობისაგან, რომლითაც გამსჭვალულია «ვეფხისტყაოსანი».

აქ საჭირო იქნება შევჩერდეთ იმაზე, თუ კონკრეტულად რა პირობებში და რა სახით ხდებოდა ვადმეორეგვად შეჯვარება საქართველოს ნიადავზე დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მიმდინარე კულტურულ გავლენათა.

ჯერ დასავლეთის შესახებ. საქართველოს კულტურული ურთიერთობა დასავლეთთან, რასაკვირვებელია არ დაწყებულია მე-11 საუკუნით. საქართველო, როგორც ცნობილია, თავიდანვე უახლოესად იყო დაკავშირებული ბიზანტიასთან. უფრო მეტიც: თვით საქართველო, ქრისტიანული ქვეყანა, თავისი კულტურის ძირებით დასავლეთის უფრო ეკუთვნოდა, ვიდრე აღმოსავლეთს.

მაგრამ, თუ მე-11 საუკუნემდე ქართველი მწერლები ბერძნულიდან სთარგმნიდნენ უმთავრესად სასულიერო მწერლობის ძეგლებს, ხოლო საერო ლიტერატურიდან ქართველ მწერალთა ყურადღებას იქცევდა უმთავრესად საისტორიო ხასიათის ნაწარმოებები (ხრონოლოგები, საისტორიო ხარამები), მე-11—13 საუკუნის საქართველოში ჩვენ სხვა სურათი ვაგვაქვს: მე-11—13 საუკუნის საქართველოში ჩვენ ვხედავთ ინტერესის ვაღვიძებებს ძველ ელიზნურ მსოფლიოსადმი, ძველი ბერძნული ლიტერატურისა და ფილოსოფიისადმი.

ეს მეტად მნიშვნელოვანი გონებრივი მოძრაობა — ინტერესი ანტიური მსოფლიოსადმი — არ დაწყებულია საქართველოში, იგი თვადამირველ ბიზანტიაში ჩაისახა მე-11 საუკუნეში და მან აქედან ვაიკვლია ვხა საქართველოსკენ. მაგრამ, ივის ვამო, რომ ეს მოძრაობა უკუერთიდან შემოვიდა, იგი არ დარჩენილა უცხო და ზერელე მოვლენად, არამედ ღრმა კვალი დააჩნია მე-11—13 საუკუნეთა ქართველ კულტურას და ჰუმანიტარული ფერმენტის როლი შესარულო. ცხადია მე-11 საუკუნის საქართველოში შეზადებული ყოფილა საამისოდ ნიადავი, რაკი აქ ამ გონებრივი მოძრაობას ფართო ვასავალი მიეცა.

ბიზანტიის ადრეულ რენესანსში, რომელიც თვით ბიზანტიაში საკმაოდ ხანმოკლე ვამოდგა, ჩვენ აქ შეგვიძლია არ ვავაგრძობდით სიტყვა. აღენიშნავთ მხოლოდ, რომ ბიზანტიის ამ აღრეული რენესანსის მოძრაობის ყველაზე ძველ-საინო ფიგურები მიეკვლ ფესვდობს და ითან იტალია, რომელთაც ვადაცხადდეს ბიზანტიაში ანტიური ფილოსოფიის (უმთავრესად ნეოპლატონიზმის) ტრადიციები. ერთ-ერთი ცენტრი ამ გონებრივი მოძრაობისა იყო მანვანის აკადემია, რომელიც დაარსდა კონსტანტინეპოლში მე-11 საუკუნის ნახევარში.

აღსანიშნავია, რომ ბიზანტიის რენესანსის მოძრაობაში თვით ადგილობრივ ბიზანტიაში მონაწილეობას ემბლომაზდნენ ქართველები. ასე ბიზანტიური რენესანსის ლიდერთა შორის ჩვენ ვხვდებოდა განთქმული ქართველი მოღვაწე იოანე ფილოსოფოსი (პეტრიწის სახელით ცნობილი), რომელსაც ვინათლება საბერძნეთში ჰქონდა მიღებული და რომელსაც თავისი ფილოსოფიურ-პედაგოგიური მოღვაწეობა ბიზანტიის ქართულ კოლონიაში დაუწყია. როდესაც მე-11 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ბიზანტიაში დაიწყო რეაქტია ჰუმანისტური მოძრაობის წინააღმდეგ და ფილოსოფოსი იოანე იტალი ბიზანტიის ეკლესიაში შეაჩვენა, იოანე იტალითან ერთად დევნა განუტყვი იოანე პეტრიწისაც.

მე-12 საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში არსდება აკადემიები ველათსა და ივანთოში, რომლებიც აგრძელებენ კონსტანტინეპოლის მანგანის აკადემიის ტრადიციებს. საქართველში ამ აკადემიებს სათავეში მთარგმნორც alma mater-ს, და უწოდებენ: „ახალი ათინა“, ანუ „ახალი ელადა“. ეს ზეგუწოდება „ახალი ათინა“ კარგად გამოხატავს, თუ რა ტრადიციების გამგრძელებელი იყო ქართული აკადემიები მე-12 საუკუნისა.

ამ ელნიფილურმა წრეებმა გააცოცხლეს საქართველოში ბერძნული ფილოსოფიის ტრადიციები. მით სთარგმნეს ქართულად ბერძნული ფილოსოფიური ძეგლები, უმთარგმნეს ნეოპლატონიკოსები: პორფირე დიადოხოსი („კავშირნი“); პორფირი („შეყვანილება“); ამონიოს ერმიოსის (კომენტარები არისტოტელის „კატეგორიების“ და პორფირის „შეყვანილებისა“) ნემსისონის ემსელი (ბუნებისთვის კაცია“); დიონის არეოპაგოსის სახელით წარწერილი ნეოპლატონიკური თხზულებანი; ენოს ალექსანდრიელის დილოგი. ნეოპლატონიკოსებს გარდა მათ უნარგმნიათ არისტოტელი („კატეგორიები“), პერი ერმინია“). ითარგმნა თუ არა ამავე დროს პლატონი, — არა სჩანს, ყოველ შემთხვევაში ამის შესახებ პირდაპირი ცნობები ამ დაუტყლა.

ქართული ფილოსოფიური აზროვნება ამ ეპოქაში დიდ სიმაღლემდე აღწევს. იოანე პეტრიწის ორიგინალური ფილოსოფიური ტრაქტატი, სადაც ეს შესანიშნავი ქართველი მოაზრებელი სქოლასტიური ფილოსოფიის საწინააღმდეგო პოზიციებზე დგება და ანტიკური ფილოსოფიის ტრადიციებს აგრძელებს, მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს საერთოდ საშუალ-საუკუნეთა ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით.

ინტერესები ქართული ელნიფილური წრეების არ განისაზღვრებოდა მარტო ფილოსოფიით. ჯერ კიდევ მე-11 ს. დასასრულ გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა ეფრემ მცირემ, ქართული ჰუმანიზმის ერთ-ერთმა პიონერმა, ქართულს ენაზე მოგვცა საყოველთაო ნაშრომი ბერძნული მითოლოგიის შესახებ, რომელიც ჩვენ დრომდის მოღწეულია.

ქართული ელნიფილური წრეების არ განისაზღვრებოდა მარტო ფილოსოფიით. ჯერ კიდევ მე-11 ს. დასასრულ გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა ეფრემ მცირემ, ქართული ჰუმანიზმის ერთ-ერთმა პიონერმა, ქართულს ენაზე მოგვცა საყოველთაო ნაშრომი ბერძნული მითოლოგიის შესახებ, რომელიც ჩვენ დრომდის მოღწეულია.

დასასკოტრებოთ საყოველთაო, რომ მე-12 საუკუნეში ქართული მეოთხედები, როგორც ირკვევა, გაცნობიერებოთ პიონირსაც. ჯერ კიდევ აკადემიკოსი ნ. შარვაშიაძის შესანიშნავ გამოკვლევაში მე-12 საუკუნეში ქართულ მეოთხედა შესახებ დაასკოტრება ძველ-ქართულ მწერლობაში დაკული ლიტერატურული ჩვენებების მიხედვით, რომ ქართულს ენაზე მე-12 საუკუნეში უნდა არსებულყო პიონირის ეპოსი. ამის შემდეგ შესაძლოა გახად უფრო ზუსტად დადგენა, რომ პიონირის ეპოსი განდმოიღობა ქართულად 1123—1125 წლებში შემოკლებული გადმონაცემის სახით. პიონირის ეპოსის ეს ვერსია, როგორც ირკვევა დიდს პოპულარობით სარგებლობდა ძველ-ქართულ მწერლობაში.

რომ ქართული განათლება მე-12 საუკუნისა კლასიკურ ტრადიციებს შეიცავდა, ამის მაჩვენებელია ისიც, რომ როგორც ამ ბოლო დროს გამოირკვა, მე-12 საუკუნეში ქართულად უთარგმნიათ ანტიკური მწერლობის ძველი-აფთონის რიტორიკა, რომელიც ძველად სასკოლო სახელმძღვანელოს როლს ასრულებდა.

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ცხადი ხდება, რომ მე-11—12 საუკუნის საქართველოში დასავლეთის კულტურა წარმოდგენილი ყოფილა ძლიერი ნაკადით.

რაც შეეხება კავშირს აღმოსავლეთთან, იგი მე-11—12 საუკუნეებში არა ნაკლებ ორგანიული იყო, ვიდრე კავშირი დასავლეთთან, თუ კულტურულ ურთიერთობას დასავლეთთან აადვილებდა ის გარემოება, რომ საქართველო და ბიზანტია ორივენი ეგრეთწოდებულ „ქრისტიანულ მსოფლიოს“ ეკუთვნოდნენ, კულტურული კავშირი მუსულმანური აღმოსავლეთთან ადვილდებოდა ჯერ ერთი მით, რომ თვით საქართველო გეოგრაფიულად აღმოსავლეთის და დასავლეთის მიჯნაზე იმყოფებოდა, და ამას გარდა, როგორც მოხსენებული გვეკონია, თვით საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში მოქცეული ყოფნენ აღმოსავლეთის კულტურის წრის ხალხები.

თარგმანები აღმოსავლური ენებიდან ქართულად მე-11 საუკუნეზე უფრო ადრე ხანებშიაც სრულდებოდა (და ეს საკმაო ფართ მასშტაბით, ამის შესახებ უკვე გვეჩინება საუბარი), ხოლო მე-11 საუკუნეიდან კულტურული კავშირი უფრო ორგანიული ხდება და ლიტერატურული ურთიერთობა აღმოსავლეთთან განსაკუთრებით ფართო ხასიათს იღებულობს. ქართულს ენაზე ითარგმნება როგორც სამეცნიერო ხასიათის თხზულებანი (ასე ამ დროიდან მოღწეულია ისეთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ძეგლი, როგორცაა ანაბული სამედიკინო ენციკლოპედია, განყოფილებების ანატომიადი და ფიზიოლოგიადან, თარგმნილი ქართულად 1206 წლის ახლო), ისე საერო მხატვრული ლიტერატურა.

მაგამ ეს ცოტაა. ამ ეპოქაში არა თუ ითარგმნებოდა ქართულად საერო მხატვრული მწერლობის ძეგლები, არამედ მე-12—13 საუკუნეში საქართველო თვით იყო ცენტრი აღმოსავლური, ირანული პოეზიისა. საქმე ის არის, რომ კავკასიის პროვინცია შირვანი, რომელიც მე-12—13 საუკუნეებში საქართველოს ფარგლებში შედიოდა, როგორც ვასალური სამთავრო, სწორედ ამ ეპოქაში წარმოადგენდა ირანული ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ცენტრს. შირვანის ირანულ პოეტთა სკოლის ეკუთვნოდნენ: გან-თქმული ნიშანი, უდიდესი ირანული ეპიკოსი ფარდოსის შემდეგ, ხაყანი, აბულ-ალა, ფაღაგი, ებსიკეტი და სხვანი

ეს კორიფები ირანული შერლომობის, რომლებიც საქართველოს ვასალური სამთავროს მოქალაქეები იყვნენ, და რომელთა სალიტერატურო მიღებაშიც კავკასიაში ზატარად, უშუალო ურთიერთობაში უნდა ყოფილიყვნენ და ყოფილან კიდევ ქართულ სალიტერატურო წრეებში.

ქართულ მათიანებში დასულია აღწერილობა, თუ როგორ ლებულბონდნენ ტფილისში, საქართველოს სამეფო კარზე მოსულს შირვანის ვასალ მთავარს და როგორ იმართებოდა ზვიმები მფონების — პოეტურ ნაწარმოებთა მთქმელების მონაწილეობით.

შარკანელი სპარსი პოეტი ხაყანი დაკავშირებულია საქართველოსთან თავის შემოქმედებით, მისთვის ახლობელი ყოფილა საქართველოს გარემო და ამის გამოახილი ჩვენ გვაქვს მის პოეზიაში.

გვევ იოქის ნიზამის შესახებ. ნიზამის განთქმული პოემა „ლილა-მეგნუნი“, ეს უშეშენიერესი რომანტიული ეპოპეა აღმოსავლეთისა, როგორც ამ ბოლო დროს გამოირკვა, დაკავშირებული ყოფილა თავის წარმოშობით საქართველოსთან. ირკვევა ამასთან ისიც, რომ ამ ნაწარმოების ირანული დედანი და ქართული თარგმანი გამოსულა ერთსა და იმავე წელს, 1188-ში.

გარდა ამისა, რომ საქართველოს ვასალური სამთავრო შირვანი იყო ცენტრი ამ ეპოქის ირანული პოეზიისათვის ტფილისში, საქართველოს სატახტო ქალაქში, არსებობდა აკადემია ირანულ—არაბ სუფიებისა და პოეტებისათვის. ეს აკადემია დაარსებული იყო დავით აღმაშენებლის მიერ მე-12 საუკუნის დასაწყისში (1123—1125 წლებში); იგი ბუნებრივად ასრულებდა ერთგვარი შუამავლის როლს საქართველოსა და აღმოსავლეთის კულტურული ურთიერთობის საქმეში, ლიტერატურისა და ფილოსოფიის დარგში.

ქართულ-აღმოსავლური კულტურული ურთიერთობის ისტორიისათვის დამახასიათებელია, რომ ქართველი პოეტი მე-12—13 საუკუნისა ჩახრახისძე, თანამედროვე რუსთაველისა, ვამაკელისა ირანში და არაბულ ქვეყნებში როგორც მოგზაური პოეტი, ლექსებით სპარსულსა და არაბულ ენებში.

ამვე დროს დადასტურებულია, რომ მუსულმანი პოეტები სწერდნენ ოდებს თამარზე და საქართველოს მეფეებზე.

ქართული ლიტერატურისა და აღმოსავლური, პირველი რიგში ირანული, ლიტერატურის უშუალო ურთიერთობის ამ პირობებში გასაგებია ხდება ის ღრმა კავშირი, რომელიც ამ ლიტერატურათა შორის არსებობდა.

დასარწმუნო დავტყვინთა წარმოადგინეთ რუსთაველის ხანის სალიტერატურო ძეგლთა მოკლე მიმოხილვა.

თუ რამდენად მრავალმხრივი იყო ქართული პოეზია ამ ეპოქისა, ამას გვიჩვენებს ჯერ მართო ars poetica რუსთაველისა, რომელიც შენახულა ვეფხისტყაოსნის შევავალში. ამ პატარა ტექსტში განხილული ხაზებიდან ვხედავთ, რომ ამ დროს არსებობდა მთელი წრეები პოეტების. მათ შორის ყოფილან ისეთნი, რომელთათვის თვით გენიალური შოთა იმეტებს სახელს „კარგი“.

შეუბნებლობდა სხვადასხვა დარგები პოეზიისა; იწერებოდა მონუმენტალური პოეტური ძეგლები, ეპიური პოემა, რომელთა შესახებ შოთა ამბობს:

„ერთა ცხნა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა.
მობტრთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
მაკრთ აგრეთ მელდებეთა ლექსთა გრძელთა თქმა...“

■ იყვნენ „ცოტა“ პოეტებიც, რომელთა შესახებ შოთა ირონიულად შენიშნავს:

„ვამაგვამ შევიღი ბედათი ვაწაფილთა მანადგურებელნი
იღსა ვერ მოჰაღვენ, ხულად აქვს ხოცა ნადინიანი მცირეხათა.“

ეპიური პოეზიის გვერდით შეუბნებლობდა მსუბუქი ლირიკის ქანრები:

„ასი მესამე ღვესი კარგი სანადიმოდ, სამღეროდ,
სანადიმოდ, საღ-ღობოდ, აზმანავთა სათარღოდ.“
ჩვენ მაიცი გვიამების, რაცა ოდენ თქვენ ნათულად.“

ეს მრავალფეროვანი მდიდარი პოეზია მე-11—13 საუკუნეებისა, ნაწილობრივ დაიღუპა მომდევნო ხანაში იმ ბნელ საუკუნეთა მანძილზე, რომელიც მოჰყვა მონღოლთა მუსულმანების დამპყრობებს საქართველოში (მე-13 საუკუნეში და შემდეგ განსაკუთრებით მე-14—15 საუკუნეთა სხვაგვარზე, თემურის გამანადგურებელი შემოსევების დროს, რამაც საქართველო მიწასთან გაასწორა).

მაინც ის ლიტერატურული ძეგლები, რომლებიც გადაურჩნენ ამ კატასტროფას და ჩვენ დრომდე მოაღწია და აგრეთვე ლიტერატურული მასალები, რომლებიც მოიპოება დაკარგულ ძეგლთა შესახებ (ლიტერატურული მოწმობანი, ექსცერპტები და სხ.) მაინც იძლევა საშუალებას მილიანი წარმოადგინა შედეგდანიით შოთას ეპოქის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე.

ჩვენ აქ დავგვიყოფდებთ მთავარ სალიტერატურო ძეგლთა ჩამოთვლით.

ეს ძეგლები შესაძლოა დავანაწილოთ სამ ჯგუფად: სალიტერატურო ძეგლები აღმოსავლური წარმოშობისა (თარგმანები, გადმოკეთება), სალიტერატურო ძეგლები დასავლური წარმოშობისა; ორიგინალური ძეგლები.

აღმოსავლური წარმოშობის სალიტერატურო ძეგლები ამ პერიოდში სკიპობ მრავალრიცხოვანდ ყოფილა წარმოდგენილი. ასე იკვეცა, რომ ქართულ ენაზე არსებული მთელი წყება ირანული ავტორებისა, მათ შორის ირანული ლიტერატურის უდიდესი მწერლები: ფირდოუსის „შაჰნამე“ (საქართველო ნაწილი, შედგენის ციკლი); დასურდენ გორგანელის „ვისი და რამინ“; ნიზამის „ლილა და მეგნუნი“; ნიზამის „სოსრო და შირინი“; რომინი „ვაიმე და აზრა“ სჩანს რუსთის ვერსია); უცნობი მწერლის რომინი „სალაჰან“; რომინი „ანლათ და შამბიერ“.

ჩვენ, რასაკვირველია, შემიძლია ვიქნებოდით, თუ დავასკვნიდით, რომ ამ ძეგლთა ქართული ვერსიები წარმოადგენდნენ ირანული ორიგინალთა პულატურ სიტყვა-სიტყვით თარგმანს. საქართველოში, რომ ძველ პოეტულ მხატვრულ ლიტერატურაში არსებობდა ტრადიცი ავტორულ წოდებულთა თავისუფალი თარგმანებისა, ძველი ქართველი ავტორები უხრად იძლეოდნენ უცხოურ ნაწარმოებთა თავისუფალ გადამუშავებას. ამის განსაკუთრებით მკვეთრ მაგალითს წარმოადგენდენ განახლების პერიოდის ქართველი ავტორები (თემურაზ I, ნოდარი და სხ.), ხოლო ნაწილობრივ ამის მაგალითს იძლევა მე-11—12 საუკუნის ქართული რომანი „ვის-რამიანი“, რომელიც ბევრს ხაზებში გვაგონებს დასავლურ თქმელებს „ტრისტან და იზოლდას“ შესახებ. ქართული რომანი „ვის-რამიანი“ დამოკიდებულია დასურდენ გორგანელის ირანული დედნიდან, მაგრამ საქველ ავტორს ბევრი თავისებურებანი შეუტანია ტექსტში და არ შეეცდებოდა თუ ვიტყვით, რომ ქართული „ვის-რამიანი“ მხატვრული ღირსების მიხედვით მალა სდგას ირანულ ორიგინალთან შედარებით. ირანულ



„შობრეუნელს ამაჲან ავთანდელის სელის შეუპყრის სელთითა“

ნახ. მხატ. მ. ზარისა

ლი „ვისო რა მიანი“-ს დიდ ნაკლს შეადგენს თხორობის გაქაზანებები, სტილი ხასიათდება ვადაპარბებული აღმოსავლური „ყვავილოვნობით“, მხატვრული ზომიერება აქ დარღვეულია, ხოლო ქართულ რომანში ყველა ეს ნაკლოვანება ავიღებულია იმიტომ მხატვრული ტაქტიკით. ქართული რომანის ავტორი სიტყვის ბრწყინვალე ოსტატია და ქართული „ვისო-რამიანი“ წარმოადგენს ძველი ქართული მხატვრული პროზის ერთ-ერთ უმესანისშაგვს ძველს.

რაც შეეხება დასავლური წარმოადგენის სალიტერატურო ძველებს, მათ შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ნაწილობრივ საუბარი. უკვე აღინშნული გვქონდა, რომ ქართულ ენაზე არსებულა მომაროსის ეპოსის შემოკლებული ვერსია, რომელიც გამოუქვეყნებია უცნობს ქართველს მწერალს 1123—1125 წლებს შორის.

დასავლური წყაროებიდან მიმდინარეობს აგრეთვე დიდაქტიური ხასიათის რამდენიმე კრებული, ეგერეწოდებული „აოფთეგმები“. ამ კრებულებში შესულია აფორიზმები, სენტენციები და დიდაქტიური ხასიათის მაქსიმები რომლებიც მიეწერება ანტიური ხანის ფილოსოფოსებს მწერალებს, ისტორიულ მოღვაწეებს. მე-12 საუკუნეში ქართულად არსებულა აპოფთეგმების როგორც პრაზული ტექსტები, ისე ლექსითი ვერსიებიც (— იამბიკონური ლექსებით.)

ორიგინალური ძეგლები მე-11—13 საუკუნის ქართული საერო მხატვრული მწერლობისა, წარმოდგენილია როგორც ეპოსის, ისე ლირიკის ძანრებით.

უძველესი ლირიკოსი, რომლის ნაწერები ჩვენ დრომდე მოღწეულა არის შავთელი, რომელსაც ეკუთვნის ლირიული პოემა დავით აღმაშენებლის (1089—1125 წ.) შესახებ. ამ პოემას „აბდულ-მესიანი“ ეწოდება. შავთელი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ძველ საქართველოში. „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ ბიბლიოგრაფიულ სტროფში, შავთელის შესახებ საგანგებოდ აღნიშნულია.

„აბდულ მესია“ (იგულისხმება—„ჟუკი“) შავთელსა, ლექსი მას უქს რომელსა“.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოკვეთილია, რომ შავთელს ვაგლანა მოუხდენია რუსთაველზე. შოთას პოემაში ჩვენ რამდენიმე ადგილას გვხვდება რემინისცენციები შავთელის აბდულმესიანის სტროფებისა.

ძველი სალიტერატურო გადმოცემა ამავე ხანას მე-11—12 საუკუნის საზღვრის მიაკუთვნებს მეორე ძველ ქართველ პოეტს ძანგაკორელს, რომლის მიერ შექმნილი სალექსო ფორმა ადამკვიდრდა ძველ ქართულს მწერლობაში და „ძანგაკორული“-ს სახელით იყო ცნობილი.

ქართული ლირიკა ამ ეპოქის წარმოდგენილი ყოფილა მთელი რიგი პოეტებით, რომელთაგან ყველაზე ცნობილია ჩახრუხასიძე. მისგან მოღწეულა ლირიული კრებული „თამარინა“, რომელიც შეიცავს 12 ოდეს, მიძღვნილს მეფის თამარისადმი. ჩახრუხასიძეს სალიტერატურო მოღვაწეობა საქართველოში დაუწყია, მეფის თამარის კარზე. შემდეგ იგი გამგზავრებულა საქართველოდან და შემოიღებია მთელი იმ დროს ცნობილი მსოფლიო: ირანი, ინდოეთი, ვადასულა ჩინეთში, აქედან თურქესტანის გზით შემოსულა ხაზარეთში, ყოფილა რუსეთშიც, შემდეგ ვადასულა გამგზავრებულა კონსტანტინეპოლში, აქედან ვადასულა ჩრდილო აფრიკაში, შემოიღებია მაღარბი, ეგვიპტე, არაბეთი და ერაყი (ბაღდადის ხალიფატი). ირანულსა და არაბულს ქვეყ-

ნებში ჩახრუხასიძე ვამოდოდა როგორც მოგზაურს პოეტს, ლექსებით სარასულსა და არაბულს ენებზე.

ჩახრუხასიძის თავგადასავალი მოთხრობილია ჩახრუხასიძის ქართულ ელგეიაში, რომლებიც დაწერილია მე-13 საუკუნის დასაწყისში. (პირველი ელგეია ეკუთვნის პოეტის ძმას ჩახრუხასიძე—მეორეს, ხოლო მეორე ელგეია პოეტს ბარამანს.)

მე-11—13 საუკუნის ქართული ეპოსი წარმოდგენილია ორი ძანრით: რომანტიული ეპოსი და სარიანდო რომანი.

სარიანდო ნიმუშს წარმოადგენს მოსე ხონელის „ამირან დანაურჯანიანი“. ეს ვრცელი ავანტიურული სარიანდო რომანი დაწერილია მე-12 საუკუნის ნახევარში და ჩვენ დრომდელს წოდწეულა. მოსე ხონელის „ამირანი-დანაურჯანიანი“ სჩანს კარგად იცნობდა რუსთაველი და შოთას პოემის ზოგიერთ ეპიზოდებში შესაძლოა შემენეული იქნეს მოსე ხონელის რომანის ვამოძახილი.

რაც შეეხება რომანტიულ ეპოსს, ამ ძანრის ყველაზე ვანთქმული წარმომადგენლები არიან კორიფეები ძველი ქართული მწერლობისა: შოთა რუსთაველი—ავტორი „ვეფხისტყაოსნისა“ და სარიან თმოგველი—ავტორი დილაგვითიანისა.

ამას გარდა რომანტიული ეპოსის ძანრი მე-11—12 საუკუნეებში წარმოდგენილი ყოფილა მთელი რიგი სხვა ძველებითაც (რომანები „ეთერიანი“, „ოსნაოზ და შარიელ“ და სხვანი). სამწუხაროთ ეს ძველები ჩვენ დრომდე არ მოღწეულა და მათ შესახებ მხოლოდ სალიტერატურო ცნობებია დაცული მე-12 საუკუნის ქართულს მწერლობაში.

ქერძოდ მე-12 საუკუნის ქართული რომანტიული ეპოსი „ეთერიანი“, როგორც ირკვევა, ვანსაკუთრებულსი პოპულარობით სარგებლობდა და იგი ვადასულა ხალხურს ზეპირსიტყვიერებაში. „ეთერიანი“ („აბესლომ და ეთერი“) ერთი უმწვენიერეს პოეტურ თქმულებათაგანი ქართული ფოლკლორისა, წარმოადგენს, როგორც ირკვევა, მე-12 საუკუნის ქართული რომანის ხალხურ ვერსიას.

ჩვენ ამით ვადასულაზემ ქართული ლიტერატურის ამ ზოგად მიმოხილვას, ვიდრე რუსთაველის დრომდე. ასეთი იყო ვაგისტრალურ ხანებში ქართული ლიტერატურის განვითარების გზები და ის გარემო, რომელშიაც ჩამოყალიბდა და ვამოლა უდიდესი ქართული პოეტის შოთა რუსთაველის შემოქმედება.

რუსთაველის პოემის წარმოშობა შემზადებულია იმ დიდადი ლიტერატურული ტრადიციით, რომელიც მუშავდებოდა საქართველოში საუკუნეთა ვანვადობაში და რომელშიც თავისი უმაღლესი ვამოსახულება რუსთაველის პოემაში ჰპოვა.

ვადადივართ ამის შემდეგ რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების ვანხილვებზე.

II

შოთა რუსთაველის ბიოგრაფიასათვის

არის ერთგვარი მსგავსება საშულა-საუკუნეთა უდიდესი პოეტური გენიის შოთა რუსთაველის ბუნსა და ახალი ეპოქის უდიდესი გენიოსის შექსპარის ბედს შორის. შექსპარი თითქმის სწავლი თანამედროვეა, ვაკარ მისი ვინაობა საკითხი მაინც სავად არის ქვეული და დღემდე ვარძელდება კამათი იმის შესახებ, თუ ვინ იყო უკვდავი შემოქმედი ჰამლეტისა, — მსახიობი სტრატეგორდიდან,

რეტელნი, ბეკონი, თუ კიდევ სხვა ვინმე. მკვლევართა შორის მეტი თანხმობაა, მაგალითად, უძველესი ხანის მეთორხე ხაზისოვან ანგლოსასწინედ მწერლებზე, ვიდრე ბრეტანეთის უდიდეს გენიაზე — შმესპირზე, რომლის ცხოვრება თითქმის ჩვენ დროს, უახლოეს საუკუნეებს, ბუქვლით სიტყვის ხანას ეკუთვნის.

ანალოგიური არუსთაველის მედი.

შოთა რუსთაველი თუმცა აღნიშნული მწერალია შექსპირთან შედარებით, მაგრამ რუსთაველის ცხოვრება გულის საქართველოს ძველი ისტორიის ყველაზე ბრწყინვალეს და ამასთან ყველაზე ცნობილ ხანას, მე-12 — 13 საუკუნეებს, ეპოქას, რომელიც საქართველოს ძველ ისტორიაში ეპოქის ხანას^{*)} სახელით არის ცნობილი. მართლაც, მე-12 — 13 საუკუნეთა შემდეგ საქართველომ რამდენჯერმე განიცადა პოლიტიკური კატასტროფა და ამის გამო ძველი აქართველოს კულტურული და სალიტერატურო მემკვიდრეობა ნაწილობრივ ფრაგმენტალურის სახით არის მოღწეული, მაგრამ მინც ამ ეპოქაზე მე-12 — 13 საუკუნის საქართველოზე შედარებით მეტი ვიცით. მთელი რიგი ჩვენ დრომდე გადაჩენილი ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლებისა გვაძლევს საშუალებას ახლო გავითვალისწინოთ ისტორიული გარემო, აღვადგინოთ ეპოქის სურათი.

მაგრამ უდიდესი ადამიანი ამ ეპოქისა შოთა რუსთაველი დღემდე ჩრდილში იყო დარჩენილი. ცნობები მის შესახებ ცოტა შენახულა. ანუ, უფრო სწორედ, ცნობები თუმცაღა მოიპოვება, მაგრამ ეს ცნობები მთელ რიგ შემთხვევებში არ იყო სათანადოდ ამოცნობილი. ისევე როგორც დასავლეთის ლიტერატურაში არსებობს „შექსპირის საკითხი“, ქართულ ლიტერატურაში არსებობდა და ეხლაც არსებობს „რუსთაველის საკითხი“. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობა და მასთან დაკავშირებით ზოგიერთი სხვა საკითხიც პოემის შესახებ საკმაოდ არის ქვეყლი..

მაინც რუსთაველოლოგიამ უკვე შესძლო გადაეჭრა მთელი წყება საკითხებისა, რომელთაც ჩვენს წინაშე აყენებს რუსთაველის პოემის შესწავლა. ზოგ საკითხთა გამო კიდევ წამოყენებულია მეცნიერულად დასაბუთებული ჰიპოთეზები.

ამ წერილში ჩვენ არ ვისახავთ მიზნად განვიხილოთ რუსთაველისა და მისი პოემის პრობლემა მთელის მოცულობით, შევხებით ყველა საკითხებს, რომლებიც დისკუსიის საგნად არის ქვეყლი სპეციალურ ლიტერატურაში ჩვენ აქ შეგჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ ძირითად კითხვაზე და ისიც ისეთებზე, რომლებიც უკვე საბოლოოდ დადგენილად შესაძლოა ჩაითვალოს.

1. პოეტის სახელი და ზაფხუფაბა

პირველი კითხვა, რომელზედაც აქ მოგვიხდება შეგჩერდეთ, ეს არის პოეტის სახელი და ზედწოდება.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორს, როგორც ირკვევა, ერქვა: შოთა რუსთაველი (ანუ, რაც იგივეა რუსთაველი). — შოთა სახელია პოეტისა, ხოლო რუსთველი ან რუსთაველი ზედწოდება^{*)}.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ რუსთაველოლოგიურ ლიტერატურაში იყო ცდა ექვს ქვეშ ყოფილიყო დაყენებული შოთა რუსთაველის ავტორობა, მაგრამ ეს ცდა ყოველად

უსუფრთა და ვერ უძლებს სერიოზულ მეცნიერულ კრიტიკას. სრულიად უდავოდ და გარკვეულ დებულებებში^{*)} ძღება ჩაითვალოს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი შოთა რუსთაველი.

საიდან ირკვევა შოთა რუსთაველის ავტორობა.

ჯერ ერთი ამას ადასტურებს პოემის პროლოგის ჩვენება. დამოუკიდებლად იმისგან, ვუთვინის თუ არა ავტორის ის სტროფები, რომლებშიაც რუსთაველი მოიხსენება, ყოველ შემთხვევაში ერთი რამ უდავოა, რომ აქ დაღუპულია უძველესი ტრადიცია; როდესაც ეს სტროფები იწერებოდა — პოემის ავტორად რუსთაველს სთვლიდნენ. ხოლო ეს სტროფები ყოველ შემთხვევაში მე-13 — 14 საუკუნეებზე უფვიანესი არ არის და იმდენად მცირე ნაძინით არის დამოწმებული შოთა რუსთაველის ხანიდან, რომ ამ დროს ცხადია უშუალო გადმოცემა უნდა არსებულყო, თუ ვინ იყო პოემის ავტორი.

შემდეგ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი იყო რუსთაველი, ამას ადასტურებს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწილის ზედწერილობები. რუსთაველის სახელი, როგორც ირკვევა, მოჰყვება „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებს უძველესი დროიდან და არ არსებობს არც ერთი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც არ ეთანხმებოდეს რუსთაველის ავტორობის ტრადიციას, არ არსებობს არც ერთი ხელნაწერი, სადაც ავტორად დასახლებული იყვის, არა რუსთაველი, არამედ სხვა ვინმე.

დასასრულ, რასაქირველია შეუძლებელია მნიშვნელობას მოკლებულად ჩაითვალოს — ძველი ქართული მწერლობის ერთმხრივი მოწმობა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი შოთა რუსთაველი იყო. ყველა ძველი ქართული მწერლობი, რომლებიც კი შეგვხვებიან „ვეფხისტყაოსნისა“ ყველაში გამოუქვამლები — პოემის ავტორად რუსთაველს მოიხსენებენ. სხვა ტრადიცია ძველმა ქართულმა მწერლობამ არ იცის, ასე, რუსთაველს ასახელებენ „ვეფხისტყაოსნისა“ ავტორად — მწერლებს: სერაპიმონ სოვრატისძე (1440 — 1512 წ.), იოსებ — ზილიხანიანის პოეტი (16 საუკ.), ქაიხოსრო ომანიშვილი (16 — 17 საუკ.), თეიმურაზ I (1589 — 1663), მამუკა თავაქალაშვილი, ნოდარ ციციშვილი, სულხან თანიაშვილი, ფეშანგი, იოსებ ტფილელი (17 საუკ.) და სხვანი.

ამ რივად, ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, სრულიად უუკველ ფაქტად უნდა ჩაითვალოს, — რომ ავტორი „ვეფხისტყაოსნისა“ არის შოთა რუსთაველი.

უფრო რთულია კითხვა, თუ საქართველოს რომელი მხარიდან იყო განთქმული პოეტი.

პოეტის ზედწოდება „რუსთველი“ („რუსთაველი“) ნაწარმოებია გეოგრაფიული პუნქტის სახელიდან „რუსთავი“.

საქართველოში, როგორც ცნობილია, რამდენიმე პუნქტი არსებობდა, რომელსაც რუსთავი ეწოდებოდა. და ისევე, როგორც ჰომიროსის შესახებ რამდენიმე ქალაქი იჩემებდა პატვის ყოფილიყო ჰომიროსის სამშობლო, შოთა შესახებ სხვადასხვა გადმოცემა არსებობს, თუ რომელი მხრიდან იყო განთქმული ქართველი პოეტი.

ასე არსებობს გადმოცემა, და ეს გადმოცემა უფრო გავრცელებულია, რომ შოთა იყო ახალციხის მხარის სოფელ რუსთაველიდან.

*) „რუსთველი“ — ძველი ფორმა, „რუსთაველი“ — ახალი.

არსებობს აგრეთვე მეორე გადმოცემაც, რომ შოთას სამშობლო იყო ძველი ისტორიული ქალაქი რუსთავი, რომელიც ტფილისის მიდამოებში, ტფილისის სასტუმროს იყო გაწინებული, და ქალაქად მოიხსენება კერძოდ რუსთავის ეპოქაში, მე-12 — 13 საუკუნეებში. ამ ქალაქის და მისი თემის მფლობელი საშუალო-საუკუნეებში ატარებდნენ „რუსთაველის“ სახელწოდებას.

ჩვენ აქ არ შევდივართ იმის განხილვაში, თუ რომელი გადმოცემა სწორია და საქართველოს რომელი კუთხიდან იყო განთქმული ქართული პოეტურ. ეს კითხვა კამათის საგნად არის ქველად სპეციალურ რუსთაველოლოგიურ ლიტერატურაში.

აქ დავკრიტიკებთ მხოლოდ ხაზი გაუსვლილ შემდეგს გარემოებას: დამოუკიდებლად იმისგან, თუ რომელ მხარეიდან იყო პოეტი, თვით ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი იყო შოთა რუსთაველი — არ იწვევს არავითარ ეჭვს. როგორც ზევეთაც გვქონდა მოხსენებული, ავტორობა შოთა რუსთაველისა — უტყობელი ფაქტია.

2. „ვეფხისტყაოსნის“ თარიღი

1184—1207 წწ.

შემდეგი საკითხი:

როდის ცხოვრობდა შოთა რუსთაველი? როდის არის დაწერილი მისი პოემა?

ამ კითხვებზე სრულიად გარკვეული პასუხი მოგვეპოვება.

შოთა რუსთაველი, როგორც ირკვევა, მე-12 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა. „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია მე-12 — 13 საუკუნეთა მიჯნაზე, დაახლოებით 1184 — 1207 წლებს შორის.

რომ პოემა მე-12 — 13 საუკუნის საზღვარს გეტყუნის, ამას დასტურებს თვით პოემაში დატული რეალიები. აღვნიშნავთ აქ ზოგიერთს ძირითადს დამათარიღებელ მაჩვენებელს.

ა. ვეფხისტყაოსნის პროლოგის ჩვენებათა მიხედვით, ავტორის თავისი პოემა მიუძღვნია მეფე თამარისათვის, რომელსაც იგი მიპატივას, როგორც ცოცხალ თანამედროვეს. ხოლო ვინ იგულისხმება თამარ მეფის სახელით, ეს არ შეიძლება იწვევდეს არავითარ ეჭვს. ერთად ერთი მეფე საქართველოს ისტორიაში, რომელიც ატარებდა თამარის სახელს, ეს იყო ცნობილი მეფე თამარ დიდი. თამარი გამეფდა 1184 წელს, გარდაიცვალა 1213 წ.

ბ. გარდა იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ჩვენ გვაქვს მითითება გარკვეულ ისტორიულ პიროვნებაზე, — თამარ მეფეზე, თვით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი შეიცავს ნიშანდობლივს დამათარიღებელს მაჩვენებლებს.

ასე, „ვეფხისტყაოსნის“ მოთხრობაში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ აქ „ხვარაზში“ წარმოდგენილია როგორც ძლიერი სახელმწიფო: „ხვარაზში“ ვაიგივებულია ირანთან, ხვარაზში და ირანი, ავტორის წარმოდგენით, ერთსა და იმავეს ნიშნავს. ხოლო ასეთი დგომარებობა, როდესაც ხვარაზის მფლობელთა ხელში გაერთიანებული იყო ირანი, და ხვარაზში წარმოდგენდა ირანის სინონიმს, მეტად ხანმოკლე დროის მინიჭებულ გავრცელებას. ამას დავძლიერებ სწორედ ამ ხანაში მე-12 — 13 საუკუნის მიჯნაზე.

ბ. რომ „ვეფხისტყაოსანი“ ამ ხანას, მე-12 — 13 საუკუნის საზღვარს ეკუთვნის, ამას დასტურებს აგრეთვე ის გარემოება, რომ პოემაში, რომლის დაიწყებასაც მივღეს იმ დროინდელს აღმოსავლეთის მსოფლიოს, არ მოგვივება არავითარი ჩვენება მონღოლთა მსოფლიო იმპერიის შესახებ. როგორც ცნობილია, მონღოლთა მფლობელობა ვარსკვლავი ახლო აღმოსავლეთზე მე-13 საუკუნის პირველი მესამედიდან, კერძოდ საქართველოში მონღოლები ჩნდებიან უკვე 1217 წელს, ხოლო მე-13 საუკუნის 30-იან წლებიდან მონღოლები საბოლოოდ პოემაში საქართველოს. ხოლო „ვეფხისტყაოსანში“ არ მოგვივება არავითარი ნიშანწყალი იმისა, რაც უჩვენებდეს, რომ პოეტი მონღოლთა მსოფლიოს იცნობდა.

რომ „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია მონღოლთა ხანის უწინარეს, ე. ი. არა უკვიანეს მე-13 საუკუნის პირველი მესამედისა, ამას ეთანხმება აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ ენის თვისებები. კერძოდ პოემაში არ გვხვდება ლექსითური მონგოლიზმები, რომლებიც მკვიდრდება ქართულს ენაში მე-13 საუკუნიდან,

დ. „ვეფხისტყაოსნის“ თარიღის საკითხისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, ყველა თავისი მონაცემებით ორგანიზულ კავშირში იმყოფება მე-12 — 13 საუკუნის საქართველოს კულტურულ გარემოებასთან. „ვეფხისტყაოსანს“ აკავშირებს ამ ეპოქასთან ყველაფერი, — პოემაში ასახული გარემო, ისტორიული მივლინებანი და თვით ლიტერატურული სტილიც პოემისა, რომელიც თამარის ეპოქის სხვა ძველებთან ერთად ერთ სკოლას, ერთ ლიტერატურულ ტრადიციას წარმოადგენს.

ე. დასასრულს, „ვეფხისტყაოსნის“ თარიღის დასუსტებისათვის საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს შემდეგი:

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში, როგორც აღვნიშნეთ მოხსენიება თამარ, ხოლო არ მოხსენიება თამარის-ძე, ლაშა გიორგი, რომელიც თამარმა თავის სიცოცხლეშივე დასვა ვეფხედ. გიორგი-ლაშა მეფედ იქნა აღიარებული და თანამმართველი გახდა თამარისა 1207 წლიდან. ხოლო თუ ჩვენ ვაივითვალისწინებთ საშუალო-საუკუნეთა ეტიკეტს, ძნელი წარმოსადგენია, რომ შოთას პროლოგის ოფიციალურ მიმართვაში არ დაესახლებია ლაშა-გიორგი თუ კი იგი ამ დროს საქართველოს მეფე და თამარის თანამმართველი ყოფილიყო. ამის მიხედვით „ვეფხისტყაოსანის“ თარიღი 1207 წლის უწინარეს დროს უნდა მიეკუთვნოს. ასეთია ის ძირითადი ქრონოლოგიური მაჩვენებლები, რომელთა მიხედვით შესაძლო ხდება „ვეფხისტყაოსნის“ თარიღის დადგენა. როგორც ვხედავთ, ყველა ეს ცნობები ეთანხმება ერთმანეთს, და მათი შეფარდებიდან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია მე-12 — 13 საუკუნეთა საზღვარზე, დაახლოებით 1184 — 1207 წლებს შორის.

3. შოთა რუსთაველის არ მოღვაწეობა თხზულებაში

შოთასგან ჩვენ დრომდე მარტო „ვეფხისტყაოსანი“ მოღვაწეობდა. იყო იგი ერთად ერთი თხზულება ჩვენი პოეტისა? უნდა ვიფიქროთ არა.

აქ საჭიროა შევნიშოთ, რომ თუნდაც არ შენახულიყო ცნობები შოთას სხვა თხზულებათა შესახებ, ჯერ მარტო



შოთა რუსთაველი

ფინანსთა მხატ. კ. კიქნაძისა

თეტი „ვეფხისტყაოსანს“ განხილავს უნდა მივეყვანეთ იმ დასკვნამდე, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არ არის შოთას პირველი ნაწარმოები. პართლაც „ვეფხისტყაოსანში“ შოთა ჩვენ გველინება როგორც დასრულებული არტისტი. „ვეფხისტყაოსანი“ ჯერ მართკ წინა დრომდელურ მოღწევის მხრით წარმოადგენს უნაკლო შედეგს, აქ ყველაფერში იგრძნობა გამოცდილი ხელოვანის ხელი და, რასაკვირველია ძნელი წარმოსდგენია, რომ ასეთი სრულქმნილი ხელოვანების ძველი შოთას შექმნა პირველი ხელშეებით. სჩანს „ვეფხისტყაოსანი“ არ არის შოთას პირველი პოეტური ცდა, „ვეფხისტყაოსნის“ შექმნას, სჩანს წინ უსწრებლად სხვა ნაწარმოებნი ჩვენი პოეტისა.

და მართლაც არის საბუთები, ვიფიქროთ, რომ შოთას „ვეფხისტყაოსანზე“ ადრე გამოქვეყნებული ჰქონია ორი თხზულება: რომანი იოსებ მშვენიერზე და „ქებანი“.

ეს ორი ადრინდელი ნაწარმოები შოთასი დაკარგულია და ჩვენ დრომდე არ მოღწეულა, ისევე როგორც დაკარგულია ათეული სხვა თხზულებანი კლასიკური ხანის ქართული პოეზიისა.

აქ ჩვენ შევჭრდებით ამ ძეგლებზე და განვიხილავთ ცნობებს, რომლებზეც ამ დაკარგულ თხზულებათა შესახებ მოიპოვება.

ა. რომანი იოსებ მშვენიერზე

ჯერ სიუჟეტის საკითხზე. ბიბლიური ლეგენდა იოსებ მშვენიერზე, როგორც ცნობილია დიდის პოპულარობით სარგებლობდა საშუალოსაუკუნეში მწერლობაში. სხვადასხვა ქრისტიანულ ლიტერატურებში შენახულა მოთხრობა-აპოკრიფი იოსების და ასანეთის (იოსების მიჯნური ქალის) შესახებ. ბიბლიის პოეტური ლეგენდა მოთხრობა-აპოკრიფში გავრცელებულია და შეესებოდა ახალი რომანტიული დეტალებით.

გვემდე ლეგენდა იოსებ მშვენიერზე განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მუსულმანურ მწერლობაში, ასე, ირანულ ლიტერატურაში ეს სიუჟეტი პირველად აღმოჩნდა მე-10 — 11 საუკუნეებში აბულ-ფეიზი-ბალხელმა, ბახტიარ აზვანელმა და ირანის უდიდესმა გენიმ აფი-დოუსიმ. მე-12 საუკუნეში ამავე სიუჟეტს ამუშავებს ჰამაყ ზუხარელი. შემდგომაც ამ სიუჟეტისათვის არა ერთგზის მიუმართავთ ირანულ პოეტებს, მათ შორის ირანის უკანონოლი რომანი-პოემა იოსებ მშვენიერზე.

ირანულსა და სხვა მუსულმანურ ვერსიებში იოსებ მშვენიერის რომანი ცნობილია სახელწოდებით: იოსებ და ზულიხა; ხოლო ქრისტიანულ ვერსიებში, როგორც მოხსენებული გვეჩინდა, რომანს ეწოდება იოსებ და ასანეთი (ე. ი. გმირი ქალის სახელი ასანეთ მუსულმანურ თქმულებაში შეცვლილია სახელით ზულიხა).

აი ეს განთქმული რომანტიული სიუჟეტი იოსებ მშვენიერზე, როგორც ირკვევა, დაუმუშავებია შოთა რუსთაველსაც. ცნობა შოთას ამ თხზულების შესახებ დაუკისეს მე-16 საუკუნის პირველ ნახევრის ერთ ქართველ პოეტს.

რადგან ეს ცნობა დღემდე არ ყოფილა განხილვის საგანი სპეციალურს ლიტერატურაში, ამის გამო ჩვენ აქ მოგვიხილება მასზე უფრო დაწვრილებით შეგვირდით.

აქ ქართველ პოეტს, რომლის სახელი უცნობია, და რომელიც, როგორც ირკვევა, მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა, ეკუთვნის ახალი პოემა იოსებ

მშვენიერზე. ეს პოემა მოღწეულია უნიკალურ ხელნაწერში, რომელიც ამავე ეპოქაში, მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში არის გადაწერილი.

მე-16 საუკუნის ამ ქართველი პოეტის ახალ პოემას ირანულ მშვენიერზე დართული აქვს შესავალი, რომელიც ავტორი გადმოგვცემს ბიბლიოგრაფიულ ცნობას ამავე თქმულების წინათ-არსებული ძველი ქართული ტექსტის შესახებ. ეს ძველი ტექსტი, „ამბავი ადრინდელი“ მის დროს, ე. ი. მე-16 საუკუნეში უკვე დაზიანებული ყოფილა წარმოადგენილი, მისგან მხოლოდ ნაწყვეტი ყოფილა გადარჩენილი („ცოტა იყო დანარჩენი“ — ი. გადმოგვცემს ავტორი). აი ეს ძველი ტექსტი, როგორც ეს ირკვევა მე-16 საუკუნის ჩვენებიდან, შოთა რუსთაველს ჰქუთნებია, რუსთაველის „ნასაქში“ ყოფილა. სრული ტექსტი შოთას ამ თხზულებისა, სჩანს, დაღუპულია იმ ეპოქა სიავის საუკუნეებში, რომელიც თან მოჰყვა მონღოლთა მფლობელობის დამყარებას საქართველოში და მე-16 საუკუნეში უკვე აღარ მოიპოვებოდა.

აი ამ გარემოებით, შოთას სრული ტექსტის დაკარგვით ყოფილა გამოწვეული მე-16 საუკუნის პოეტის ეს ახალი შრომა. მე-16 საუკუნის პოეტს განუზრახავს იმავე სიუჟეტის ხელახლა დაუმუშავება, იოსებ მშვენიერის ამბის სრულის სახით აღდგენა, რისთვისაც მას უსარგებლია იმ თქმულების მუსულმანური ვერსიით (სახელდობრ ჯამის ტექსტით). მე-16 საუკუნის პოეტი ამის გამო მოკრძალებით მოგვიხირობს პოემის შესავალში, რომ საქმე, რომელიც მან იკისრა, ძნელი გასაბედავია, რადგან, მას უხდება — ლექსად თქმა („დაჯრა“) იმავე ამბისა, რომელიც ძველად დაუმუშავებია ისეთ უდიდეს ხელოვანს, როგორიც რუსთაველი იყო; ამიტომაც იგი მოკრძალებით შესთხოვს რუსთაველს, რომ მისცეს „ნება თქმისა“.

პოეტი შემდეგი სიტყვებით მიმართავს რუსთაველს: „აჲ, რუსთაველ, გეთხოვებ, რომ მიმიცე ნება თქმისა, არ გასწყუდო და არ აიძლიო, თხოვნა მე მაქვს ამ თქმისა, რომე გავძრე უდაბრბო და ჯჯა თქვენი ნასაქმისა, თქვენვე იცით, სხვავე არ გებეს, დასწავლდეს და აქიძესა“.

რომ თანამედროვე მკითხველისათვის სავეგებით ნათელი იყოს ამ სტროფის შინაარსი, აქ საჭირო იქნება ზოგიერთი განმარტება.

ა. „დაჯრა“ პირდაპირის მნიშვნელობით ნიშნავს მიწყობას, ხოლო პოეტიკაში „დაჯრა“ ნიშნავს ლექსად თქმას, ე. ი. ძვირფასი თვალის დაჯრა მიწყობას. (ასე იხ. „ვეფხისტყაოსანში“ „მარგალიტი წყობილი“ ე. ი. ლექსი. შეადარეთ ანალოგიური თქმა: „მით მიჯრით მიწყობილსა“. ამ რიგად მე-16 საუკუნის პოეტის სიტყვები „დაჯრა თქვენი ნასაქმისა“ — ნიშნავს: „ლექსად თქმა თქვენი (რუსთაველის) ნასაქმისა“.

ბ. განმარტება საჭიროებს აგრეთვე უკანასკნელი ტექსტი: „თქვენვე იცით სხვავე არ გებეს, დასწავლდეს რა აქიძესა“. მე-16 საუკუნის პოეტი აქ იკონარს რუსთაველის ერთს სწავლებიას. რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ ერთ ადგილას ამბობს:

რა აქიძე დასწავლდეს რაზომ გინდა საქმებარი, მან სხვა იმისი მურნალი და მაჯაჲსა შემტყობარი — მას უპამოს რაჲა სწოდდეს სწრა ცეცხლითა მოშობიარი. სხვისა სხვანან უკეთ იციის სანარგებლო საუბარი.

მე-16 საუკუნის ქართველი პოეტი რუსთაველს ადარებს განთქმულ აქმას, რომელიც დასწავლულია. რუსთაველი

ნსურვალ იმის გამო წარმოადგენილია, — რომ მისი თხზულება, იოსებ მშვენიერის ამბავი, დაზინებულად იყო მოღწეული, ნაწყვეტის სახით იყო გადარჩენილი. ხოლო თავის თავს მე-16 საუკუნის ეს ქართველი პოეტი ადარებს უზარალო მკურნალს, რომელმაც უხედავად უწამლოს განთქმულ აქიმს, ე. ი. მოახდინოს რესტავრაცია რუსთაველის დაზინებული ნაშრომისა. აი რატომ არის, რომ მე-16 საუკუნის პოეტი, რომელმაც გამოიჩინა ვადნიერება და გაჰმედა რუსთაველის ძეგლი „ნასაქის“ განახლება, იმავე ძეგლი ამბავის ხელახლა თქმა, მოკრძალებით მიმართავს რუსთაველს და თავის გასამართლებლად მოაგონებს მას: „თქვენვე რუსთაველი, იცით, სხვავე არგებს, რა აქიმი დასწულდესა“.

ვარდა ამისა, რომ მე-16 საუკუნის ამ ქართველ პოეტს დაუცავს საყურადღებო ცნობა შოთა რუსთაველის არ მოღწეულ თხზულებებზე იოსებ მშვენიერის შესახებ, მე-16 საუკუნის ამ პოეტის პროლოგი ყურადღებას იქცევს იმ მხრივაც, რომ გვიჩვენებს, თუ რა განუზომელი ავტორიტეტით სარგებლობდა შოთა ძველ-ქართულ პოეზიაში. შოთა მიჩნეული იყო პოეზიის უდიდეს და უცთომელ მერტად. იმავე პროლოგში, მე-16 საუკუნის ეს პოეტი ამბობს რუსთაველზე:

„მეღეჟმენო, ნუ გგონიათ თავი რუსთაველის დასადარი, რომ აღძრეთ უმეტრად, თავსა ირქვით მისი დარი, ლექსთა ზოლო შემოგაკლდეს და შეიქნათ სიტყა მცადარი. მას მეფხვე განგებთა წყალობისა დესცა დარი“.

ჩვენ ამით დავასრულებთ მე-16 საუკუნის პოეტის ცნობების განხილვას რუსთაველზე. ამ რიგად ირკვევა, რომ შოთას დაწერილი ჰქონდა რომანი-პოემა იოსებ მშვენიერზე, რომელიც ჩვენ დრომდე არ მოღწეულა და რომლისგან მე-16 საუკუნეში ნაწყვეტები ყოფილა გადარჩენილი.

რა სახით იყო დამუშავებული შოთას თხზულებაში ეს ლეგენდა, ამის შესახებ ცნობები არ შენახულა. შესაძლოა მხოლოდ დავასკვნათ, რომ შოთას, როგორც სწანს, უმოთავრესად უსარგებლოა იოსებ მშვენიერის ლეგენდის ქრისტიანული და არა მუსულმანური ვერსიით. ეს შედეგის მიხედვით ირკვევა. თამარის ბოქოს საისტორიო ძეგლში — თამარის პირველ ისტორიაში („ისტორია-აზმანის შარავანდილთან“), რომელიც დაწერილია 1196 წელს, მოთავსებულია იმ დროის ცნობილი ქართული რომანების პერსონაჟების სია და მათ შორის მოიხსენება იოსებ მშვენიერის რომანის პერსონაჟები: „იოსებ და ასანეთ“. აქ, როგორც ეს დასტურდება თარიღების შეზღვევრიდან, იგულისხმება შოთას რომანი. ხოლო რაჟი რომანის გმირ ქალს რქმევია ასანეთ, როგორც ეს ქრისტიანულ ლეგენდაში, და არა ზულეიხი — მუსულმანური მსგავსად, ამის მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ ამ რომანის დამუშავების დროს შოთას უმოთავრესად ყურადღებანი ლეგენდის ქრისტიანული და არა მუსულმანური ვარიანტი.

ამის გარდა ირკვევა ისიც, რომ შოთას ეს რომანი — პოემა იოსებ მშვენიერზე დაწერილია „ვეფხისტყაოსანი“ უწინარეს. სამეგრეოს არს, რომ თამარის პირველ ისტორიაში, სადაც უკვე მოხსენებულია იოსებ მშვენიერის რომანის პერსონაჟები, „ვეფხისტყაოსანი“ ჯერ კიდევ დასახლებული არაა. ამის მიხედვით „ვეფხისტყაოსანი“ ამ დროს ჯერ კიდევ არ ყოფილა ცნობილი. შოთას იოსებ მშვენიერის რომანი სწანს „ვეფხისტყაოსანზე“ აღრე გამოუქვეყნებია

და მის თამარის მეფობის პირველ ათეულში უკვე ფართოდ მოპოვებია რომანი-პოემა.

აი ყოველივე ეს, რაც ჯერჯერობით შესაძლებელია შევხვედეთ შოთა რუსთაველის ამ დაქარბული თხზულების — იოსებ მშვენიერის რომანის შესახებ.

ბ. «ქ ე ბ ა ნ ი»

შოთას მეორე თხზულება „ქებანი“, რომელიც აგრეთვე არ მოღწეულა ჩვენ დრომდე, მოხსენებულ აქვს თვით შოთას „ვეფხისტყაოსანის“ პროლოგში: „ქებანი“ შოთას გამოქვეყნებული ჰქონია „ვეფხისტყაოსანზე“ აღრე და მიძღვნილი ყოფილა მეფის თამარისადმი, ისევე როგორც მეორე პოემაც „ვეფხისტყაოსანი“ — თამარს ეძღვნიდა.

„ვეფხისტყაოსანი“ პროლოგში შოთა რამდენჯერმე უპირისპირებს ერთმანეთს ამ ორ ნაწარმოებს: თამარის ახალ „ქებას“ (ე. ი. „ვეფხისტყაოსანი“) და აღრინდელ ნაწარმოებს, რომელიც აგრეთვე თამარის „ქებას“ შეიცავდა.

ასე, პროლოგის ერთ ადგილას შოთა სწერს:

„თამარს ვაქებდე მეფესა — სისხლისა ცრემლ-დათხვლული თქვენი ქებანი გისნი მე, არ ავად გამოიჩინებ: მელნად გიხსიერ ვიზოს ტბა, ვაღმად მე ნაი რხუელი. გინცა იმინოს — დაესვას ლახვარი გულსა ხუელი“.

ახალ ქართულზე სიტყვა სიტყვით თარგმანში ეს ტექსტი შემდეგს აღნიშნავს:

„მეფე თამარის ქებას ვიწყებ («თამარს ვაქებდე») მე, დამდრქვეველი სისხლისა ცრემლთა: თამარის ქებანი მე უწინაც მითქვამს («თქვენი»), და იგი ქებანი არ იყო ცუდად შერჩეული, მეღნად მე ზომინ ჰქონდა თვის ტბა (ე. ი. თამარის თევზები), ხოლო კალამი თვით მე ვიყავი, რხეული ლერწამი («ნაი რხუელი»). ვინც მოისმენს (იმ პირველ ქებათა), მისი გული ლახვარით განვიგირება“.

რომ შოთა აქ თავის აღრინდელ ნაწარმოებზე ლაპარაკობს, რომელიც პოეტს „ვეფხისტყაოსანზე“ აღრე დაუწერია, ეს უდავოა: პოეტი მის შესახებ წარსულ დროში ლაპარაკობს: „ეთქვენი“, ე. ი. უწინ მითქვამს, წარსულში ვთქვია.

და როდესაც შოთა ამ აღრინდელი ნაწარმოების მოგონების შემდეგ თვით „ვეფხისტყაოსანზე“ გადადის, იგი „ვეფხისტყაოსანი“ წარმოვიკვდევნს, როგორც ახალი პოეტური შთაგონების საგანი:

„თვალა მისგან (ე. ი. თამარისგან) უნათლოთა ენატრამცა ახლად ჩენა“.

შოთა პრალოგის სხვა ადგილსაც უპირისპირებს ერთ მანეთს თამარის ახალ „ქებას“ (ე. ი. „ვეფხისტყაოსანი“) და აღრინდელ ნაწარმოებს, რომელიც ასევე თამარის „ქებას“ შეიცავდა და ამბობს:

„ჩემი აწ სკანით ყურადღებანი, მას ვაქებ გინცა მითქვამ“

იმ რიგად თვით შოთას ამ ჩვენებთა მიხედვით ცხადი ხდება, რომ შოთას „ვეფხისტყაოსანზე“ აღრე დაწერილი ჰქონდა სხვა პოეტური ნაწარმოები, რომელიც „ვეფხისტყაოსანი“ მსგავსად თამარისადმი ყოფილა მიძღვნილი. საკითხავია ამას შემდეგ თუ რას წარმოადგენდა შოთას პირველი პოეტური ნაწარმოები „ქებანი“.

იგი შესაძლოა ყოფილიყო ან ოდების, ლირიული ლექსების კრებული, ან პოემა, ე. ი. იმავე ფორმის ნაწარმოები, როგორიც არის „ვეფხისტყაოსანი“. უნდა ვიცოდეთ,

რომ ძველ ქართულ მწერლობაში ტერმინი „ქება“ „ქებანი“, „საქებელი“—შიემართება „განურგელად ორივე ფორმისა პოეტურ ნაწერებს, როგორც ოდას, ისე პოემას. ასე პოემა—„ვეფხისტყაოსნისა“ც ეწოდება ხოლმე „საქებელი“ (—ქებანი), ქება; თვით შოთა თავის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ გავეცნობს როგორც თამარის „ქება“—ს ანუ „სამთა ფერთა საქებელი“.

და თუცა ჩვენ არ გვაქვს პირდაპირი ჩვენება იმის შესახებ, თუ არა წარმოადგენდა შოთას ეს პირველი „ქებანი“—იყო იგი ლირიულ ლექსთა კრებული, თუ პოემა, მაგრამ მაინც ზოგიერთ მოსაზრებათა გამო სადგირებელი ხდება, რომ „ქებანი“ წარმოადგენდა სწორედ პოემას, ისეთივე ფორმის ნაწარმოებს, როგორც არის „ვეფხისტყაოსანი“.

ამას გვეფიქრებინებს სხვათა შორის შოთას ars poetica, რომელიც მოთასებულია „ვეფხისტყაოსნის“ იმავე პრილოგში. შოთა აქ, როგორც ცნობილია „ცოტა“ ლექსებს, ლირიკის პატარა ფორმებს, აღიარებს პოეზიის დაბალ დარგად. ნამდვილ პოეტს, შოთას შეხედულების თანახმად, შეეფერება მხოლოდ მონუქენტალური ბეჭერი შემოქმედება. მოვიგონოთ თუ რას ამბობს შოთა ars poetica-ში:

„შოთა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი ძეგვა, მითარათლსა შიგნადი, მართლად ცუპა, მარჯვედ ქიჭვა, მართ აგრეთვე მღელქსეთა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა, რა მისპირდის საუბარი და დაუწყოთ ლექსმან ლევა.

„მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოუწირეთა, არ ძალუბს სრულ-ქნა სიტყვათა გულსა გასაგონებთა. ვანსავერ-მეოღო ბედითი ვნაწყოლთა მონადირთა, დღესა ვერ მოკვლენ, ხელად აქვს ზოცა დაღლითა მცირეთა.

„არს მესამე ლექსი კარგი, სანადიმოდ, სამდგრელად, სასაშვიკო, საღალბოდ ამხანაგთა სათრეველად, ჩვენ მათიცა გვიამების, რაცა ოფენ თქვენ ნათელად. მოწაირე არა ჭყენას, ვერას იტყვის თქვენა გრძელად“.

ამ რიგად შოთა, როგორც ვხედავთ „ცოტა“ ლექსებს, ლირიკის პატარა ფორმებს, არც კი სთვლის ღირსად ნამდვილი პოეზიის სახელსა.

ხოლო ამავდ დროს თავის პირველ ნაწარმოებს „ქებანი“ შოთა ავეყურს სრულებით საწინააღმდეგო ხასებით, ვიდრე ლირიულ ლექსებს. შოთა თავის პირველ „უბებათა“ შესახებ შემდეგს ამბობს;

„...ოქვენი ქებანი ვისინი (თამარისნი)—მე, არ ავად გამოარჩეული... ვინცა ისინიას, დაესავს ლახვარი გულსა ხეული..

მკითხველმა მიაცქიოს ყურადღება ცალკე დეტალებსაც. შოთა არს ars poetica-ში აღნიშნა, რომ ლირიკაში ცოტა ლექსების ფორმაში—შეუძლებელია „სრულქნა სიტყვათა გულსა გასაგონებთა“.

ხოლო შოთას „ქებანი“ თვით მისივე სიტყვით, წარმოადგენდა სრულებით სხვას; აქ იყო სწორეთ ის, რაც შოთას აზრით მოუწევდომელია ლირიკის მცირე ფორმებში; მხატვრული სრულქნა, რომელსაც ძალდს ვანგრძობა ვულთა. („ვინცა ისინიოს“—ამბობს შოთა თავის პირველ ნაწარმოებზე—„დაესვას ლახვარი გულსა ხეული“).

ამ რიგად, ყოველივე იმის შემდეგ, რაც აქ იყო აღნიშნული, სადგირებელი ხდება, რომ „ქებანი, რომელიც შოთას დაუწერია „ვეფხისტყაოსანზე“ ადრე, დარომელიც „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსად, თამარისადმი ყოფილა მიძღვნილი, სწინა წარმოადგენდა არა ლირიულ ლექსებს,

არამედ იგიურ ნაწარმოებს, პოემას იმავე ფორმის ნაწარმოებს, როგორც „ვეფხისტყაოსანი“.

დასასრულ დაგვრჩენია აღვნიშნოთ შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ „ვეფხისტყაოსანზე“ ადრე არა ერთგზის უღელია პოემის ფორმის ფორმა, ამას გავფიქრებინებდა თვით „ვეფხისტყაოსნის“ სტილი. უღელის მიღწევა „ვეფხისტყაოსანზე“ ხელოვნებისა,—ეს არის პირველ ყოვლისა პოემის შინაგანი ფორმა, ე. ო. სიუჟეტის განვითარება, ამის არტიკული გამლა. შოთა ჩვენ გვევლინება როგორც უღელის მიღწევის ხელოვანი სწორედ პოემა-რომანის ფორმისა, ასევე არტიკულად შესწობილი უნაკლო ხელოვნება, რასაკვირველია, არ იბადებთ თავიდანვე სრულქმნილი, როგორც აიხსნა ზევეისს თავიდან. ამის მიხედვით ისედაც სადგირებელი იყო, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არ უნდა ყოფილიყო შოთას პირველი ცდა პოემა-რომანის ფორმისა, და როგორც გამოირჩევა—არცა ყოფილა.

4. შოთას ბანათლუბის სამართო ხასიათი

ჩვენ არ მოგვბოვება პირდაპირი ცნობები იმის შესახებ, თუ სად და როგორი განათლება მიიღო პოეტმა, მაგარ „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით მაინც შესაძლო ხდება წარმოვიდგინოთ საერთო ხასიათი შოთას განათლებისა. შოთას, როგორც ირკვევა, ფართოდ და მრავალმხრივად განათლებდა ჰქონილა მიღებული. იგი სლავსა მთელი მისი თანამედროვე კულტურის სიმაღლეზე.

არ იქნება ზედმეტი გავითვალისწინოთ აქ, თუნდაც ზოგადად, ის სურათი, რომელსაც იძლევა შოთას განათლების შესახებ პოემის რეალიზების განხილვა.

პოეტს, ჯერ ერთი, ცხადია, საფუძვლიანი ქართული განათლება უნდა ჰქონიდა მიღებული და ჰქონია კიდევ. პოეტი აღზრდილია ძველი ქართული საერო მწერლობის ტრადიციებზე და ბუნებრივია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მთელ რიგ შემთხვევებში ჩვენ გვაქვს ან საერო მწერლობის ძველთა ნაკითხობის კვალი.

ქართულ საერო მწერლობასთან ერთად პოეტი სწინა გაეცნობოდა ყოფილა ქრისტიანულ მწერლობასაც. ასე, პოემაში ჩვენ გვხვდება რამდენიმე სახე და შედარებანი, ადებულები ბიბლიიდან. მაინც შეიძლება გარკვევით აღინიშნოს, რომ შოთა თუმცა იცნობდა ქრისტიანულ სასულიერო მწერლობას, მაგარამ მისი სიმათიბე დაწერებულ იყო ყოფილა ქრისტიანული მწერლობის ტრადიციებზე. პოეტი ძუნწად იყენებს ქრისტიანული მწერლობის მემკვიდრეობას, ისიც სრულიად ნეიტრალურ შემთხვევებში. პოემაში არც ერთხელ არ მოიხსენება ქრისტიანული, არც იქნება ქრისტიანული მსოფლიოს სპეციფიკური და საეკლესიო სული. პოემაში მხოლოდ ერთხელ მოიხსენება „მოციქულნი“, და ისიც არა როგორც წმინდანები, არამედ როგორც მწერლები, რომლებიც სხვა ფილოსოფოსებთან ერთად ჰქადაგებენ სიყვარულის სიმაღლეს.

შოთა, როგორც ირკვევა, იცნობდა დასავლეთის მსოფლიოს, ბერძნულ ლიტერატურას, პირველ რიგში ფილოსოფიას. ასე შოთას მოხსენებული ან ნაუღლისმხვეი ჰყავს ბერძენი ნეოპლატონიკოსები: პროკლე დიადოხოსი, ნენესიოს ემესელი, დიონისე არეოპაგელი, ენოს ალექსანდრიელი.

არაა ინტერესი მოკლებული აღვნიშნოთ, რომ შოთას ლიტერატურულ იდეალად მიანიჩა ბერძნული მწერლობა

ათენის ბრძენთა“ ნათქვამი. ერთ ადგილას პოეტი ამბობს:

„მე ვინ ვაქვ, ათენს ბრძენთა ხაშს აქვებუნ ესა ბეგრი“.

გარდა ამისა, რომ შოთას საფუძვლიანი ქართული განათლება ჰქონია მიღებული, გარდა ამისა, რომ შოთა სწავს იცნობდა დასავლეთის, ბერძნულ მსოფლიოს, შოთა ამავე დროს ახლო ყოფილა გაცნობილი აღმოსავლეთის კულტურას, ირანულ-არაბულ მწერლობას. აღმოსავლური კულტურა შოთასთვის ისევე ახლო და მშობლიური ყოფილა, როგორც საყოველთაო ქართული.

შოთას პოემაში მოხსენიებული ჰყავს „მოაბადნი“. თვით ტერმინის „მოაბადნი“-ს სადაურობა გვიჩვენებს, რომ აქ იგულისხმება აღმოსავლეთის ფილოსოფიურ-რელიგიური იხსნულებანი.

შემდეგ: შოთა საფუძვლიანად გაცნობილი ყოფილა აღმოსავლურ, არაბულ მეცნიერებას. პოეტის გეოგრაფიული და კოსმოლოგიური წარმოდგენები არაბული მეცნიერების ცოდნას მიუთითებენ.

პოეტი, თავის თავად ცხადია, ახლო იცნობდა აღმოსავლეთის, ირანულსა და არაბულს მხატვრულ მწერლობას. „ვეფხისტყაისანში“ მოხსენებულია ან ნაგულისხმები აღმოსავლური ირანულ-არაბული პოეზიის ძეგლები: ფირდოსის „შაჰნამე“, ფახრედინ გურგანელის „ეისი და რამიანი“, ნიზამის, „ლეილა და მეჯნური“, უცნობი ირანული პოეტის რომანი „სალამან“ არაბი პოეტის ეზრის ღვიანი.

პირველი ოთხი ნაწარმოები („შაჰ-ნამე, ეისი და რამიანი, ლეილა და მეჯნური, სალამანი“ შოთას ეპოქაში უკვე თარგმნილი იყო ირანულად ქართულად.

შოთა, ცხადია, იცნობდა ამ ნაწარმოებთა ქართულ თარგმანებსაც. (ეს სწავს, სხვათა შორის იმის მიხედვითაც, რომ ნიზამის პოემის „ლეილა-მეჯნური“ მთავარი გმირი შოთას მოხსენებული ჰყავს არა იმ სახელით, რომელითაც იგი ცნობილი იყო ირანულ ორიგინალში, არამედ იმ შეცვლილი სახელით, რომლითაც იგი ცნობილი ყოფილა ძველ ქართულ თარგმანში).

მაგრამ ამავე დროს უშეკველი ხდება ისიც, რომ შოთა იცნობდა ამ ნაწარმოებთა ირანულ ორიგინალებსაც. ეს დოკუმენტურად დასტურდება შენდგევის მიხედვით. შოთას პოემაში სწორად მოხსენიებული „ვის-რამიანის“ გმირები, ამას გარდა შოთას პოემაში რამდენჯერმე გვხვდება მოგონება გურგანელი პოეტის მხატვრული სახეებისა. და ერთ შემთხვევაში შოთა დამოკიდებულია „ვის-რამიანის“ არა ქართულ თარგმანიდან (ქართულ თარგმანში ეს ადგილი შეცვლილია) არამედ უშუალოდ ირანული ორიგინალიდან.

რომ შოთა, ირანულს გარდა, ორიგინალებში იცნობდა არაბულ მწერლობასაც, ამას ცხად-ჰყოფს ეზრის დივანის დასახელება, რომლის წყითხვა ავტორის მხოლოდ არაბულ ენაზე შეეძლო.

და საერთოდ „ვეფხისტყაისანის“ შესწავლა არ სტოვებს არავითარ ეჭვს, რომ შოთა უახლოესად იცნობდა აღმოსავლეთის და რომ მან კარგად იცოდა აღმოსავლეთის კულტურული ენები — ირანული და არაბული. (შოთას მიერ ირანულის და არაბულის ცოდნას ადასტურებს კეჩიძე ის გარემოება, რომ პოემაში რამდენსამე ადგილას ნუგასმულია არაბული და ირანული ეტიმოლოგიური ნიუანსები საუკეთესო სახელითა მნიშვნელობის).

ასეთია ის რეალიები პოემისა, რომელთა მიხედვით

ჩვენ შეგვიძლია ზოგადი წარმოდგენა შევადგინოთ შოთას განათლების საერთო ხასიათის შესახებ. ამ რეალურ შოთა, გარდა იმისა, რომ მის საფუძვლიანი ქართული განათლება ჰქონია მიღებული, ახლო ყოფილა გაცნობილი, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის მწერლობას, ფილოსოფიას, მეცნიერებას.

5. „ვეფხისტყაისანის“ დემნა. პოლემიკა რუსთაველითან

შოთას განუცვლად ჩვეულებრივი ხვედრი დიდი ნოვა, ტორებისა. შოთას გენიალური, პოემა როგორც ირკვევა, დევნის საგანი გამზადარა კლერიკალურად განწყობილი წრეებისათვის.

ცნობილია, რომ გვიან ეპოქაში, ასე მე-18 საუკუნეში შოთას პოემის გარშემო კლერიკალურ წრეებში შექმნილი იყო დიდი ოპოზიცია. თითონ ანტონ I კათალიკოსმაც კი გაილაშქრა შოთას წინააღმდეგ, აუტო-და-ფე გაუმართა შოთას პოემას, და თავის წყობილ სიტყვათაშაიკ არ დაევიწყდა აღენიშნა, რომ, შოთას „ამაოდ დაშვარა, საწუხარ არს ესე“.

„ვეფხისტყაისანის“ შესახებ დასავლეთის განილვიანი ირკვევა, რომ ეს ტრტული მამულიდებულმა ფანტაზიური წრეებისა შოთას პოემისადმი ძველი დროიდანვე მოდის ასე, ამას ადასტურებს „ვეფხისტყაისანის“ ინტერპოლაციების განხილვა. ერთი მე-13—14 საუკუნის ინტერპოლატორი, მაგალითად, შეიტყდა სწერის გოთას შესახებ.

„აესა ვაესა აიე სიტყვა უჩაგვეთა ხულსა, ზოლსა“.

პოემა სწავს დიდი პრეტენსუსა და გულისწყურობას იწვევდა კლერიკალურად განწყობილი წრეებში თვით შოთას უახლოესი ხანიდან, და ის ოპოზიცია შოთას პოემის გარშემო, რომელსაც ჩვენ ვხედავთ მე-18 საუკუნეში, ეს არის მხოლოდ ნაკვირვები გამომთხილი იმ დევნისა, რომელსაც პოემა წინა საუკუნეებში განიცდიდა.

რით იყო გამოწვეული ეს დევნა?

დევნა შოთას პოემისა იმით ყოფილა გამოწვეული, რომ კლერიკალური წრეები შოთას პოემაში ხედავდნენ ანტიქრისტიანული ტენდენციას; თვით შოთა როგორც ირკვევა, ქრისტიანული ეკლესიიდან განდგომილად ითვლებოდა.

ძველ ქართულ სალიტერატურო წყაროებში შოთას წინააღმდეგ წამოყენებული პირდაპირი ბრალდება მისი „ურწმუნობისა“ და ქრისტიანობიდან განდგომის შესახებ.

ასე, ერთ პოლემიკურ დამატებაში, რომელიც ჩართულია „ვეფხისტყაისანის“ ყველა ჩვენ დროამდოლწეულ ხელნაწერებში, აღნიშნულია, რომ „ვეფხისტყაისანი“ არ არის ქრისტიანული ნაწარმოები, რომ აქ გადმოცემულია არა-ორთოდოქსული სწავლა, „სპარსული“ მოძღვრება. კეთილმორწმუნე ინტერპოლატორი აფრთხილებს მკითხველებს, რომ „ვეფხისტყაისანი“ არ არის სახეხა სამეხობისა და რომ მისი გადაკითხვა წაწყმედას უდრის. ინტერპოლატორი სწერს:

„პირველ თავის დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად, უხმობთ ვეფხისტყაისანობით, არას შეიქნ ხორცს არსულად, სავროთა, არ ახსენებს სამეხობასა ერთ არსულად არას გვარგებებს საუქუნოთს, რა დღე იქმნას აღსარულად“.

ეს პოლემიკური დამატება, მიმართულია რუსთაველის წინააღმდეგ, დაახლოებით მე 14 საუკუნით თარიღდება.

გაღმორკემა იმის შესახებ, რომ შოთა არ იყო ორთოდოქსი ქრისტიანი, ჩვენ გვხვდება უფრო გვიან ხანაშიც. ამ გაღმორკემას მე-17-18 საუკუნემდე მოუღწევია.

ასე პოეტ არჩილს (მე-17 საუკ.) პოემაში „თეიმურაზის და რუსთველის გაბაასება“, აღნიშნული აქვს, რომ შოთა ქრისტიანულ დოგმატებს არ იზიარებდა.

სრულიად გარკვეული ბრალდებით მიმართავს შოთას ცნობილი მწერალი და მოგზაური ტიპით გაბააშვილი მთავარეპისკოპოსი (მე-18 საუკ.). იგი სწერს შოთას შესახებ: „ესე იყო მიქაქელი ლექსთა ბოროტია, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმიდისა წილ ბოროტი ბილწება და გაიყენა ქრისტიანობა. ხოლო უწინარეს ჩვენთა საღმრთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი“.

6. შოთას ფილოსოფიური მსოფლმხედველობა-ბისათვის

შოთა არის უდიდესი პოეტი მოაზროვნე საშუალო საუკუნეებისა. თვით შოთა თავის ars poetica-ში აყენებს პრინციპს პოეზიისა და სიბრძნის სიმთვინიის შესახებ:

„შაირობა პირველადე სიბრძნისა ერთი დარგა“.

ჩვენ აქ ზოგადად შევხებით შოთას ფილოსოფიური მსოფლმხედველობის საკითხს.

„ვეფხისტყაოსნის“ შესახები მასალების განხილვიდან როგორც ვნახეთ, ირკვევა უაღრესად საყურადღებო გარემოება, რომ შოთას პოემას სდევნიდა ეკლესია, რომ შოთა ქრისტიანობიდან განდგომილად ითვლებოდა.

ეკლესიამ, რასაკვირველია, კარგად იცოდა რასაც სჩადიოდა. შოთა როგორც ამას გვიჩვენებს „ვეფხისტყაოსნი“ განხილვა, მართლაც დაშორებული ყოფილა ქრისტიანულ ეკლესიურ იდეოლოგიას. შოთას პოემა გამსჭვალულია თავისუფალი მოაზრობის სულით.

რომ შოთა არ იზიარებდა ქრისტიანულ დოგმატებს, ეს სრულიად უდაოდ ირკვევა იმ გარემოებიდან, რომ პოეტი ერთხელ არ მოიხსენიებს თავის პოემაში ქრისტეს, და ამას გარდა პოემაში არც ერთხელ არ არის აღნიშნული ღვთაების სამსახეობა. ეს გარემოება ყოველდ უჩვეულო მოვლენა იყო საშუალო საუკუნეთა მწერლობაში და აქედან სრულიად აშკარად მკლავნდებოდა პოეტის „ურწმუნობა“. ეს კარგად შეუმჩნევიათ საშუალო საუკუნეთა კლერიკალურსაც. ჩვენ უკვე აღნიშნული გვეჩინდა, რომ მე-14 საუკუნის ინტერპლატორი სავანეებში აფრთხილებს მკითხველებს, რომ შოთას „ვეფხისტყაოსანი“ არ არის ქრისტიანული ნაწარმოები, რადგან „ვეფხისტყაოსანი“ „აა ასხენებს სამებასა ერთაბასუღლად“, და რომ ამის გამო „ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვა წაწყმედას უდრისო.

ქრისტიანობასთან ერთად პოეტი აგრეთვე მუსულმანობასაც უარყოფითად უტყუროს. პოეტი სიმპატიით ავიწყრს მუსულმანურ ქვეყნებს, მაგრამ მუსულმანური რელიგიისადმი დაუფარავ ირონიას ამჟღავნებს. ასე მუსულმანური რელიგიური წესები „ვეფხისტყაოსანში“ პირდაპირ მოხსენებულია სისულელის „ჩმახების“ სახელით. მუსულმანი მუყრებისა და მულმების შესახებ, რომლებიც კითხულობდნენ მუსულმანთა საღმრთო წიგნს „მესაფს“ (ყურანს), ნათქვამია, რომ ისინი სისულელეს „სმხ-ხეიდნო“.

ცხადი ხდება ამ რიგად, რომ პოეტი რელიგიურ საკითხებში თავისუფლად მოაზრობდა იმნება და უარყოფითად უტყუროდა, როგორც ოფიციალურ ქრისტიანულ ეკლესიას, ისე მუსულმანობას.

შოთას ფილოსოფიური მსოფლმხედველობა შეიცავს პანთეისტურ ელემენტებს. შოთა ჰქადაგებს სინათლის ერთგვარ მატერიალიზმს. შოთას პოემაში ღვთაებებს მხოლოდ დევნილია როგორც კოსმიური ნათელი, რომლის სრულყოფილი გამოვლენადაცაა „ვეფხისტყაოსანში“ ჩვენ გვაქვს პოეტური რელიგია ლეგენდა—მისი, რომელიც აღიარებულია კოსმიური წყობის დასაბამად.

მიგვიყავს ორი ადგილი პოემისა, სადაც ყველაზე ნათლად მოჩანს შოთას ეს ფილოსოფიური კონცეპცია ღვთაება—მისი შესახებ.

პირველია—ნესტან-დარეჯანის წერილი, ეს უმშვენიერესი ფურცელი „ვეფხისტყაოსნისა“, სადაც შოთა ვადაცვლავს თავის შეხედულებას კოსმიურ წყობაზე და სიკვდილ-სიცოცხლის დრამაზე.

მივიგონოთ ჯერ, თუ რა პირობებში იწერება ეს წერილი.

ნესტან-დარეჯანი დატყვევებულია ქაჯეთის ციხეში. რაკი არაკეთიარი იმელი ტყვეებიდან გამოხსნისა არ არის, ნესტან-დარეჯანი გადაწყვეტს გადმოვარდეს ქაჯეთის ციხის მაღალი კლდეებიდან და თავი მოიკლას. და ამ წერილში, რომლითაც იგი მიმართავს თავის მიჯნურ ტარილს, ნესტან-დარეჯანი სწერს:

„სული ჩემი შევიფრენ, ზეითი ნომხედნე ნუ თუ ფრთენი.

ღმერთსა შემეფრე, ნუთუ კვავ დამხსნას სოფლისა შრომასა. ცეცხლსა, წვალსა და მიწასა, ჰართათ თანა ძრწომასა, მიმცეს ფრთენი და აღფრინდე, მოგხედ მას ჩემსა ნდომასა, დღისით და ღამით ვხედვდე მისა ეკლესია სიკეთიასა.

„მე უშნოდ ვერ იქნების, რათვან შენ ხარ მისი წილი, განაღამე მას იახლ მისი ეტლი, არ თუ წბილდე, მუნა ვნახო, მადეე ვახსო, განმინათლო გული ჩრდილი, თუ სიკაცებლმე მწარე მქანდა, სიკვდილითა მქანდა, ტახილი.

„მე სიკვდილი აღარ მიმამის, შემოვფედრებ რათვან სულსა“.

მეორე ადგილი პოემისა, სადაც ჩვენ ვეცნობით შოთას ამ ფილოსოფიურ კონცეპციას ღვთაება-მისი შესახებ, ეს არის მწანათობა ლოცვა აეთანდრობას, სადაც რუსთაველი, ლევინდარული ორფეოსის მსგავსად გავაცოცხლებს მიუღეს ბუნებას.

ავთანდილი მნათობთა ლოცვაში, რომელიც ნესტანის წერილთან ერთად მხოლოდ პოეზიის უდიდეს შედეგთა რიცხვს ეკუთვნის, და სადაც რუსთაველის საზეიმო ლექსი მოიხსის როგორც ნამდვილი სიმთვინია, —წარმოადგენილია კოსმიური კრებული შეიღთა მნათობთა, რომლის სათავეშია ც რუსთაველი ათავსებს მზეს, როგორც თავიკიდურის მსოფლიო პარმონისა.

რუსთაველი იწყებს მნათობთა ლოცვას-მისისადმი მიმართვით, — შემდეგის სიტყვებით:

„მიზავლი ცასა შესტრისი, ფუნებრის, ეტყვის მებასა: მია, ცნებრთო, გეჯავები, შენ უმძლესთა მძლესთა მძლესა“.

ამ რიგად რუსთაველი აქ მზეს პირდაპირ უწოდებს ღმერთს. მზე-ღმერთი — ეს არის წყარო დაუმრეტელი სინათლისა, იგი არის „უშქლესთა მძლესთა მძლეს“, რომელიც ყოველდღიურად ახალს და იმარჯვებს ბნელზე.

ასეთია საერთო აბრისი რუსთაველის რელიგიურ-ფილოსოფიურ შეხედულებათა, რომელიც პანთეიზმის ელემენტებს სთვალავს.

ამ რიგად ირკვევა, რომ რუსთაველი დაშორებული ყოფილა ქრისტიანული ეკლესიის იდეოლოგიას. შოთა უარყოფითად უტყუროდა გაბატონებულ ოფიციალურ

როგორც, როგორც ქრისტიანობას, ისე მუსულმანობას და ამ მხრივ იგი ისეთს თვითნებურ მოაზრობას იჩენდა, რომ უჩვეულოა საშუალო-საუწყუნებისათვის.

რუსთაველმა დაარღვია საშუალო საუწყუნებრივი აზროვნების არტახეტი, იგი გასცლიდა ვიწრო რელიგიური განცდილობას. რუსთაველის პოემა გამსჭვალვლია ნამდვილი ჰუმანიტარული სულით, იგი აღბეჭდილია ნამდვილი თავისუფალი მოაზრობით. რუსთაველმა მიიღო მსოფლმხედველობის ისეთი სითვითოვეს, სადამდისაც არ მისულა არც ერთი პოეტი საშუალო-საუწყუნეთა დასავლეთისა. ამ მხრივ რუსთაველს ვერ შეედრება თვათ დიდი წინამორბედიც ალირძინებისა — დასწერ ალიგერი, რომელიც ვერ განთავისუფლებულა საშუალო-საუწყუნეთა აზროვნების ტყვეობიდან, და რუმოს „ლეთაებრივი კომედია“ ატარებს სქოლასტიკისა და საშუალო-საუწყუნებრივი აზროვნების წარუშლელ ბეჭედს.

IV

„ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები. სიუჟეტი

„ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხებიდან წინ აქ გამოვიყოფთ და ცალკე შევხვდებით სიუჟეტის საკითხზე. თუ როგორი წარმოშობისაა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი, ამ საგანზე სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა შეხედულება არსებობს. გამოთქმული იყო მოსაზრება, თითქო „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს ქართულ ფოლკლორში დაცული ხალხური თქმულების გადაშენებას. არსებობს აგრეთვე შეხედულება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი ირანული ლიტერატურიდან უნდა მომდინარეობდეს. დასასრულ არსებობს შეხედულება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი ორიგინალურია და რომ პოეტს რაიმე უშუალო პრაქტიკული სიუჟეტისა არა ჰქონია

ყველაზე ნაკლებ დასაბუთებულა „ვეფხისტყაოსნის“. სიუჟეტის ფოლკლორიდან მომდინარეობის ჰიპოთეზი.

ეს ჰიპოთეზი ძირითადად ეყარება იმას, რომ ქართულ ფოლკლორში ამ ქადაგ მოთხოვება თქმულებანი „ვეფხისტყაოსნის“ ციკლისა, — ხალხური „ვეფხისტყაოსნის“. შოთას პოემის პირველწყაროდ „ვეფხისტყაოსნის“ ეს არსებული ხალხური ვერსიები არის მიჩნეული.

მაგრამ ეს შეხედულება ვერ უძლებს სერიოზულ კრიტიკას. შოთას პოემისა და ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ შედარებით შესწავლა არ სტრევეს არავითარ ეჭვს, რომ შოთას პოემა კი არ არის დამოკიდებული ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ ანაბეჭდზე, არამედ პირაქით, ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ — მომდინარეობს შოთას პოემიდან. აქ ჩვენ უცხოებულად გვაქვს ლიტერატურული ნაწარმოების შემდეგდროინდელი გახალხურების მავალითი. შოთას პოემა, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა უძველეს დროიდანვე და იგი საუკუნეთა განმავლობაში გადასულა ხალხში, დამკვიდრებულა ფოლკლორში, და ამ გზით წარმოშობილა „ვეფხისტყაოსნის“ არსებული ხალხური ვერსიები.

ჩვენ ამით, რასაკვირველია, არ გვინდა ვთქვათ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ არ იყოა ქართული ფოლკლორიდან

შთავისებული ელემენტები. ასეთი ელემენტები პოემაში, სინამ, მართლაც არის. მაგრამ ეს ენება არა სიუჟეტის მთლიან აღნაგობას, არამედ სიუჟეტის ცალკეულ ელემენტებს.

ამასთან აქ საჭიროა ხაზი გაუსვავთ შემდეგს გარემოებას. შოთას პოემის ფოლკლორული წყაროები, როგორც ირკვევა, უნდა ვეძიოთ არა ხალხურ „ვეფხისტყაოსანში“ — ეს უკანასკნელი, როგორც აღვინშნეთ, უძველესი შოთას პოემიდან მომდინარეობს), არამედ სხვა თქმულებებში, და პირველ რიგში ქართული ფოლკლორის უძველეს და უშესანიშნოეს ძეგლში — ამირანის თქმულებაში. ასე, მაგალითისათვის აღვინშნავთ, რომ შოთას პოემის გმირთა სამება, რომელიც ქაჯუთის ციხიდან გამოისინის ნესტანდარეჯანს, ბევრ სახეობა გვაგონებს ამირანის თქმულებაში სამს გმირს, რომლებიც ზეციური კოშკიდან გამოიყვანენ მზეთა-მზის ქეთუ-კაბარს.

მინც შეხვედრა შოთას პოემისა ფოლკლორთან, და კერძოთ ამირანის თქმულებასთან, არ სცილდება — როგორც აღვინშნეთ — სიუჟეტის ცალკეულ სახეებს. შოთას, როგორც ირკვევა, უსარგებლნია ქართული ფოლკლორული წყაროებით, ხალხური შემოქმედების მოტივებით, მაგრამ ისიც უდავოა, რომ პოემის სიუჟეტი მთლიანად აღებული, არ მომდინარეობს ფოლკლორიდან.

განვიხილოთ ამის შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ირანულობის ჰიპოთეზი.

შეხედულება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი ირანული ლიტერატურიდან უნდა მომდინარეობდეს, ეყარება „ვეფხისტყაოსნის“ ნაგვიანეგ ხელნაწერებში დაცულს ერთს სტროფს. ამ სტროფში აღვინშნულია, თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი აღებულია ირანული მოთხრობიდან („სპარსული ამბავიდან“).

ამ ცნობას, რასაკვირველია, არ შეეძლო არ გამოეწვია დიდი ინტერესი და ამ საგანზე მთლიან ლიტერატურა შეიქმნა. საკითხის შესწავლას უყვე ორას წლებზე მეტი ისტორია აქვს. („ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის „სპარსულობის“ საკითხი პირველად კრიტიკულად განიხილა ვახტანგ მე-6-ემ „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარებში, რომელიც 1712 წელს გამოქვეყნდა“).

ესა ჩვენ უკვე შეგვიძლია შევაჯამოთ ამ ხანგრძლივი ვკლავის შედეგები და საბოლოო პასუხი გავკეთო აღძრულ საკითხს.

ეს პასუხი უთოოდ უარყოფითია, ვადაპრით შეძლება ითქვას, რომ ცნობა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის „სპარსულობაზე“ არ შეეფერება სინამდვილეს; ირკვევა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი ღრმად ორიგინალურია და რომ პოემის მოთხრობას ძირები საქართველოს სინამდვილეში აქვს.

რომ ეს ასეა, ეს ცხადი გახდება შემდეგი მიმოხილვიდან.

1. თავდაპირველად საჭიროა აღვინშნოს, რომ ყველა ის ადგილები „ვეფხისტყაოსნისა“, რომლებიც ენება „ვეფხისტყაოსნის“ ამბავის საკითხს, და რომლებიც მოთხოვება „ვეფხისტყაოსნის“ ნაგვიანეგ ხელნაწერებში, არ ეკუთვნის თვით პოემის ავტორს. რომ აქ საქმე გვაქვს გვიანი დროის დანართებთან, ეს — ცხადი ხდება ტექსტების ფილო-

ლოგოტი ანალიზიდან და „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგისა და ეპილოგის პირვანდელი აღნაგობის გათვალისწინებიდან. მით დანართობას ადისტურებს ავრთვე „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების ტრადიციის მერყეობა. (ასე, მაგალითად, ირკვევა, რომ სტროფი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ამბავის „სპარსულობას“ ეხება, თავდაპირველად არ შედიოდა პოემის ტექსტში, არამედ მიწერილი ყოფილა შენიშვნის სახით ხელნაწერის არშიაზე. ამით იხსნება, რომ შემდეგ ამ სტროფისათვის გარკვეული ადგილი ვერ მიუჩნიათ. შემდეგი დროის ვადამწერლებმა არ იციან, თუ პოემის რომელ ადგილას ჩააქრონ ეს სტროფი, რომელიც არშიაზე ყოფილა მიწერილი, და თავსებენ ამ სტროფს ხან „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში, ხან პროლოგის გარეთ — პირველ თავში).

2. ამრიგად, თუმცა ირკვევა, რომ ის სტროფი, რომელიც სიუჟეტის „სპარსულობას“ ეხება—ყალბია და შემდეგ არის ჩართული „ვეფხისტყაოსანში“, მაგრამ ამით, რასაკვირველია, კითხვა არ წყდება. გამოსარკვევი რჩება, თუ საიდან და რა გზით დაიბნა თვით ეს „შეხედულება“, თითქო პოემის სიუჟეტი „სპარსული“ იყოს. იქნებ ამ გვიანდელი დანართის ავტორს ჰქონდა რაიმე ცნობა ან ვადმოცემა სიუჟეტის სპარსულიდან მომდინარეობის შესახებ. ხოლო თუ ეს ცნობა ლეგენდარულია, რის მიხედვით და რა მოსაზრებათა გამო შეიძლება ამ გვიანი დროის ინტერპოლატორმა ეს ცნობა.

ამის გამოიკვება შესაძლებელი ხდება. თავდაპირველად მოვაგონებთ მითთვებში, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში ჩვენ გვხვდება ინტერპოლაციები სხვადასხვა დროისა და მათი განხილვიდან ირკვევა, რომ თავდაპირველად, როცა ლაპარაკობდნენ „ვეფხისტყაოსნის“ „სპარსულობაზე“, აქ გულისხმობდნენ არა სიუჟეტის სპარსულიდან სხსნებას, არამედ „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობას, „ვეფხისტყაოსნის“ არა-ქრისტიანულს, მწვალებლურს“ (ერტიკულს) ადგილობრივს.

ასე ერთ ძველ ინტერპოლაკიაში, რომლის შესახებაც ჩვენ უკვე ვგვიჩნა საუბარი, აღნიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არ არის ქრისტიანული ნაწარმოები, რომ აქ ვადმოცემულია „მწვალებლური“ სწავლა „სპარსული“ მოძღვრება, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ამის გამო არ არის ხსენება სპირიტისა და რომ „ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვა წაწყვიდას უდრის ¹.

აი ეს სტროფი გამხდარა მიზეზი, რომ შემდეგ წარმოშობილა ლეგენდა, თითქო „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი სპარსულიდან მომდინარეობდეს. გვიანი დროის ინტერპოლატორს სრულიად აურევია ძველი ტრადიცია, რომელიც ეხებაოდა არა სიუჟეტს, არამედ იდეოლოგიას, „ვეფხისტყაოსნის“ არა-ქრისტიანულს მოძღვრებას.

3. „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის საკითხის შესახებ არაა მნიშვნელობას მოკლებული ერთი ტექსტი, რომელიც მე-14 საუკუნით თარიღდება. ეს ტექსტი, როგორც ირკვევა გუთუნის მე-14 საუკუნის ნახევრის პირველ სარგის მიერ თმოგველს და შეტანილია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში ².

სარგის თმოგველის ამ ტექსტის თანახმად „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს ქებას თამარისა („სიტუტობისა ვინ შეუთა პვენს ხმელთა შინა“). ამასთან აქ საგანგებოდ აღნიშნულია, რომ ეს ქებანი, რომელიც შოთაბეგისა თამარის, არავს უთქვეს შოთაბეგ წინ.

ამ ტექსტში სარგის თმოგველი თვით შოთას ალაპარაკებს „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ და წარმოაქმენინებს შოთას შემდეგს სიტყვებს:

„...კვლავ ქებანი გჳადღუნ ვის მე, არ გვის უთ ქებას ჩემსა წინა

ისაღ მოსიმაზოს მხვაგისი, არ დაუცდენ ვისთა შინა, მისთვის (თამარისთვის) ვღვქსობ, სიტუტობისა ვინ შეუთა პვენს ხმელთა შინა“.

ამრიგად ეს ცნობა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობას გულისხმობს და სიუჟეტის უცხოურ წარმოშობას გამოირიცხებს. ამ ვადმოცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა იმის გამო, რომ იგი ძველ ხანას, მე-14 საუკუნის ნახევრის გუთუნის და ახლოა თვით შოთას ეპოქასთან.

4. რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი არ არის „სპარსული“ (ირანული) წარმოშობისა, ამას ვადპირთი ვასტურებს ის ვარემოება, რომ ამ სიუჟეტის კვალს ჩვენ ვერ ვაოულობთ ირანულ ლიტერატურაში.

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ძიება ირანულ მწერლობაში უკვე ორას წელზე მეტია, რეა სწარმოებეს.

ვახტანგ მე-VI, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი მეცნიერი ვადმოცემელი და კომენტატორი, საგანგებოდ დაინტერესებული იყო „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის საკითხით და სცლიდა ვარემოებები, რომლებზე თუ არა ირანულ ლიტერატურაში ისეთი ნაწარმოები, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ მსგავს სიუჟეტს შეიცავდეს. ვახტანგ მე-VI ირანულ კულტურაზე იყო აღზრდილი და მას ჰქონდა შესაძლებლობა ამ საკითხის გამო ამომწურავი ძიება ეწარმოებინა და ვახტანგი ამ ძიებამ უარყოფითი დასკვნამდე მიიყვანა. „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარებში, რომელიც ვახტანგმა 1712 წელს ვაოაქვეყნა, ვახტანგი აცხადებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი სპარსულ მწერლობაში არ არის; „სპარსშიც ეს ამბავი არსად აოივება“—ვადმოგვეცემს ნახტანგი.

ძიება „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისა ვახტან მე-VI-ით არ დასრულებულა. ამის შემდეგ სხვებიც და მათ შორის ისეთი ავტორიტეტული მკვლევარი და ერუდტიტი, როგორიც იყო ვახტანგელოზ აკაემიკოს ნიკო მარტი, ვანაგრძობდნენ ძიებას „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის პროტოტიპის მაგრამ უშედეგოდ. ირანულ მწერლობაში არაფერი ამის მსგავსი არ აღმოჩნდა.

როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის პროტოტიპის ძიება ირანულ ლიტერატურაში უშედეგოდ დასრულდა, ამის შემდეგ ჰიბერ-კრიტიკოსთა მიერ წამოყენებულ იქნა ასეთი მოსაზრება: თუმცა „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი, ირანულ მწერლობაში არ არის, მაგრამ შესაძლოა ასეთი სიუჟეტი არსებობდეს და შემდეგ დაკარგულიყო.

მაგრამ ასეთი მოსაზრება მოკლებულია საფუძველს და აი რატომ:

საქმე ის არის, რომ ირანულ ლიტერატურაში არ მოიპოვება ისეთი სიუჟეტი, რომელსაც აქ ჰქონდეს მთელი რიგი ვანშტოებანი. არის სიუჟეტები, რომლებიც ათჯერ და მეტათაც დაუშვებულა. ასე, მაგალითად, თემა იოსებ-ზილიხანიანის მარტო ირანულად, თურქული ვერსი-

¹ „...ნათქვამია იგ სპარსულად... არას შეიქმს ხორცს არსულად... არა იხსენის სამებას ერთ-არსულად, არას ვჯარვებს საუფუნის რა დღე ახსენის დასასრულად“.

² ხელნაწერი H-2074 ეს ტექსტი აღნიშნულია თმოგველის სიგნატურით („თ“).

ბის მიუთვალვად, დამუშავებული იყო 13-ჯერ; „ლეილა და მეჯნუნის“ სიუჟეტი დამუშავებული იყო ირანულად 18-ჯერ, თურქულად 10-ჯერ.

და განაწარმოსადგენია, რომ ირანულად არსებული-ყო ისეთი შინაარსის ნაწარმოები, როგორიც არის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ჯერ მარტო თავისი ამბით, თავისი სიუჟეტით — გენიალობის ბეჭედს ატარებს, და რომ ასეთს ნაწარმოებს არ ჰქონოდა განსტრუბანი ირანულსა და სხვა აღმოსავლურ ლიტერატურაში? თუკი „ლეილა და მეჯნუნს“ 23-ჯერ იქნა დამუშავებული ირანულად და თურქულად, რუ თუ „ვეფხისტყაოსანის“ რომანტიულ სიუჟეტს გამოძახილა არ უნდა ჰქონოდა. თავის თავად ცხადია, თუკი „ვეფხისტყაოსანის“ სიუჟეტი ირანული წარმომობისა ყოფილიყო, ჩვენ დრომდე მოაღწევდა ან მისი დედანი, ან მის შემდეგ დროინდელი ვადამუშავებთ, ან მიბაძვები. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არც ირანულსა და არც სხვა აღმოსავლურ ლიტერატურაში არ არის.

მაგრამ ეს ცოტად. შესაძლოა მეტიც აღინიშნოს. საჭმეო არის, რომ ირანულსა და სხვა აღმოსავლურ ლიტერატურაში არა თურბ მოიპოვება „ვეფხისტყაოსანის“ სიუჟეტის შემცველი ნაწარმოები, არამედ აქ არც ერთი სალიტერატურო წყაროში არ გვხვდება არავითარი ხსენება ან ციტატა „ვეფხისტყაოსანიდან“, არავითარი თუნდ შორეული მოგონება „ვეფხისტყაოსანის“, არსად არ არის მოხსენებული. „ვეფხისტყაოსანი“ თუნდ რაიმეღმე გვირის სახელიც კი. ვერსად ვერ ვპოულობთ გამოძახილს არათუ სიუჟეტისა, არამედ ცალკეული ნიშნული ადგილებისა, ავილით, მაგალითად, ისეთი მკვეთრი სიმბოლოები სხვ, როგორც არის ვეფხისტყავეთი შემოსვა მიჯნურობის გამო. მიჯნურობის ამგვარს სიმბოლიკას ჩვენ ვერ ვპოულობთ ვერც ირანულს და ვერც საერთოდ აღმოსავლურ ლიტერატურაში.

6. რომ „ვეფხისტყაოსანის“ სიუჟეტი არ არის ირანული (სპარსული) წარმომობისა, ამის მაჩვენებელია კერძოდ ანტი-სპარსული ტენდენცია, რომელსაც შეიცავს პოემა „ვეფხისტყაოსანი“ აღბეჭდილია ინტერნაციონალური სულის, იგი გამსჭვალულია ფართო ჰუმანიტარული შემწყნარებლობით. აქ ერთგვარის სიყვარულით არის დახატული ღმობსავლეთის სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, — არაბნი, ინდონი, თურქნი და სხვ., მაგრამ ამავე დროს პოემაში შეინიშნება გარკვეული ანტისპარსული ტენდენცია (— რაც აინსება საქართველოსა და ირანის პოლიტიკური ურთიერთობით გარკვეულს ხანაში). „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილია ერთად-ერთი მოქმედი პირი სპარსელი და ისიც უმეტესობისა და ფათორაკის განმსახიერებელი: სპარსეთის მფლობელის ხვარაზმან-უფლისწული. ამასთან სპარსელები, როცა კი მოთხვა საუბარი, მოიხსენიებან ერთგვარის ანტიპათიითა და სიძულვილის გრძობით (ესე ამაბად არ ეგებოს, რომე სპარსნი გავიხსანდენ“, „ჰკადრე თუ, სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჰამასა“). თუ კი „ვეფხისტყაოსანი“ სიუჟეტი სპარსული წარმომობისა ყოფილიყო, რასაკვირველია უცნაური იქნებოდა ეს ანტი-სპარსული ტენდენცია, რომელსაც ჩვენ ვხედავთ „ვეფხისტყაოსანის“ მოთხრობაში.

7. ძირითადი და გადაამწყვეტი შინაშენლობის ჩვენება, რომლის მიხედვითაც ირკვევა „ვეფხისტყაოსანის“ ორიგინ-

ნალობა, ეს არის პოემაში დასახული ისტორიული გარემო. ავილით მაგალითისათვის ქალის კულტი და რანდობა, რომლითაც შთაგინებულია პოემა და ტრეკანის მამობრაველი საწყისი პოემის სიუჟეტისა. ქალის კულტი და რანდობის ინსტრუქტი იმ სახით, როგორცადაც იგი დახატულია „ვეფხისტყაოსანში“, საქართველოს სინამდვილიდან არის აღუბული, შეიცავს წმინდა ქართულს სპეციფიკებს და მას არა აქვს ანალოგია ისლამის აღმოსავლეთში.

ვავემ ითქმის პოემის ტიპების შესახებ. ასე — ქალი „ვეფხისტყაოსანში“, ნესტან-დარეჯან, თინათინ, ფატმან, ასპათ, — არსებლებით სხვა არსებაა, ვიდრე ქალი მუსულმანურ აღმოსავლეთში, მუსულმანურ ლიტერატურაში და ცხოვრებაში. ისლამის გავრცელებისა და ჰარამანის რეკიშის შემოღების შემდეგ ქალმა მუსულმანურ მსოფლიოში დაკარგა დამოუკიდებელი დეკონომია. ხოლო „ვეფხისტყაოსანი“ არა მხოლოდ თავისი ცნობილი აფორიზმით „ლეკვი ღომისა სწორია, ძე იოს თუნდა ხვდია“, არამედ მთელი სიუჟეტური განვითარებით ამტკიცებს ქალის და ვაგის თანასწორობის იდეას. პოემის გმირი ქალები ნესტან, თინათინ, ასპათ, ფატმან, ისეთივე დამოუკიდებლობისა და აქტივობის სულს ამღვავებენ, როგორც პოემის გმირი ვაგები, — ტარიელ, ავთანდილ, ფრიდონი. „ვეფხისტყაოსანში“ გადმოცემულია არა მხოლოდ ქალის კულტი. პოემაში ამასთან ერთად წარმოყენებულია პრინციპული ქალისა და ვაგის თანაწარობის პოლიტიკურ ცხოვრებაში და პოქოს სიუჟეტი ამ მაღალი იდეის გამომღვავენას შეიცავს.

ამიოვად ცხადი რომა, რომ პოემა თავისი ძირებით უღრმესად არის დაკავშირებული საქართველოს სინამდვილესთან. „ვეფხისტყაოსანი“ წარმოგვიდგენს სულ სხვა სამყაროს, ვიდრე ამის ჩვენ ირანულ-არაბულ ლიტერატურაში ეხედავთ.

8. დასასრული რევეფხისტყაოსანი“ ორიგინალური ნაწარმოებია, ამისი მაჩვენებელია არა მხოლოდ ის გარემოება, რომ „ვეფხისტყაოსანში“ დასახულია ქართული გარემო. ა. ამას ემატება აგრეთვე შემდეგი: „ვეფხისტყაოსანში“ აშკარად შეინიშნება მე-12 საუკუნის საქართველოს გარკვეული ისტორიული მოვლენების გამოძახილი. მოვიკონოთ მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი ქალის გამეფების ამბავი არაბთადა და ინდოეთში. ეს ამბავი თავისი დაზახისათებელი დეტალებით წარმოგვიდგენს გამოძახილს საქართველოს ცნობილი ისტორიული ამბებისა. აქ ჩვენ გვაქვს პოეტური ასპექტში წარმოდგენილი თამარის ისტორიის ანარკლი. ანალოგურ მოვლენას საქართველოს გარემო არსად არ ჰქონია ადგილი იმდროინდელ აღმოსავლეთში.

საზოვადოდ უნდა აღინიშნოს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ გარკვევით შეინიშნება ისტორიული ქარგა, რომელიც ორიგინალი ნაწილით მოთხრობისა, ორგანიზირდა არის შემკვილი სიუჟეტთან, და რომელიც მე-12 საუკუნის საქართველოს ისტორიული ამბების გამოძახილს შეიცავს.

ასეთია ის ძირითადი მაჩვენებლები, რომელიც მიხედვით შესაძლო ხდება გარკვევა „ვეფხისტყაოსანის“ სიუჟეტის საკითხისა. ყოველივე იმის შემდეგ, რაც ზემოთ იყო აღნიშნული, „ვეფხისტყაოსანის“ სიუჟეტის ღრმა ორიგინალია ყოველსავე ექვს გარემო.

რუსთაველის პოემა და მისი სიტყვების საუკუნოვანი

შიდ საუკუნეზე მეტია, რაც ამობრწყინდა რუსთაველის პოეზიის ვარსკვლავი და მის შემდეგ იგი უკლების ბრწყინვალეობით პნათობს პოეზიის ცაზე.

რუსთაველმა განუზომელი გავლენა მოახდინა ქართულს ლიტერატურაზე, როგორც ძველ ქართულ მწერლობაზე, ისე ახალზე.

ძველი ქართული მწერლობა — რუსთაველის ეპოქიდან ვიდრე მე-12 საუკუნემდე ატარებდა რუსთაველის დიადი გენიის პერფორმულს ბეჭედს. მართალი იყო ძველი ქართველი ლიტერატურა, როდესაც იგი თავის ცნობილ პოემაში „თეიმურაზისა და რუსთაველის გაბაასება“ — რუსთაველს წარმოათქმევინებს შემდეგს სიტყვებს:

„მე ვარ ძირა ლექსთა თქმისა,
მელტყმენი ჩემზედ შენთა“.

შემთხვევითი როდი იყო, რომ ძველი ქართველი პოეტები შემოქმედებითს მუშაობას იწყებდნენ ხოლმე რუსთაველის სახელით და მამართავდნენ მას, როგორც პოეზიის ნამდვილს მუხას:

„უკ რუსთაველი, გეთხოვები, რომე მომეც ნება თქმისა...“

ძველი ქართული მწერლობა დავალებული იყო რუსთაველისაგან დიდი ლიტერატურული სტილით, დავალებული იყო რუსთაველისაგან იდეებით, მაღალი საკაცობრიო იდეალებით, პოეტური ფორმის ტრადიციით და თვით ენით, ახალი სალიტერატურო ენით, რომლის ფუძემდებელიც რუსთაველი იყო.

მე-18 საუკუნის ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი უდიდესი პოეტური გენია ძველი ქართული ლიტერატურისა რუსთაველის შემდეგ, გამოთქვამს მთელი ქართული მწერლობის შესხვედრებას რუსთაველზე, როდესაც იგი შოთას ადაჯებს ცოცხალ ხეს, რომლის ფესვები ღრმად არის გადვადებული მიწაში და რომლის შტოებიც უმდივიდ ნაყოფთა მამოცემელი:

თხდესა ბრძენან რიორმან შოთან რჯო იგავთ ხეო და
ფსევ-ღრმა ჰყო, შტონი უჩინა, ხედ ხელი მოიწოთა,
ორგზითვე ნაყოფ მოსცენად ვისცანაც მთირხეთდა.

მე-18 და მე-19 საუკუნეთა მიჯნაზე ქართულს ლიტერატურაში გასდევს ეპოქალური მზღვარი, სრულდება ძველი ქართული ლიტერატურის ციკლი და იწყება ახალი: თუ მე-18 საუკუნემდე ქართული მწერლობა თავისებურად აერთობდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ლიტერატურათა ტრადიციებს, მე-19 საუკუნეში ქართული ლიტერატურა საბოლოოდ შედის დასავლეთის ლიტერატურა და წაუყო.

თავის მართაველის გავლენა ამის შემდეგაც, ქართული მწერლობის ამ ახალ ციკლში, ოდნავად არ შემცირებულა რუსთაველი როგორც იყო, ისევე დარჩა უაქტივესი ფაქტორი ქართულის მწერლობისა და მისი გავლენა შეუცნობლად გრძელდება ახალს ქართულს ლიტერატურაში მე-19 და მე-20 საუკუნეთა მანძილზე. ის დიადი განახლება ქართული მწერლობისა, რომელიც მოახდინეს მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართველმა კლასიკოსებმა და რომელიც შეასრულეს ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა, თუ ერთის მხრივ ეგრობის ლიტერატურის ტრადიციას ეწყარება, — მეორეს მხრით ძველი ქართული ლიტერატურის მემკვიდრეობიდან უშუალოდ აგრძელებს

რუსთაველის ტრადიციას. შემთხვევითი როდია, რომ რუსთაველმა თავის „მერანში“ უსუპოვარი მხედარი წარმოავლინა შოთას ავთანდილის ორეულის სახეზე და მერანის უკვად სტროფებში ავთანდილის „ანდჭჭმის“ და მნათობა ლოცვის“ ენით ანეტყველდა. შემთხვევითი როდია, რომ აკაკის ლირიკის უბრწყინვალესი ლექსები შოთას პოეტური სახეების საუფუხეო ღებულობენ სათავეს.

მიუხედავად შვიდი საუკუნის მანძილსა, რუსთაველი როგორც იყო ძველად, ისევე რჩება დღემდე ქართული მწერლობის შთამავანებელ წყაროდ და წამყვან ძალად. რუსთაველის პოეზიის გავლენა ვასცხვს მთელს ქართულს პოეზიას, როგორც გოლფშტრემის მდინარეა, და რუსთაველის უფუადეა შიარის ბუღასაკია დღემდე შეუწლებლად იგრძნობა თანამედროვე ქართულს პოეზიაში.

* * *

ჩვენ აქამდე ვეხებოდით „ვეფხისტყაოსანს“, როგორც ლიტერატურულ მოვლენას.

მაგრამ ამასთან აქ საქაროა ხახი გაუსვათ იმ უკარესად მნიშვნელოვანსა და საუკულისხმო გარემოებას, რომ „ვეფხისტყაოსანი“ როლი ქართული კულტურის ისტორიაში არ შემოიფარგლებოდა იმით, რომ იგი იყო წმინდა ლიტერატურული ფაქტორი. „ვეფხისტყაოსანი“ გავლენის წყე გასცალდა ეპოქო ლიტერატურულ დარკულს და იგი გადაიქცა ნამდვილ ხალხურ საუნჯედ. პოემა უძველესი დროიდანვე შეითვისა ხალხმა, იგი ნამდვილ ხალხურ ნაწარმოებად იქცა. „ვეფხისტყაოსანი“ გახალხურება მიდენდა შორს წყე და, რომ წყამალა მზღვარი მწერლობასა და სეპირისტყვაობას შორის, „ვეფხისტყაოსანი“ გადავიდა ფოლკლორში და რუსთაველის პოემის გარშემო შექმნა ხალხურ თქმულებათა ციკლი.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ რუსთაველის პოემას მის სამშობლოში გრჯო ისეთი პოპულარობა, რომელიც იშვიათად თუ სადმე რგებია ლიტერატურულ ნაწარმოებს. საქართველოში შექმნილი იყო ძველად და დღემდისაც ცოცხალია რუსთაველის პოემის ნამდვილი კულტი. „ვეფხისტყაოსანი“ თავისი პოპულარობით ეტოქებოდა თვით რელიგიურ ლიტერატურას (რომლის ატორიტეტიც ასე მაღლა იდგა საშუალო საუკუნეებში), და რუსთაველის „საშაირო“ წიგნს — „ვეფხისტყაოსანს“ ჰგულისხმობდა ძველი ქართველი პოეტი, როდესაც სწერდა:

„საღმთო წოგნი ბგვიო წყანა უსუთა და უხუდლიათო
საშაიროს ინახვენ სტავრის ბჟიდა და ნახლობით.

ამაო იყო კულტურალური წრეების მიერ გამართული დღენა. „ვეფხისტყაოსანმა“ იზოვა გზა ხალხის გულსაკენ. ქართველი ხალხი მამართავდა „ვეფხისტყაოსანს“ ქირას და ლხინში, როგორც სიმბძნის დაუსრეტელ წყაროს. ძველი ქართველი პოეტი სწერს შოთასზე:

„საქართველო სასვე არის, მისი წოგნი ყველგან გაჭქებს,
ვის ლხინი აქვს მას უბნობენ, ანუ ფული ვისცა უწყებს!

თუ რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი ხალხი „ვეფხისტყაოსანს“, ამისი ერთ-ერთ მჭერ-მეტყველი მაჩვენებელია კარავად ცნობილი ჩვეულება „ვეფხისტყაოსნის“ მშთავად გატანების შესახებ. ეს ჩვეულება, რომელიც დღემდე შენახულია ძველ საქართველოში, ცოცხალი იყო თვით მე-19 საუკუნეშიაც კი. ახალგაზრდა ქალს შექმნიდა საქარის ოჯახში „ვეფხისტყაოსანი“, რუსთაველის სიმბძნე. შოთას პოემას ეთმობოდა საგანგებო კუთხე ახლად შექმნილ ოჯახში. რუსთაველის პოემის სტრიქონები ნინად ესმოდა ახალ თაობას, და შემდეგ,

როცა ბავშვი წამოიზრდებოდა, იგი რუსთაველის წიგნზე იწყება ქართული ანბანის სწავლას.

„ვეფხისტყაოსანი“ შევიდა ქართველი ხალხის ყოველ-დღიურ ცხოვრებაში. ქართველი პოეტი თეიმურაზ მე-II (1700—1762) თავის წიგნში საქართველოს წებობათა შესახებ („სარკე თქულთა“) მოცვიანბნობს, რომ სიმღერა რუსთაველის ხანებისა („რუსთაველის მუნასიბები“) მიღებულ ყოფილა ძველი ქართული ქორწილის რიტუალში, ასე, როდესაც სასიძო („მეტე“) მაყრიონთ სასძლოსთან („დედოფალთან“) წასივლელად გაემხადებოდნენ:

„მეფის წაღვლის დრის ასტეონ
მა მაღლა თვით მაყრსლები,
თქვა მუნასიბო ლექსები
რუსთაველისაგან თქმულთა“.

აგრეთვე, როდესაც ქორწილი დასრულდებოდა და მეფე ასადგომად გამეხადებოდა:

„მემაყრულთ თქვან რუსთაველს
მუნასიბები ჟეზისა“.

შემდეგ, როდესაც დედოფალს ვაყის სახლში წამოიყვანდნენ და მეფე-დედოფალი მაყრიონის თანხლებით დაიძროდა:

„მოვანდეს რუსთაველის ლექსი,
შემოსახონ წამ ასია:
„მოიყვანეს იგი ბირშუბა
და შედგომი აქისა“.

კულტი „ვეფხისტყაოსნისა“ მოსიანს ყოფა-ცხოვრების წყრილშია. ასე, თქვენ შესხედებით გლების უბრალო თიხის ქურქულს, რომელზედაც წერა-კითხვის ძლივს მცოდნე მეტყველის მონდობებით ამოუწვანავებია რუსთაველის აფორიზმი. ან და შეხედებით რუსთაველის ბრძნულ სიტყვებს-ამოქარაგულს ხელმანდილზე. ამომწვარს ქამარის ეკრესლზე და სხვა.

კარგად არის ცნობილი, თუ რამდენად ფართოდ იყო გავრცელებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტების ზეპირი ცოდნა. იყენენ „ვეფხისტყაოსნის“ მიქმელები, რომელთაც ზებორად იცოდნენ მთელი პოემა. ამასთან არსებობდნენ და დღემდისაც არსებობენ „ვეფხისტყაოსნისა“ ხალხური ვერსიების რეციტატორებუა, რომლებიც ასრულებენ შოთას პოემის ფოლკლორულ ვარიანტებს საკრავის აკომპანიმენტით.

„ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები შევიდა ხალხური სიტყვიერების საუნჯეში და ხალხი იმეორებს შოთას სიტყვებს ანდაზებისა და სენტეციების სახით.

* * *

სად არის სათავე ამ განუზომელი გავლენისა, რომელიც მოახდინა შოთას პოემაზე ლიტერატურაში და ხალხის ცხოვრებაში.

რას შეიცავს „ვეფხისტყაოსანი“, რომ მას საუკუნეთა მანძილზე არ აკლდება შთაბეჭდილები ძალა და მუდმივ რჩება ცოცხალ და მოქმედ პოეტურ ქმნილებად.

ორი უდიდესი და უშუქვენიერესი გრძნობა ადამიანისა — მეგობრობა და სიყვარული, — აი რას უმღერის შოთა რუსთაველი თავის პოემაში, უმღერის ისეთი სრული პოეტური ხმით, როგორც იმითათად თუ ვისმე უმღერია რუსთაველზე ადრე, ან რუსთაველის შემდეგ.

სიმღინია სიყვარულისა და მეგობრობისა გაშლილია პოემაში ცისარტყელის მრავალფეროვანებით:

ნესტანისა და ტარიელის მიჯნურობა ტრაგიკულის შინარავდელით მოსილი;

თინათინის და ავათანდილის სიყვარული მხარის ბრწყინვალეობით განათებული:

მეგობრობა ვეფხა-ტარიელისა, ავათანდილისა, თეიმონისა, — ეს უდიდესი გრძნობა, რომელიც განსახიერებს ძმობას არა მხოლოდ ადამიანთა შორის, არამედ ძმობას ხალხთა შორის.

მეგობრობა ქალთა — ნესტანისა და ასმათისა, ნესტანისა და ფატმანისა, — რომელსაც არა ფერხებს მათი სხვადასხვა სოციალური ფენებისადმი კუთვნილება.

მეგობრობა ვაყისა და ქალისა, — ტარიელისა და ასმათისა, — ეს ქეშარიტად უშუქვენიერესი ფურცელი მსოფლიო პოეზიისა, უნახესი და უკეთილშობილესი გრძნობით შთაგონებული.

და ყოველივე ეს მოცემული ისეთ სრულქმნილ მხატვრულ ფორმებში, რომელიც უშუქლოდ მიდის ადამიანის გულთან და სამუდამოდ აღიბუქდება მასში.

რუსთაველი თავის პოემაში უმღერის შვენიერებისა, კეთილისა და სიმართლის ძლიერამოსილობას. რუსთაველი თავის პოემის გენიალურ სიმბოლურ სახებში წარმოგვიდგენს, თუ როგორ დააშო მეგობრობისა, გვირობისა და სიყვარულის გრძნობით შთაგონებულმა სამმა რაინდმა ბოროტების, სიბნელისა და ძალმომრეობის სიმბოლო ქაჯეთის ციხე, და როგორ გაათავისუფლეს მათ მთვარე, რომელიც გველს ჰყავდა დატყვევებულა.

რუსთაველი პოემა გამსჭვალულია მაღალი ეთიკური იდეალებით.

რუსთაველის პოემაში იდგა მეგობრობისა და სიყვარულისა შემოსილია ზნობრივი სიმაღლის შარავანდედით, იგი არის გამოვლენება ადამიანის ბუნების სიდიადისა.

სიყვარული რუსთაველის პოემაში არ ეყარება სენტემენტალურ მოტივაციას, სიყვარული არის წყარო ზნობრივი განახლებისა. იგი ითხოვს მიჯნურისაგან არა ცრემლსა და ბნედას, არამედ საგმირო საქმეებს:

„მედიით ბნედა, სიკვდილსა მიჯნურობა გგონია,
სჯობს საყვარელსა უჩენე საქმეი ზემოთათა!“

იდეა მეგობრობისა რუსთაველის პოემაში დასახულია როგორც უმაღლესი ნორმა ადამიანის მოქმედებისა. მეგობრობა პოემაში წარმოდგენილია არა როგორც უბრალო ყოფა-ცხოვრებითი ურთიერთობა ადამიანთა, არამედ სასუფელო, რომელზედაც შენდება საზოგადოება.

მეგობრობა, ეს ძირითადი ლეიტმოტივი „ვეფხისტყაოსნისა“, — მიმართულია ზოგად-კაცობრიული იდეალების სამსახურისადმი.

რუსთაველი ჰქადაგებს ძმობას არა მხოლოდ ადამიანთა შორის, არამედ ძმობას ხალხთა შორის.

რუსთაველის პოემაში მოცემულია უდიდესი მთელს მსოფლიო პოემაში — პოეტური განსახიერება ხალხთა ძმობის იდეისა, სამი ნათელი გვირის მეგობრობის სახით, — რომლებიც გავრთიანებული არიან ერთის აზრითა და ერთის გულისთქმით კეთილისა და სიმართლისათვის სამსახურის საქმეში. რუსთაველმა მეგობრობის ნიადაგზე დაახლოვა და დააკავშირა სხვა და სხვა ხალხთა წარმომადგენლები და ამით იგი ერთეული და სარწმუნოებრივი კარნაკეტობის ხანაში ამაღლდა უფარაოეს ინტერსაკონიალობის შეგდებად.

ამვე დროს რუსთაველის პოემის გვირები გამსჭვალული არიან პატრიოტიზმით, თავისი მცვენისა და მშობლიური ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და თავდადების გრძნობით. ამ მხრივ „ვეფხისტყაოსანი“ ყოველი

დროის ადამიანის შეგნებაში, ღრმად ნერგავს თავის სამ შობილსადმი სიყვარულსა და ერთგულებას უშწინდეს იდეას.

ასე, პატრიოტიზმის უკეთილშობილესი გრძობის განსახიერებას წარმოგვიდგენს, მაგალითად, პოემის გმირი ქალი ნესტან-დარეჯანი. ნესტანი, ჯერ-კიდევ ყრმა-ქალი, როდესაც მის გულში პირველად აინთება მიჯნურობის ნათელი, თავისი სიყვარულის ოცნებას აერთებს თავისი სამშობლოს დიდების ოცნებასთან. ხოლო შემდეგ, როდესაც ნესტანი ვაიფის ცხოვრების ეკლიან ვაჟს, ქაჯეთის ციხეში ტყვედ მოხვდება და საბოლოოდ გადაიწყვეტს გამოსხნის იმედს, სიყვარულის მოლოდინს უკანასკნელ გამოსახიერავს წერილში ნესტანი ისევ მოუწოდებს თავის მიჯნურ ტარაელს სამშობლოს სამსახურისათვის.

რუსთაველის პოემა გამსჭვალულია მაღალი ზნეობრივი სტრიქონების და გმირული აქტივობის სულით.

ყოველი გენიოსი ჰქმნის დროისა და სივრცის ფარგლებში. რუსთაველის პოემის ფონი არის საშუალო-საუკუნეთა გარემო, საშუალო-საუკუნეთა ქართული მსოფლიო. მაგრამ შოთას პოემა ეკუთვნის კაცობრიობის გენიოს იმ დიად ქმნილებათა რიცხვს, რომელთა მნიშვნელობა არა დაეკვირვებოდა ამა თუ იმ ეპოქასთან, რომლებშიც არ ჰქარავებენ თავის ცხოველყოფილობას მას შემდეგაც, რაც გადავიდა ის ისტორიული გარემო, რომელსაც იგი ასახავდა. ეპოქასთან ერთად ირდილება ცალკეული ადგილობრივი სპეციფიკური ელემენტები, ხოლო რჩება პოემის უცვლადი ფორმა, ზოგად კაცობრიული შინაარსი-თი.

რუსთაველი თავის გენიალურ ქმნილებით, დაღვა მიეცა თავისი თანამედროვე მსოფლიო მწერლობისა და აზროვნების დონეზე მაღლა. „ვეფხისტყაოსანი“ უღარესად პროგრესიული მოვლენა იყო საშუალო საუკუნეთა მსოფლიოსათვის, იგი ერთგვარად წინაშე არხდებია ახალი ეპოქისა. „ვეფხისტყაოსანი“ გამჭვალულია იმ დიადი ჰუმანიტარული იდეებით, რომლებიც გაცილებული ვეგან, ორი საუკუნის შემდეგ საფუძვლად დაედო ევროპული რენესანსის მწერლობასა და აზროვნებას.

საკაცობრიო იდეალს საშუალო-საუკუნეთა მსოფლიო ლიტერატურაში არ ჰყოლია უფრო დიდი მომღვრალი, ვიდრე რუსთაველი იყო. რუსთაველის პოემაში მეტყველებს ადამიანის თავისუფალი გული და თავისუფალი სინდისი. ადამიანის სულიერი ცხოვრების უწყაოები, რომლებიც სანახევროდ გადაშროლია იყო საშუალო საუკუნეებში, რუსთაველის პოემაში აღწევს თავის საყესას. რუსთაველი უდიდესი ჰუმანიტი, რომლის მსგავსი არ იცის საშუალო საუკუნეთა მსოფლიო ლიტერატურაში.

როდესაც ჩვენ ეხილავთ რუსთაველის პოემის სპეციფიკას, საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს რუსთაველის პოემის დრმა რეალიზმი, პოემაში წარმოდგენილი გმირები ანდვილი ოცხალი ადამიანებია. პოემაში მოცემულია რეალურ ადამიანურ ურთიერთობათა დრამა. რუს-

თაველის პოემის გმირებთან შედარებით, საშუალო-საუკუნეთა, როგორც აღმოსავლეთის, ისე განსაკუთრებით დასავლეთის ლიტერატურის პერსონაჟები ერთგვარად სტემატურობისა და იკონოგრაფიული განყენებულობის მექედს ატარებენ.

რუსთაველი დიდი მესაიდუმლო ადამიანის სულია. ბაძქნი პოეტი შეუდარებელი ხელოვანია ადამიანის გრძობათა გადმოცემაში.

პოეტი ერთგვარის უკეთილშობილი ხელოვნებითა და უკეთილშობილი გავებით წარმოადგენს სხვადასხვა სახეს, სხვადასხვა ტიპს. პოემაში სრულყოფილის ხელოვნებით გავლია ტარიელის დიონისური ბუნება—მისი მღვდლარე სული. ამის გვერდით ასეთივე მხატვრული სიმაართით მოცემულია აპოლონური სახე ბძქნის ავთანდილისა, აღბეჭდილი პარმონიული მთლიანობით.

ამაირადვე უნაკლო ხელოვნებით დახატულია უცვლადი სახეები ნესტან-დარეჯანისა და თინათინისა, რომლებიც სხვადასხვა სამყაროს წარმოადგენენ.

იმ ოთხი მთავარი გმირის გარშემო მოცემულია გააღვი პერსონაჟებისა, რომლებიც ასახული არიან მხატვრული სინამდვილითა და ადამიანის ბუნების ღრმა ცოდნით. ფრიდონ—ტიბი უფრო და უშიშარი რაინდისა; როსტევენი—დიდელი საშუალო საუკუნეთა მონარქისა, „მაღალი, უხეი, მდნალი“; ასმათ—განსახიერება მეგობრული ერთგულობისა და თავდადებისა, ერთ-ერთი უმწვენიერესი სახე მსოფლიო ლიტერატურაში; ფატმან—ველგარული და მომხიბლავი ერთსა და იმავე დროს, რომელიც იმდენად ცოცხლად არის დახატული, რომ მისი ლანდი თითქო დგება პოემის გვერდებიდან. ფარსადან იუზურენი და სარიდან—ვასლი, ვაჭართა უხეილესი უსენ და ფხირი სოგარტ; მოყვე შერმანდ, დარბაზის ხასი ქაშნაგირი. მებავდ უსენისა, რამაზ ხატაელი, მეღიქსურხაიე ზუვათა სამეფოდან, დეგარ—აღმზრდელი ნესტანისა, კარისკაცები, მეომრები, მოქარავე ვაჭრები, მეკობრეები, მონები—გაცივლებული არიან პოემაში ზოგჯერ ორიოდ ხაზსმით.

ეს მრავალფეროვანება სახეებისა, რაც ასეთის სინამდვილითა და მხატვრული ჩაწვდომით არის მოცემული პოემაში, ამტკიცებს რუსთაველის ხელოვნების სიღრმესა და სიროტულეს.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ რუსთაველის რეალიზმზე, აქ საჭიროა აღინიშნოს, აგრეთვე შემდეგი. რუსთაველის რეალისტური ხელოვნებისათვის სრულებით უცხოა ელემენტები ნაივური ნატურალიზმისა, რაც საშუალო საუკუნეთა უსრულ ხელოვნებაში რეალისტური მანერის განუწყრელი თანამეზავრი იყო. რუსთაველის ხელოვნება სავსებით დაცილებულია ნაივურ ნატურალიზმს.

რუსთაველის მხატვრული თვის არის ბრძნულად შეზომილი და ფაქიზად არგანიზებული ხელოვნება. რუსთაველის რეალისტური მანერას ახასიათებს ის, რასაც გოეტე უწოდებს Allgemeinheit—ყოვლადობა. ის იყო პრინციპი ელენური ინდივიდუალისა კლასიკური ხანაში. რუსთაველის სახეები ინდივიდუალურია, მაგრამ ინდივიდუალურში ყოველთვის მონახულია ტიპური; შემთხვევითი ხაზების იქით ყოველთვის გამოვლინებულია მოვლენის ტიპობის სახე.

ამის გამოა, რომ რუსთაველის ტიპური არაა მიჯაჭვული გარკვეულ დროსა და გარემოსთან, არამედ ზოგად-კაცობრიული ყოვლადობის სიმამლემდე აღწევს. ეს არის

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ რუსთაველის გავლენა სტალინის იმპოქსა და იმ წრის, რომელმაც იგი წარმოშვა და ეს გავლენა არ სუსტდება საუფლებთან ურთაღ.

აქ ორიოდ სიტყვა რუსთაველის ფორმის შესახებაც. რუსთაველის ხელოვნებაში პირველ რიგში აღსანიშნავია „შინაური ფორმა“ „ეფუხის-ტყაოსანისა“, სიუჟეტის არტისტული არქიტექტონიკა.

დრამატოული გაშლა ამისა და მდგომარეობათა დამთხვევა მოცემულია იმ სახით, რომ მაქსიმალურად გამოვლენებული ყოველი ეგრისის ბუნება, თვითნებური სიტუაცია, ახალ ასპექტში წარმოგვადგენს პოეტური ნაზურებს. იშვიათად თუ რომელიმე მხატვარი ჰქვლობდა სიუჟეტს ასეთი სისრულით, მოთხრობის ყოველი დეტალი განსაკუთრებული ოსტატობით არის შეყონილი ზოგად მხატვრულ მიზნებთან. პოეტი თავიდანვე მთლიანად იტაცებს მკითხველის ყურადღებას და ინტერესს შეუნელებლად იზრდება პოემის ფინალამდე.

შინავე ფორმასთან—სიუჟეტის არქიტექტონიკასთან ერთად—გარეგანი ფორმა პოემისა ე. ი. ლექსი უდიდესი არტისტულობით არის აღბეჭდილი.

ცალკეა აღსანიშნავი მეტრიული წყობა პოემისა. პოემა დაწერილია ორი ერთმეორისაგან განსხვავებული მეტრით, ეგრეთწოდებული „მალალი შაირით“ და „დაბალი შაირით“. პირველი ამათგანი—„მალალი შაირი“ მუსიკალურად „მეორის“ ინტონაციას ჰქმნის, მეორე „დაბალი შაირი“ მინორის მუსიკალურ წყობას განსახიერებს.

ამ ორი მეტრის მალალი და დაბალი შაირის არტისტული შეთავსებით რუსთაველმა ბრწყინვალედ გადასჭრა ა შენდევნი ფორმალური ამოცანა: მან დასლია ის მონოტონობა, რომელსაც ჰქმნის ერთი მეტრის ხმაარება, რაც ჩვეულებრივია და ერთგვარ წესად არის ქცეული ებიურ ნაწარმოებებში (ჰექსამეტრი — ანტიური პოეზიისა, პერიოდიული ლექსი ფირდოუსისა, ეპიური მეტრი დანტესი, ალექსანდრიული ლექსი ფრანგული კლასიკისა და სხვა.)

რუსთაველის ეს ახალი არტისტული საშუალება—ორი მეტრის ხმაარება ებიურ ნაწარმოებში—მხატვრული თვალსაზრისით ერთგვარ საფრთხეს შეიცავდა: ამას შეეძლო მიეცა ნაწარმოებისათვის წმინდა ლირიკულობის ელფერი და ერთგვარი ხელოვნურობის ბეჭედი დაესვა მისთვის.

მაგრამ ეს საფრთხე აცილებულია შოთას პოემაში იმით, რომ აქ აღებულია არა კონტრასტული რიტმიული წყობა, არამედ მუსიკალურად შემახებელი თანაბარ-სილაბიანი საზომები: როგორც მალალი შაირი, ისე დაბალი შაირი თექვსმეტ—მარცვლოვან მეტრის წარმოადგენს. ეს თანაბარ-სილაბიანობა ამ ორი მეტრისა, მალალი და დაბალი შაირისა, უზრუნველყოფს ტალღისებურს გადასავალს ერთი მეტრიდან მეორეზე და აერთიანებს მათ ერთს მთლიან მუსიკალურს სისტემაში.

ამ ახალი მხატვრული საშუალებით, მაკორული და მინორული რიტმების ჰარმონიული შენაცვლებით, შოთა განსაკუთრებულს მხატვრულს ეფექტს აღწევს. ლექსი ამით იქნის მხატვრული გამოიმეტყველების ახალ ძალას. მუსიკალური ინტონაციის ურთავლერგუნებას. რუსთაველის ლექსი ჟღერს როგორც რთული ორკესტრის მიერ შესრულებული სიმფონია.

შოთას ლექსი ფორმალური მხარეებიდან აქ საკუთრად შეეგრადეთ რითმაზე და ალიტერაციაზე.

რითმა რუსთაველის ლექსის პოეტური მხარეების უბრწყინვალესი ინსტრუმენტია.

რუსთაველი ნამდვილი ჯადოსანია რითმისა. პოემაში ჩვენ გვხვდება მხოლოდ მდიდარი პოლიფონიური ორ-მარცვლოვანი და სამ-მარცვლოვანი რითმები. ამასთანავე თვითონეული ტიპის რითმას გარკვეული მუსიკალური მნიშვნელობა აქვს; ორმარცვლოვანი რითმა მიღებულია მაკორის (მალალი შაირის) მეტრისათვის, სამ-მარცვლოვანი რითმა მინორის (დაბალი შაირის) მეტრისათვის.

მსოფლიო პოეზიაში ცოტაა ნაწარმოები, რომელიც შეედრებოდეს შოთას პოემას რითმების სიმდიდრითა და მუსიკალური განწყობით. თვის დანტეს დღეაბრვი კომედიის ტერცინების გარითმელობა ნაკლებ რთულია, ვიდრე რუსთაველის კატრენების რითმები. დანტეს ტერცინები მიწყობით სამს ეტრნაირს რითმას მოითხოვს, ხოლო რუსთაველის კატრენი—ოთხს რითმას. დანტეს ტერცინები—იტალიური ენის ბუნებრივი ტონიზმის თანხმად ორ-მარცვლოვან რითმაზე არის განწყობილი, ხოლო რუსთაველის ლექსში ერთი მეორეს ენაცვლება ორ-მარცვლოვანი და სამ-მარცვლოვანი რითმი.

და მოუხედავთ ამ განსაკუთრებული სირთულისა, რომელსაც წარმოადგენს „ეფუხის-ტყაოსანის“ გარითმელობა, რუსთაველი თითქმის უბრალო ხელშეხებით სძლევს ამ სიმძლავრეს. რუსთაველი ნამდვილი ჯადოსანია სიტუცისა. რუსთაველის რითმა სინონიმა უშაღლესი ჰარმონიისა და არტისტულობის. ამასთან რუსთაველის რითმას არ ამჩნევია ხელოვნურობის ბეჭედი, რუსთაველის რითმა ყოველთვის ორგანულად იხადება სტიქიონიდან.

რუსთაველი აგრეთვე შეუდარებელი ოსტატია ალიტერაციისა.

რუსთაველის პოემაში სხვადასხვა ტიპის ალიტერაცია გვხვდება. განსაკუთრებით ტიპურია სილაბურ-ტონური ალიტერაცია, როდესაც შეფარდებული მთელი მარცვალი და თანხმოვანის ხმოური ეყრდნობა ხმოვანსა და მახვილს. ამათ ალიტერაციის მუსიკალური ჟღერა ერთი-ორად მატულობს. ასე, მაგ: ალიტერაცია ხმოვანისა **შ** და ხმოვანისა **ე** მახვილზე დაყრდნობით.

„გველი შუშით შეგვენეს ბალი შემა შერა-შენა“.

ასეთივე მუსიკალური ეფონიის უმაღლეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს რთული ტიპი ალიტერაციისა, რომელიც „ეფუხის-ტყაოსანს“ გარდა იშვიათად თუ გვხვდება მსოფლიო პოეზიაში და რომელსაც უშესაძლოა ვუწოდოთ ეგზობალური ალიტერაცია და ალიტერაცია სახებებისა, როგორც მავალითად.

„შე აღარ მწიობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად“.

ანდა:

„სად წაიყვან ხადაურხა, სად აღუფხერი სადით ძირსა“.

რუსთაველი უდიდესი ოსტატია პოეტური მეტაფორისა და აგრეთვე აფორიზმის. პოეტი იყენებს მეტაფორათა მთელს პალიტრას, დაწყებული მარტივი შედარებითა და დასრულებული შრატუტული ფილოსოფიური აპალიტრობით.

რუსთაველის აფორიზმებში აღბეჭდილია შეუდარებლის პოეტურის გამოიმეტყველებითა და ლაკონიურის სიმ-

კეთილი ბრძენი—პოეტის ნაბრძენი. რუსთაველის აფორიზმები, როგორც აღნიშნული გეჰონდა, შვეიდა ხალხური სიტყვიერების საუნჯეში და ბრძენი პოეტის სენსაციების დღემდის იმეორებს ხალხი ანდაზების სახით. ასეთია «ვეფხისტყაოსანის» პოეტური მეტყველების ცალკეული დამახასიათებელი ელემენტები.

მიუხედავად რთული ორკესტრირებისა, რომელსაც წარმოგიდგინს რუსთაველის ლექსი, რუსთაველის პოეტური სტილი კეთილშობილი, დიადი უბრალოებით არის აღბეჭდილი. კონტურები რუსთაველის კალმით მოხატული ნათელია და გამჭვირვალე. პოეტური ენა—დინამიურია და მკვეთრი. სახეები ცოცხალია და პლასტიური. დასასრულს დაგვჩენია აღნიშნვით, რომ რუსთაველმა მოახდინა რეფორმა ქართული სალიტერატურო ენისა და დაუახლოვა იგი ხალხურ მეტყველებას. ენა რუსთაველისა—ეს არის აუმღვრეველი წყაროს თვალი ქართული სიტყვისა.

რუსთაველმა თავისი გენიის წარუშლელი ბეჭედი დასვა ქართული სალიტერატურო ენის შემდგომ განვითარებას. ქართული სალიტერატურო ენა დღემდე მომართულია იმ ტონალობით, რომელზედაც იგი ააწყო ქართული სიტყვის აქ ჯადოსანმა.

ასეთია საფუძვლები რუსთაველის დიდი ხელოვნებისა. რუსთაველის გენია ჰარმონიულია. მისი მაღალი და კეთილშობილი ხელოვნება უზაღა. «უცთომელი ხელოვანი» გინდათ უწოდოთ რუსთაველს. მაგრამ რუსთაველის შემოქმედების სიდიადე მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ რუსთაველი დიდი ხელოვანია ფორმისა. რუსთაველის სიდიადე უწინარეს ყოვლისა იმაშია, რომ დიდი ხელოვნება აქ ემსახურება დიდი შინაარსის გამოვლენებას. ფორმა და შინაარსი აქ სრულს ჰარმონიაში იმყოფება.

მწერალი არის ადამიანთა სულის ინჟენერი — სთქვა ბელადმა.

რუსთაველმა განუზომელი გავლენა მოახდინა ქართველი ხალხის ზნეობრივ შეგნებაზე.

რუსთაველის «ვეფხისტყაოსანი» იყო აღმზრდელი ქართველი ხალხისა, საიდანაც იგი ითვისებდა მაღალ ჰუმანისტურ მორალს, «ვეფხისტყაოსანი» იყო ხალხის სიბრძნის საღარი, რუსთაველის სიტყვებში მიჩნეული იყო როგორც უცთომელი სახელმძღვანელო ნორმა მოქმედებისა.

«ვეფხისტყაოსანი» ღრმად არის დაკავშირებული ქართველი ხალხის ცხოვრებასთან, თვით ქართველი ხალხის

არსებობასთან. რუსთაველის პოემამ მათაერა ქართველ ხალხს გამძლეობის სული, გადაარჩინა ქართველი ხალხი ისტორიულ განსაცდელთა საუკუნეებში, როდესაც მას ეროვნული, სულიერი, მორალური გადაგვარება მოუტოვებოდა.

«ვეფხისტყაოსანში» პპოულობდა ქართველი ხალხი მორალურ გამხნეების წყაროს განსაცდელის დროს.

„ხამს მოყვარე მოყვარისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულსათვის, სიყვარული გხად და ხიდად“.

„ჭირსა შიგან გამაგრება, ასრე უნდა ვით ჭვიტარსა“.

„სჯობს სიტყვბლესა ნახრახსა სიყვდილი სახელოვანი“.

რუსთაველის სიტყვა იყო შთამბავთებელი გმირობისა, შეუდრეველი აქტივობის სული, რომლითაც გამსჭვალულია «ვეფხისტყაოსანი», ზნეობრივისტიოციზში, სიდიადე და ძლიერება ხასიათისა, რომელსაც ამეღავნებენ «ვეფხისტყაოსანის» გმირები, იყო შთამბავთებელი მაგალითი ქართველი ხალხისათვის.

შოთა რუსთაველი საუკუნეების განმავლობაში იყო ნამდვილი მეგობარი, მასწავლებელი ქართველი ხალხისა.

დღეს საბჭოთა საქართველო დღესასწაულობს რუსთაველის 750 წლოვან იუბილეს. დღეს საბჭოთა საქართველოს ხალხი სიყვარულისა და მადლობის გრძნობით იგონებს თავის დიად შვილს, თავის მშობლიურ რუსთაველს.

და საქართველო ამ ზემის დროს არ არის მარტო, საქართველოსთან ერთად რუსთაველის იუბილეს დღესასწაულობენ ყველა მოძმე ხალხები, გაერთიანებულნი დიადი კავშირის ერთიან ოჯახში.

სოციალიზმის ქვეყანაში, განთავისუფლებული შრომის ქვეყანაში, რუსთაველის დიადი გენია ახალი ბრწყინვალეობით იმოსება. ჩვენ მოწამენი ვართ კულტურის ნამდვილი დღესასწაულისა, ნამდვილი ინტერნაციონალური ზემისა, რომელსაც უმართვენ საბჭოთა კავშირის თავისუფალი ხალხები ჩვენს მშობლიურ რუსთაველს.

საბჭოთა ქვეყანა, სადაც განხორციელდა ოცნება კაცობრიობისა თავისუფლებაზე, საბჭოთა ქვეყანა, ქვეყანა თავისუფალი შრომისა და თავისუფალი აზრისა, — ლებულობს როგორც თავის მემკვიდრეობას ყოველივე ჰუმანობრივად დიადს, რაც კაცობრიობის გენიამ შექმნა. ამით რიცხვს ეკუთვნის რუსთაველის უკვდავი ქნილობა.



პროფ. ი. აბულაძე

შოთა რუსთაველი*

პატარა საქართველოს თავის მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში თავისი სახელმწიფო ერთეულის გადარჩენად, თავის არსებობასთან ერთად, შეუნარჩუნებია ერთი უაღრესად ორიგინალური, უაღრესად თავისებური, ეპიურრომანტიული შინაარსის პოემა „ვეფხისტყაოსანი“, უშესანიშნავესი ლიტერატურული ძეგლი, რომლის მსგავსიც არცერთს ხალხს, რომელსაც კი თავისი კულტურით თავი მოაქვს, იმ დროს, რა დროსაც მას ჩვენ ვაკუთნებთ, ე. ი. მე-12—13 საუკუნეთა მიჯნაზე, არ მოვპოვებთ.

ამიტომაც თავის-თავად ცხადია, რომ ასეთი მაღალი ხარისხის და დიდი მნიშვნელობის ლიტერატურული ნაწარმოები ქართული ლიტერატურის ალორძინებისა იმ

თავითვე იპყრობდა, როგორც ქართული კულტურის მესვეურთა, ისე ქარაველი ხალხის დიდ ინტერესს.

მიუხედავად იმ ღრმა ინტერესისა, რომელსაც იგი იწვევდა ალორძინების ხანის მე-17 საუკუნის 1-ლი ნახევრიდან დაწყებული მე-20 საუკუნის ოციან წლებამდე, მიუხედავად იმისა, რომ მასზე მუშაობდენ საუნივერსიტეტო მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები და, მათ შორის, ბუმბერაზი მეცნიერი ნ. მარჩი, დღემდე იგი არა თუ სათანადოდ შესწავლილი არ ყოფილა, ჩვენ არ გვქონდა მისი ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებელი კრიტიკული გამოცემაც კი.

მაგრამ ამ ჩვენს ბედნიერ სტალინურ ეპოქაში ჩვენ



მანგან ასტაგ გაფრთი, ვნთლის ჯთვას ვითა ქობრი

ნახ. ი. თოიძისა



ზმალა გაფცობრე, გარდაჩაბე, ველსი შვიპყარ სელათა; მის გამთ ვლენა ზომინდა, ვინ შწყაგს ცელსლითა ცსელათა.


ნახ. ი. თოიძისა

* წაკითხული იყო თბილისის სახ. უნივერს. საიუბილეო სესიაზე 1938 წლ. 22 დეკემბერს.

პოეტის და მისი ნაწარმოების შესწავლის საქმეს, ისევე როგორც ყოველ სხვა კულტურულ საქმეს, ბედნიერი დრო დაუდგა.

ბრძენი ბელადის ამხანაგი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით, საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კისი და მთავრობის დადგენილებამ პოეტის დაბადებიდან 750 წლის აღსანიშნავად ზეიმის მოწყობის შესახებ დიდი შედეგები მოგვცა პოეტის და მისი ნაწარმოების მეცნიერული შესწავლისათვის.

ყველა ამას ჩვენ უნდა ვუბადლოდეთ ჩვენი ბრწყინვალე სტალინური ეპოქის შემქმნელს ხალხთა დიდ ბედნადს, ბრძენ სტალინს, რომელიც მფარველ მამაცად-მოსაჩლედ ევლინება ყველა ჩვენებარ ძველი თვითშეპყრობენური რეჟიმით ნაწამებ ერებს,—და მის მარჯვენა ხელს ამხ. ლავრენტი ბერიას, რომლის იშვიათი ხელმძღვანელობით მოეწყო დღეს ჩვენი ხალხის გენიის შოთა რუსთველის დაბადებიდან 750 წლის თავის აღსანიშნავი საიუბილეო ზეიმი.



„ზან უოსტრა: „წაღილ ნაჰკარბყო ზუნ, სადა ზღვისა ჭიბია“.

ნან. ი. თოიძისა

სპეციალურად არჩეული ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ დადგენილ იქნა პოემის ტექსტი და, ამასთანავე, დაშაღდა და გამოქვეყნდა აუარებელი ნარკვევები პოემის და მისი ავტორის საკითხთა გარშემო, თვით პოემა გადათარგმნილია თითქმის ყველა, როგორც კულტურულად დაწინაურებულ, ისე ისტორიულად ცნობილ, ხალხთა ენებზე, და ჩვენი ხალხის გენია და მისი ნაწარმოები მთელი კულტურული მსოფლიოს სამკვიდრებელი ვახდა; შოთას სახელი ერთ საპატიო ადგილს იკერს მსოფლიო პოეზიის წარმომადგენელთა პანთეონში.

ამ ჩვენ საზეიმო დღესთან დაკავშირებით, ჩვენ შევეცდებით, რამდენადაც ეს შესაძლებელია, გავაცნოთ მკითხველს მისი ავტორის შოთას პიროვნება და მისი ნაწარმოები.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჩვენი პოეტი ეკლეთენის ისეთ დროს, როდესაც არაფერი „ფეფხის-ტყაონის“ მსგავსი არცერთს კულტურულ ერს არ მოეპოება და ჩვენშიც ასეთი მაღალი ხარისხის პოეტური ქმნილება უეცარ მოვლინებად ჩანს, ვინაიდან იმ კულტურულ წრეზე და სოციალ-პოლიტიკურ პირობებზე,—

რომლებშიაც წარმოიშვა ეს უნიკუმიდ მოღწეული შესანიშნავი ძეგლი.—ჩვენ არავითარი რეალური ისტორიული ცნობა არ მოკვეპოვება, და ამიტომაც თავისთავად ცხადია ის, რომ თვით ჩვენი პოეტის პიროვნებაც დღემდის ბურჟუაზია გახვეული.

ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ ისტორიის შემოუნახავს ჩვენი სახელი შოთა და საგვარეულო სახელწოდება თალიკოსისა და სხვათაგან, შემდეგ შოთა გვევლინება რუსუდანის თანამედროვედ, რომელსაც უკვე ქართლ-ცხოვრებაში დაუმსახურებია „კუპრი“-ს სახელწოდება. მაგრამ იგი მატიანეში უკვე ჩანს შესანიშნავ პიროვნებად, რადგან აქ იგი (მატიანეში) მოხსენებულია ისეთ ამაღაში, სადაც სარგის თმოგველი დახასიათებულია, როგორც კაცი სწავლული ფილოსოფოსი და მრავალღონე, და მა-



„მკრბდი მკრბდისა ზეჟუმა, განაგაჟდო ყლი ყლისა“

ნახ. ი. თ თ ი ძ ი ს ა

რუსთაველი მხოლოდ იმ დროიდან, რა დროსაც ტრადიცია აკუთნებს ჩვენი პოეტის ცხოვრება-მოღვაწეობას.

სახელი შოთა პირველად გვხვდება ერთს თამარ მეფის სიგელში, რომელიც 1896 წელს გამოაქვეყნა თ. ჯორჯანიამ (ნ. მისი ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა, ტფ. 1896 წ.)

ეს სიგელი ხელმოწერილია, თამარ მეფის დროის ისტორიულ პირთაგან: ჭიანჭერის შოთასა, თედორე კა-

შასადაძე, ეს შოთა „კუპრიც“ საკმაოდ მომზადებული სახელმწიფო პიროვნება უნდა ყოფილიყო. მატიანით იგი იყო ჰერეთის ერისთავი, რომელსაც სიშვეისათვის¹ კუპროზით უხმობდენ.

¹ ვარ. მელნის ფერობისათვის ან და მარ. დედ. ქ. ც-ბით მანისა (წ) ფერობისათვის, ეს უკანასკნელი აშკარად წარყვნილია შეად. პ. ინგოროვცა. რუსთველიანა, შოთა მანის ფერი, კუპარი (წ) ი. ა.

პოემის ტრადიციული ტექსტი ნაინდერკვეი პოეტის სახელწოდება რუსთაველია, რომელიც უნდა იყოს წარმომდგარი იმ ადგილის სახელწოდებიდან, რომლის მფლობელი ან უფროსი იგი, ან რომელიმე მისი წინაპარი, უნდა ყოფილიყო. ასეთი ადგილები ჩვენს მატიაწეში ყოველთვის ცნობილი არიან, როგორც შესანიშნავი სტრატეგიული პუნქტი, ან ისტორიულად რთიმიმ დაბრუნებული. ამის მიხედვით აიხსნება ისეთივე გვარის მავრეხელი სახელწოდებები როგორცაა: ბონელი, თმოგველი, შავთული, ფანასკერტელი და სხვა ამგვარები, რომელთა წარმოშობას აშკარა კავშირი აქვს ამა თუ იმ ადგილის, ანუ ციხის მფლობელობასთან¹.

სწორედ აგრეთვე უნდა აიხსნას სახელწოდება რუსთაველი, რომელსაც აშკარა კავშირი აქვს რუსთავეთან. რუსთავი კი არაა.

ერთი დაბა რუსთავი სამცხეში, ანუ სამცხეთოს რუსთავი, მეორეც ქალაქი რუსთავი, რომელიც მე-12 საუკუნეზე ბევრად ადრე ცნობილია ქართლის ცხოვრებაში.

მაშასადამე, საქითხავია, თუ რომელი რუსთაველს არის წარმომდგარი ჩვენი პოეტის სახელწოდება რუსთაველი.

თუ სახეში მივიღებთ ზემორე მოტიანელ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც გვარების წარმოშობას კავშირი აქვს ამა თუ იმ ადგილის ანუ ციხის მფლობელობასთან, ყოველ ექვს გარეშე უნდა იცის ის, რომ საბევრეული სახელწოდება რუსთაველი წარმოშობილია იმ რუსთაველსაგან, რომელსაც მეტი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, და ამგვარი კი იყო, ქართლის ცხოვრებით ტფილისის მანარსი მღებარე ძველის ჰერეთის ქალაქი რუსთავი. იგი ქართლის ცხოვრებაში ცნობილია ძალიან ადრე ბისტან ქალაქის სახელით.

ასე ნაკ, ქართლის ცხოვრებაში ნათქვამია, რომ ქართლისის მიგვლის შემდეგ „ცოლმან მისმან აღაშენა ბოსტან ქალაქი, რომელსა აწ ჰქვიან რუსთავი (ქ. ც. ზ. კივ. გვ. 22. აგრეთვე გიორგი მე-4-ის შესახებ მატიაწე მოგვითხრობს, რომ მან „უბოძა იოანეს სამშვილდე და ძესა იოანესსა ლიბარიტს მისცა ლოწობანი ნაცვლად რუსთავისა, რომელ მიეცა კახთა, ქ. ცხა 1,235.)

მეორე ადგილას რუსთავი მოხსენებულია მატიაწეში როგორც შესანიშნავი ქალაქი, რომელიც მეთერთმეტე საუკუნეში აღმამშენებლის მეფობის დასაწყისში, თურქების ხელში ყოფილა. დავით აღმაშენებლის მემკვიდრე მოგვითხრობს: „ვიდრე ანად ქამდმდე ქალაქი ტფილისი, რუსთავი, სომხობი და ყოველი სამშვილდე და აგაზარი თურქთა აქედეს, ქ. ცხა-1, 144 „წარილო უკონდიდელმან რუსთავიცა მეფის მუნხარს ყოფასა“ ქორინიკონი იყო 335, რომლისთვისცა დიდად წყენა შეეწა თურქთა და რიდობა საზამთროთა ადგილთა დგომისა, ქ. ცხა-1, 245.

ამნაირად მემკვიდრის მოწმობით, რუსთავი შესანიშნავი ქალაქი ყოფილა, ასე რომ მის დაკარგვას თურქები მეტად შეუწუხებია.

თამარ მეფის მემკვიდრის მოწმობით, ზაქარია მხარგრძელს ამირსპასალარობასთან ერთად „მოუმატეს ქალაქი ცა რუსთავი მოყესა ღირსსა სპასებტობისასა“, ქ. ცხა, 297. მასს გარდა ღვთაების გუჯარში² დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ სახელწოდება რუსთაველი წარმომდგარია

ქალაქ რუსთაველსაგან, რომელიც თამარ მეფის დროს დიდი სიკვდილობის ქალაქი ყოფილა, სადაც რუსთაველი აწინაპრობს 67-ამდე კომლი ვლახი ყოლია³.

ამნაირად ყველა ზემორე დასახლებული წყაროებით, პოეტის სახელწოდებაც რუსთაველი აგრეთვე შეკავშირებულია ქალაქ რუსთაველთან: ამნაირად ჩვენ მოგვეპოება ლიტერატურული ცნობები მხოლოდ პოეტის სახელის შოთასა და სახელწოდების რუსთაველის შესახებ, სწორედ იმ დროიდან, რა დროსაც ჩვენ ვაკუთნებთ პოეტის ცხოვრება-მოდგეწობას.

მიგზროთი აწ ზემირა-გარდმოცემებს. მე-18 საუკუნის დასაწყისამდე ჩვენ ვგაქვს პოეტის პიროვნების შესახებ მხოლოდ ისეთი ლეგენდები, რომლებსაც ადგილი აქვს ამა თუ იმ დიდი პოეტის გარეშე, თუნდა როგორც ირანის უდიდესი პოეტის ფირდოუსისა და მისი ნაწარმოების გარეშე. ამ ლეგენდებში, შოთა რუსთაველი ყოფილა დაბა რუსთაველად, ზოგი კი სამეხეთის რუსთაველიდან; მას მიუღია, თავის დროის შესაფერისად, საკმაოდ დიდი განათლება:

ჯერ მას უსწავლია გრემის სკოლაში, შემდეგ იყალიბის აკადემიაში, რის შედეგადაც მას მიუღია უკვე უმაღლესი განათლება თავისავე სამშობლოში, და შემდეგ, კიდევ მეტე გასავითარებლად, იგი გაუგზავნილია საბერძნეთში ათინას, სადაც მას შეუთავსებია ფილისტური ფილოსოფია-აზროვნება, და ღრმით განსწავლული, იგი დაბრუნებულია თავის სამშობლოში.

ასრებობას ლეგენდა იმის შესახებ, რომ მისთვის უღალატებია ცოლს, რომელსაც გაუცვლია იგი ვილაც არახზე და ამის შედეგად, მას მიუტოვებია ეს სოფელი და გაქარია ჯერ უღანზოდ და შემდეგ წასულა იერუსალიმს და შემდგარა იერუსალიმის მიწასტერში ბერად, და ამასთან დაკავშირებით, კიდევ გვხვს ტიმოცი გაბაშვილის (მიტროპოლიტის), ცნობა, იმის შესახებ, რომ იერუსალიმის ტაძრის ყველგნე დახატული ყოფილა ბრძენი სასულიერო სამოსელში, რომლის ქვეშაც ყოფილა მიწერილი „მ ი თ ა“. ტიმოცი აზრით, აქ დახატული შოთა იყო „ეუფხის-ტყაოსნის“ დამწერი. ნახატი აწ მოსპობილია.

სხვა კიდევ უფრო გავრცელებული ლეგენდით, პოეტს ჰყვარებია პორფიროსანი თამარი, რომლისთვისაც მას დაუწერია და მიუძღვინა თავისი პოემა, და რაკი ურედიო ყოფილა ასეთი სიყვარული, იგი ჯერ გაქარია ველად როგორც იმედ გადამწყვეტილი მიჯნური, შემდეგ კი წასულა იერუსალიმს სადაც შესულა ბერად ხსენ. მონასტერში.

სამწუხაროდ, პოეტისა და მისი ნაწარმოების გარეშე შექმნილ ლეგენდებში ძალიან ცოტა არის საწმუნო და დამაჯერებელი, თუმცა მისი მთლიანი ხარისხობის განიალურ ქმნილებას აშკარად აზის კლასიკური განათლების ბეჭედი, როგორც ფორმის, ისე შინაარსის მიხედვით. იყალიბოვიაც დღემდის არსებობს ამ აკადემიის ნაშთები.

1 ს. კაკაბაძის თეორიასთან შეწყობის—ტფილისის შოთას არაფთარი კავშირი არ ჰქონდა, რადგან მე-14—15 საუკ. არაფთარი ჰერეთის რუსთაველი მატიაწემ არ იცის, ნ. მისი პირველი 1913—14 წ. გამოცემის შესავალი გვ. 63-64.

1 ნ. ი. აბულაძე ვეფ. ტყ. 22 ნა. შესავალი. გვ. 5-8 ს. კაკაბაძე თმოგველია გვარის ისტორიისთვის, ტფილისი 1913 წ.
2 ნ. ს. კაკა, ისტორიული საბუთები 1,34 ტყ. 1913 წ.



ნასტა ეგზო შოკოვი ვინმე, ჯდა მდებარეო ქელოსა პარსა

ნ.ბ. ი. თოდბისა



„ქალმა მისდა მარჯალით საბოლოადა მისი საწყაელი“

ნახ. ს. ქობულაძისა

ყველა ამით, რა თქმა უნდა, ასახულია ის კულტურული ნაკადი რომელიც აშკარად გამოისახნს ჩვენი პოეტის ფილოსოფია-აზროვნებაში.

როგორც არ უნდა იყოს, ხალხში მტკიცედ არის დაცული ტრადიციით პოეტის სახელი შოთა, რომლის წარმოშობაც არავითარ სხვა შემთხვევას არ შეიძლება მიეწეროს, თუ არ იმას, რომ ხალხი ყოველთვის მტკიცედ იცავს ისეთი დიდი პიროვნების სახელს, რომელიც ღრმად ავლებს კვალს თავისი ნიჭით ამ ხალხის კულტურულ ცხოვრებას, და ასეთი კი არის სწორედ ჩვენი პოეტი შოთა.

რაც შეეხება პოეტის უიშვლო სიყვარულს პირფიროსანი თამარისადმი და ამის შედეგად მის იერუსალიმის მონასტერში ბერად შედგომას, ასეთი რამ შესაძლებელია, შეეთხოვებოდა როგორც სამღვდელობას, ისე ფეოდალური არისტოკრატის წრეებშიც.

ამ სახით არის წარმოდგენილი ყველა ჩვენამდის მოღწეულ ლეგენდებში პოეტის პიროვნების შესახებ ცნობები.

ამნიარად, როგორც ჩვენ ეს დავინახეთ, ისტორიული საბუთებზე ადასტურებენ ზემოხსენებულ კულტურულეგენდების გადმონაცემებს პოეტის სახელის შოთასა და სავაგარეულო სახელწოდების რუსთაველის შესახებ.

ასე მაგ., თუ ზეპირ-გადმოცემით პოეტის სახელი არის შოთა, ესევე სახელი ჩვენ გვხვდება ისტორიულ საბუთებში, სწორედ იმ დროს, როგორც ჩვენ მას ვაკუთვებით. ესევე ითქმის სავაგარეულო სახელწოდების რუსთაველის შესახებაც.

ამის გარდა დიდი ყურადღების ღირსია ის ფაქტიც, რომ იერუსალიმის ჯეჰარის მონასტრის აღაპები ადასტურებენ თეიმურაზ ბატონიშვილის იმ ცნობას, რომლითაც შოთა თამარის მეჭურჭლეთ-უხუცესი იყო:

„(H. MAPP. Bibl. arm. georg. III, XXVIII), 49: „ორშაბათსა სტლის წმინდის მოსვლისას წირვა-აღაპი შოთას, მეჭურჭლეთ-უხუცესისა, შეუნდგენს ღ-“.

ყველა ამის გარდა პოეტის შესახებ უძველესი ცნობა დაცულია თვით „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში.—იქ შესავლის მე-7 და მე-8 ხანებში პოეტი თავისთავს რუსთაველს უწოდებს, ამ შესავლის ხანების სიძველეს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მათ უკვე კითხულობენ მათ დროს არსებულ ხელნაწერებში ალორპინების პირველი ხანების პოეტები¹, როგორიცაა: ერთი „იოსებ ზილიხანიანის“ უცნობი მთარგმნელი², მეორეც—„იოსებ ზილიხანიანიანე“ მთარგმნელი თეიმურაზ I-ლი.

ორივე დასახელებული პოეტი „იოსებ ზილიხანიანის“ თარგმანის შესავალში ადასტურებენ სიტყვებს: „დავეკ რუსთაველმა გავლემქ“ და „რუსთაველი ხელმოითა ვიქმ საქესა“...

ამას გარდა თეიმურაზ I-ის „იოსებ ზილიხანიანის“ შესავლის შინაარსი ამტკიცებს, რომ თამარისა და დავით სოსლანის შესახებ ხანები იმ ხელნაწერებში, რომლებიც მას ხელთ ჰქონია უკვე არსებობდა.

აი ზოგიერთი საყურადღებო ადგილები ამ ხანებიდან „უსენი შოთა რუსთაველმა შეამკო არსთა მკობითა, თვით მინდობილმან სიბრძნისა, მეორე თამარის ხმობითა. იტყვის: ვპოე ამბავი პირველ სპარსთაგან მზობითა... წვედა სახმილი უწრებლ პირ-შისა თამარ-მეფისა. მეფეს ებძანა სპარსული იტყვად ქართლისა ენითა, ლექსად თქმა მწადსო, უბრძანა ლაღმა ბრძნად შექთა-ფენითა ნიჭი აღთქო უზომო, მოავეკ ვარ მოქენითა, და მიჯნური მიჯნურთ საქებრად დაჯდა გლხ ცრემლთა დენითა“.

¹ H. MAPP, TP. 57, примечан. 3

² E. Такайшвили, Описание РУК. 274

ამ ადგილიდან აშკარად ჩანს, რომ თეიმურაზ პირველს, რომლის მოღვაწეობაც მე-17 საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის, ხელთ ჰქონდა ისეთი ხელნაწერი, რომლის შესავალში მოთავსებული ყოფილა 2 ხელნაწერით უარყოფილი 11-7 ხანები, რაც მოწმობს იმას, რომ ეს ხანები პოეტის შესახებ უძველესი ცნობების შემცველია¹.

ამასთანავე ფრიად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ თეიმურაზ I-ი, —ამავე შესავალში მოხსენებული რუსთველის გაიდა, —გვაცნობს მის სახელსაც შოთას რასაც არც პოემის შესავალი, არც ზემორე დასახელებული — „იოსებ ზილიანის“² უცნობი ავტორი არ იხსენიებენ.

ამნაირად „ვეფხისტყაოსნის“ შესავალი და აღორძინების ხანის პოეტები ადასტურებენ ზეპირგადმოცემის ცნობას იმის შესახებ, რომ პოეტის გვირი ყოფილა რუსთველი, რასაც თეიმურაზ I-ლიც თავის მხრით უმატებს, რომ პოეტის სახელი შოთა არის.

მაშასადამე, საკითხავია, თუ ვინ უნდა იყოს ეს შოთა რუსთველი.


ცნობილია, რომ ჩვენი მატიაწეებში პერეთის ერისთავს შოთას, რომელიც მე 12—13 საუკუნის მიჯნაზე მოღვაწეობს, მიეკუთვნებული აქვს ეპითეტი „კუპრი“³. ჩვენი ღრმა რწმენით სწორედ ეს შოთა კუპრი უნდა იყოს „ვეფხისტყაოსნის“ დამწერი, როგორც ამაზე სამართლიანად მიგვითითა თავის დროზე პ. ინგოროყვამ. რას ნიშნავს კუპრი?

მისი მნიშვნელობა „სჯულისაგან განდგომილი, უსჯულო, ერთეკოსი“⁴.

ქართული ფორმა „კუპრი“ მიღებულია არ. სპარ ქუფრისაგან დამსგავსების ნივთიდან ასიმილაციურად და ქცეულა პოპულარულ ტერმინად. მეპატრიანის განმარტებით, იგი უნდა მნიშნავდეს კუპრის ფერს კუპრიით შავს, ანუ უკეთ, მატანისავე სიტყვით რომა ვთქვათ, „სიშვის“, ანუ მელნის ფერისათვის („პერეთის ერისთავს შოთა“-ს) კუპრობით უფრობდეს⁵.

მაშასადამე, საკითხავია, თუ რატომ უწოდეს პოეტს „კუპრი“ ანუ ურჯულო, რომელიც შემდეგში იქცა შავის აღნიშვნელ კუპრად?

ჩვენი აზრით, პ. ინგოროყვა, რომელსაც, უმეკელია დიდი დამსახურება მიუძღვის მეცნიერების წინაშე, რომ მან პირველად მიგვითითა იმ გარემოებაზე რომ „შოთა კუპრი“ — არის ჩვენი პოეტი, მაგრამ, ამავე დროს, იგი სრულიად უსაფუძვლოდ სოვლის პოეტს მანიქველად იმ



„მან იოსება: „ზადით დაჭაბუტე შენ, სავა ზღვისა ქვიანა“ ნახ. ს. ქობულაძისა

¹ რასაკვირველია პ. ინგოროყვის ის აზრი, — რომ აქ არის არაბ-ქაიურ ქუფურა (ქართ. კუპარი მის. რ. პ. ინგ.) და არა არაბ. — ირან. ჭუფარა ყოველ საფუძველს მიკლებულია“. oper cit. 213....

² პ. ინგოროყვის მიღებული ეპითა აღწერილის წაითხვებ: ჰგრეთის ერისთავი-შოთაი, რომელსა მანის ფერობისთვის კუპრობით სმოხდეს“-ო. როგორც წარკენილი მიღებულია, ნ. რუსთაველიანა,

აზრით და გაგებით, რომ ვითომც პოეტი მანიქველობისათვის ყოფილყოფს თავალწუნებული და ამ ნივთებზე მიეკუთვნებოა“-ს მისთვის თანამედროვეობას ეპითეტი „კუპრი“.

პოეტის ნაწარმოებში წარმოდგენილია მუსულმანური არაბულ-ირანულ-პინდური სამყარო მისი რწმენებით და შეხედულებებით, და მისი გმირებიც ხომ თითქმის ყველა ყურანის აღმასრულებლები და წმინდა წყლის მამპალიანებო არიან. და ეს გარემოება, ჩვენი აზრით, სრულიად საკმაო იყო იმისათვის, რომ როგორც ორიოდოქსალურ ქრისტიანულ სამყედლობას, ისე ფეოდალურ არისტოკრატის, (დარბასელთა) მიენათლათ ჩვენი პოეტი კუპრად ანუ სჯულისაგან განდგომილად.

ამიტომაც, ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ საქმე გვაქვს თავის თანამედროვეობაზე იმდენად მაღლა მდგარ პოეტ ფეოლოსოფოს-ნეოპლატონიკოსთან, რომლის აზროვნებაც ყოველგვარი სარწმუნოებრივ-დოგმატური ხავსიდან თავისუფალია, და რომელიც, მაშასადამე სრულიად ურიგდება იმას, რომ მისი გენიალური ქმნილებაც აღმოსავლურ-მაჰ-

მადიანური სამყაროდან გამომდინარე ტიპიურ მოარულ
აღმოსავლურ ამბავს წარმოადგენდა.

და აი სწორედ ეს გარემოება გახდა იმის მიზეზი, რომ
ჩვენი მატრიანებით, შოთა წოდებულა კუბრად.

ამიტომაც ჩვენ უდაოდ მიგვაჩნია ის, რომ პოეტი გამო-
აცხადეს თანამედროვე სამღვდლოებამ და ფეოდალურმა
არისტოკრატამ, ანუ უკეთ, დარბაისლებმა, ორთოდოქ-
სალური ქრისტიანული ეკლესიურობის წინააღმდეგი სუ-

ვაკუთნებთ პოეტის ცხოვრება-მოღვაწეობას, აქამოდ
ჩვენ მოგვეპოება, თუმცა კანტი-კუნტი, მაგრამ, ^{სწორედ}
თუ ბევრად, საყურადღებო ცნობები პოეტის ^{სახელის}
შოთასა და მისივე სახელწოდების რუსთველის ^{შესახებ}.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ ნათლად არის წარმოდგე-
ნილი პოეტი-შემოქმედის ფიგურა მის უკვდავ ქმნილე-
ბაში.

აქ ყველაზედ უწინ უნდა ითქვას, რომ, თუმცა ჩვენ არა



ნახევრად მთიანეთში, ჯდა მდინარის წყლის პირში

ნახ. ს. ქობულაძისა

ლისა და მიმართულების ნაწარმოების გავრცელებისათვის
და არა მანიქეიზმის მიმდევარობისათვის, რომელსაც
პოეტის ეპოქაში ადგილი სრულებით აღარ ჰქონდა, რო-
გორც ამას სამართლიანად აღნიშნავს პროფ. კ. კეკელიძე.
(ნ. მნათობი № 2, 193).

ამაირად ჩვენ ვამჩნევთ, რომ დაწყებული მე-12—13
საუკუნის მიჯნიდან, ანუ იმ დროიდან, რა დროსაც ჩვენ

გვაქვს პირდაპირი ცნობები პოეტის პიროვნებისა და
ცხოვრების დროის შესახებ, ჩვენ მაინც კიდევ არ ვიპო-
ვებთ უიმელო მდგომარეობაში, ვინაიდან მის გენიალურ
ქმნილებაში ნათლად გამოჩანს პიროვნება, რომელიც
უაღრესად განათლებულ და ღრმად მოაზროვნე ფილო-
სოფოს-ნეოპლატონიკოსად გვევლინება. ამასთან ჩვენს წინ
არის უაღრესად გენიალური პოეტი—ხელოვანი და ენის



„ხმელ-გამთეწდილი მიწესე, მიუც ლახვართა სიზისა,
თავსა გარდავარ, მთევჯალ, დავსსენ სიღულისა თოზისა“

ნამ. ს. ქობულაძისა

იწვიათი ოსტატი. ამასთან ყოველ ექვს გარეშეა, რომ მის ნაწარმოებზე ჩვენნი ლიტერატურის კლასიკური პერიოდის ბეჭედი ამის.

როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, „ვეფხისტყაოსანი“ მე-12—13 საუკუნეთა მიჯნაზეა შექმნილი.

პოემა, ყოველ ექვს გარეშე, ფეოდალური საქართველოს ეკონომიური და საზოგადოებრივი ყოფით გამოყვეული საარაინდი საკარო პოეზიის ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანია.

მართლაც, თუ ჩვენ მას იდეოლოგიური თვალსაზრისით მიუღწევთ, აშკარად დაეინახავთ, რომ იგი ზედამოჭრილია მეფურ-ვასალური სისტემის სრულ სახეზე, რადგან მასში მთელი ყურადღება და მუყაწრტუბულია საფეოდალ მოწყდებულ პირების საგმირო საქმეებზე. სახელდობრ, ამ ამბების მთავარ მოქმედ პირებად და მთელი ამბის მამოძრავებლად ჩანან მეფურ-ვასალური წრიდან გამოსული ჟებრო მოქმე ქაბუტები. ამასთან საშუალო საუკუნეების რომანების მსგავსად, პოემაში იდეალიზირებული ყოველნამბეჭდ მოპარდაპირისთან მკაცრი გამკლავება და უღმობელი სინამდვილე.

მკითხველის წინ მეტის-მეტად გულის წარმატაე ღამაზ იდეალიზირებულ სახეებში მიმდინარეობს პოემის მთავარი გმირის ტარიელ სარიდანის ძის ცხოვრება, რომლის პიროვნებაშიაც შეყვარებული რაინდის მალაქეთოღმობილურ გრძნობებს თან ახლავს მეტის მტად დიდი სიმკაცრე და სუსტთა დახმავრა.

ეს პოეტის მიერ გაღმერთებული ტურფა რაინდი შეუბრალებლად ჰქლავს, თავისი გულის სატრფო მშეთუნახავს დასაქმებით, სრულიად უღანაშულო ხვარაზმის უფლისწულს, რომელიც მოსულა სტუმრად, როგორც ნესტან დარეჯანის საჭმრად მოუყვეული.

ამგვარადვე იდეალიზირებული არიან წმინდა რომანტიკული გმირი ავთანდილი და ფეოდალური მეფე ფრიდონი.

ყოველ ექვს გარეშეა ის, რომ პოემა წრმოადგენს საკარო ფეოდალური არისტოკრატის ყოფაცხოვრების სინამდვილის მხატვრულ ასახვას, რადგან მის შინაარსს შეადგენენ სამეფო მოწოდებულ პირების საკმირო საქმეები, და ამასთან მეტის-მეტად მხატვრულად არის მასში წარმოღვენილი სიუჟეტინისა და ვასლის ყოფაცხოვრება და მათი სათურ-ერთშორისო დამოკიდებულებები.

ამ მხრით „ვეფხისტყაოსანი“ შეიძლება ჩაითვალოს ბრწყინვალე კარის სოციალურ დაკვეთად, რაც იძლევა სრულ საბუთს მავკათუნით იგი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების უბრწყინვალეს ხანას, როდესაც სახელმწიფოს ეკონომიური სიძლიერე ხელს უწყობდა მეზობელ სახელმწიფოებთან მარჯვე ომების წარმოებას და სახელმწიფოს დიდძალი დოგლათისა და სიმდიდრის დაკრთვებას; ასეთი კი იყო საქართველოს მთელ წარსულში მხოლოდ თამარის ეპოქა, რომელიც დადგა მთელი წყება ბაგრატიონებისა და დავით აღმაშენებლის წარმოებული ომებით გამარჯვებებისა და ავლადიდების მოპოების შედეგად. სწორედ ამ დროს შეიქმნა ბრწყინვალე კარია და, ამასთან დაკავშირებით, უმაღლეს წერტილამდე განვითარდა ის საკარო საერო პოეზიაც, რომლის საუკეთესო ნიმუშსაც ჩვენი ძეგლი წარმოადგენს.

მიუხედავით ყველა ამისა, „ვეფხისტყაოსანი“ ძვირფასია

ჩვენთვის, როგორც საუკეთესო ლიტერატურული მემკვიდრეობა და, როგორც ენის სწორ-შობავარი ოსტატის და ცხოვრების სინამდვილის საუკეთესო ამსახველს მხატვრული ნაწარმოები.

„ვეფხისტყაოსანი“ ყველაზედ უწინ ჰხიბლავს და იზიდავს მკითხველს თავის შინაარსის სიმეტრიული დალაგებით და ოსობის ინტერესების თანდათანობით ზრდით. პოემის სიუჟეტი ტაბიური აღმოსავლური არაკის ხასიათს ატარებს.

შეიღბსა წელმა გავლო მას შემდეგ, რაც „ვეფხისტყაოსანი“ დაიწერა და დღემდე, და დღეს კლდე უფრო, ვიდრე ოქროს, აინტერესებს და ამოძრავებს იგი მკითხველს ისევე, როგორც თანამედროვე.

ყველგან, ყოველს წრესა და საზოგადოებში გაისმის ამ უკადრე ქმნილების კებადილება, განათლებული კვებეული, სოციალიზმის გენიალური შემოქმედის მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის დიდი სტალინის მეოხებით, ეკნობინ მას და ეუბრებინ მას გადათარგმნას, რომ მათაც გაიზიარონ ის უზნო სიამოვნება და აღტაცება, რომელსაც იწვევს მისი კითხვა.

ის ხიბლავს ყველას, ვისაც აინტერესებს აღამაინის ბუნების არსებითი მხარე და ამოძრავებს აღამაინის ცოდნის სურვილი.

რით არის ძლიერი ეს ნაწარმოები, ანუ, უკეთ რა არის ეს უხილავი ძალა, რომელიც ასე იზიდავს და იმონებს ყველას, რაც ასე სათაყვაროდ ჰქდის მის დამწერებს.

ეს, ჩვენი აზრით, არის მისი პოეტური შემოქმედების ის ნიწმუნობლივი თვისება, რომელიც საკმარებლად განასხვავებს მას აღმოსავლური პოეზიის ყველა უძლიერესი წარმომადგენლისგან.

თამაში შეიძლება ითქვას, რომ არც ირანულის ლიტერატურის უბრწყინვალეს მნათობებს ფირდუსისა და ნიზამი განჯელს, არც სხვა რომელიმე ირანულ პოეტს, ეპიკო-რომანტიკული პოემის სფეროში არ შეუქმნია არც ერთი ისეთი ხასიათის ნაწარმოები, როგორიც არის „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიაც ვხვდებით ქლავის რომანული სიყვარულის უმაღლეს წერტილამდე მხატვრულ განვითარებას და წრთული რაინდული მეგობრობის და სიყვარულის კულტს.

პოეტს თავის ნაწარმოებში მთავარ მიზნად დაუსახავს ამ სიყვარულის კულტის შექმნა და მისი უღირესად იდეალიზირება და სწორედ ამიტომაც მის ნაწარმოებში იწვიათი ოსტატობით არის დახატული წრთული რაინდული სიყვარული, რომელსაც სარჩულად გმირობა და გაყვაცომა უდევს.

შინაარსი და დედამაზრი პოემისა, მოკლედ რომ ვთქვათ, ასეთია:

რაინდული სიყვარულისა და მეგობრობისათვის თავდადებული და ყოველი ჰირის მძლე და გაფოლადებული გმირი-რაინდული,—თავინაითი მიზნის მისაღწევად ბოროტ ძალების წინააღმდეგ მებრძოლი,—სძლევენ ყოველგვარ გაჭირვებასა და სიძნელეს და მიალწვენთ თავინათ სატრფოებთან სასურველ შეერთებას, და, დასასრულ—გახელმწიფდებიან და გამორქმულდებიან, რითაც მართლდება იღვა: „კეთილმან სძლია ბოროტსა არებას და გაყვაცომა უღია“—ო.

ეს დღდა აზრი უკვე სახეებით განხორციელებულია იმ მთლიანი შინაარსის ნაწარმოებში, როგორიც არის წარმოდგენილი ვახტანგის რედაქციით.



შოთა რუსთაველი

ნახ. მხატ. დ. ჩხეიძისა



„შინ უთსრა: „წადით დამკარგეთ მიწ, სიღა ზღვისა ჩიშისა;
წმიდისა წყალა ვერ წასოს მკინფათუ ვერცა ლიშისა“

ნახ. შხატ. მ. ნიჭისა



ეს შინაარსი და დედააზრი ჩაქსოვილია უცხო ტიპოურ- აღმოსავლურ ეაბულაში, რომელიც წარმოგვიდგენს ორის მძალ შენაფიკარი მოყმის არაბთა მეფის სპასხეც ავთან- დილია და ინლით მეფის ტარიელ სარდალის-მის თავ- გადასავალს, რომელშიაც მკითხველის შიელ ყურადღებას იპყროს ის ჩემ მიერ არა ერთგზის აღნიშნული განსა- კვეთრებელი სიმეტრია, და თხრობის ინტატური დღაა- კება, რომელიც დატყლია შინაარსის ისტატურების თან- დათანობით ზრდაში.

ნადიროსის შემდეგ არაბთა მეფის როსტევიანის და მისი ამალის თვალში თვალწარმტაცი „ვეფხის-ტყაოსანი“ გმი- რის შეხვედრა და ამ უკანასკნელის მიერ მეფის მოწებისა და ლაშქარის აწვევტა და მისი გლვის უსწრაფეს უკვლოდ გაქრობა, ავთანდილისა და თინათინის რომანი, როგორც ტარიელისა და ავთანდილის ძმადელი კობის და საუკუნო მეგობრული კავშირის ნამდვილი მიზეზი და საერთოდ, „ვეფხის-ტყაოსანის“ ცხოვრების და თავგადასავლის ყოვე- ლი ეპიზოდი,—ან ეს თუ ის ცალკეული ავანტურა, ისეთი ღრმა ინტერესის გამოწვევი თანდათანობით (სიმეტ- რიით) არის დალაგებული და აკინძული ერთი მთლიანი თავიულოვით, რომ ყველა ეს საკმაო ხდება, პოეტის უზო- რა აღმოგვიჩინათან და მისავე ჯადოსნურ რთმასთან ერთ- თად, რომ განდევნოს ყოველი ეჭვი ამ ნაწარმოების ორი- გინალობის და თავისებურობის შესახებ¹.

ამიტომაც პოემის სიუჟეტის, თუ გნებავთ, ამგვარი საქრებისანო ცხოვრებისათვის შეუფერებლობისა და წმინ- და აღმოსავლურ მამპადიანური სულისა და მიმართულე- ბის მიუხედავად, შემოდება დანამდვილებით ითქვას, რომ ნამდვილ ქართულ და არა უცხო პოეტურ შემოქმედებას- თან გავსებას ქაქე.

ამ მხრით ჩვენ ყველაზე საგულისხმოოდ მიგვაჩინა პოეტის მიერ ქალ-ვაჟის რომანული სიყვარულის ქართულ ნიადა- გზე უმაღლეს წერტილამდის ვაითარება, ანუ, უჭკით- დეაბიზირება, და ამ შემთხვევაში ჩვენს წინ იშლება ნეოპლატონიზმის ძლიერი გავლენა პოეტის მიერ სიყვარ- ულის დახატვაზე, რაც ჩვენ დაბეჯითებით აღვნიშნეთ თავის დროზე².

სწორედ ამავ მიზნით პოეტს შეუცვლია თავის გემოზე ქართული სინამდვილისათვის უცხო ტიპოური აღმოსავ- ლური მოთხრობა და გადმოქართულებინა, თავისი სურვი- ლისამებრ, მისი არაკი, ანუ თხრობა, და აქაც ჩვენთვის ყველაზე საგულისხმიერია ქავთა შესახები თხრობის ხა- სიობა, რომლის მიხედვითაც, დევების ნაცვლად, ქაქება განთავსდები, ისე როგორც ეს ქართულ-სომხურ ლეგენ- დებში გვხვდება.

ახლა გნახათ, თუ როგორი ოსტატობით არის ყველა ეს „სხარულბული“ მითელი პოემის შინაარსის ქხარაკს ამოძარაგებს ორი მზეთუნახავის თავ-თავის მიჯნურების მიმართ გამოთქმუ- ლი ფრაზები:

მოეცათნოთ ეს ადგილები:
პორფიროსანი თინათინი იმბოძს თავის მიჯნურს ავთან- დილს და მას დასაქმებს იმ უცხო ყმის მონახვას, რომე- ლმაც მამა მისს უზომო მწუხარება მიაყენა და საგონებელ- ში ჩაავადო მით, რომ დაუხიცოა მის მონები და ლაშქარი და თვით უკვლოდ გაქრა.

ბტძქინი მზეთუნახავი ასეთი სიტყვებით მიმართავს თავის მიჯნურს:

„ასერ გიხსრა,“ სამსახური ჩემი გამართებს ამაღ ორად პირველ ყმა ხარ, ხორციელი არვინა“ გყვავს შენვე

მერმე ჩემი მიჯნური ხართ დასტურია, არ ნაქორად, და წადი, იგი მოყვე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად“. ავრთვე უებრო მზეთუნახავი ნესტან-დარეჯანი თავის წერილში ამ სიტყვებით მიმართავს მიჯნურობისაგან ქარ- ვასავით ვალულ მიჯნურს ტარიელს:

„ბედითი ბნედა, სიკვდილი, რა მიჯნურობა გგონია? სჯობს, საყვარელს უჩვენე საქმნი საგმირონია; ხატეთს მყოფნი ყველანი ჩვენნი სახარაულონია... წა, შეები ხატელთა, თავი კარგად გამაჩვენე; მზემან მეტი რაღა გიყოს, ამა ბნელი ვავთენე!...“

საყვარელის გულისათვის „საგმირა“ საქმებით, გმირობა და მისთან დაკავშირებული ძმალშენადიკარი მოყმისათვის დაპირების ასრულება, რაც მეგობრობის ყველაზე უძვირ- ფასეს მხარედ ითვლება,—ამ რა არის ნამდვილი რან- დული სიყვარულის დამამტკიცებელი, და ამ სწორედ ამ რანდული სიყვარულისა და რანდულივე ძმადიკობის მხატვრულ ასახვაში და უმაღლეს ხარისხამდე აყვანაში იჩენს თავს ჩვენი პოეტის გენიალური შემოქმედება, რაც ყველაზე მეტად გამოვლენებულია იმ განუსაზღვრლობის გრძნობის დაკავშირებულ ნეოპლატონური სიყვარ- ულის ოსტატურად ჩატარებაში, რომელიც სამარის იქი- თაც კი ეთიებს უსაზღვრო სიტკობება-ნეტარებას სატრფოს- თან შეერთებისაკენ მიჯნაღებაში.

მაგარ, სჯობს, მოვიწერთ ერთი ყველაზე შესანიშნავი ადგილი იმის საილუსტრაციოდ, თუ რა მკერმეტყველე- რად და რავარი იშვიათი მხატვრული ოსტატობით არის გამოთქმული ეს უსაზღვრო სიყვარულის გრძობა ქაქეთის ციხეში და ტყვედებისა და განთავისუფლების იმედ- დაკარგული ნესტან-დარეჯანის მიერ, რომელიც ამ სო- ფლიურ იმედებზე გულაცურებული და ამ ქვეყნად სატრ- ფოსთან შეერთებზე და ამ სოფლიურ ნეტარებაზე სრუ- ლიად სასოფარკვეთილია.

აი როგორი ცრემლში ნალესი სიტყვებით სწერს თავ- ის სატრფოს ეს ცხრავილტულში მჯდომარე მზეთუნა- ხავი, აქაც წერეთლის მოსწრებელი სიტყვებით რომა თქვა:

„შენმან მზემან, უშენოსა არვის მიხედს მთავრე შენი, შემნან მზემან, ვერვის მიხედს მოცაედენ სამნი მზენი; აქა თავსა გარდაიციევე, ახლოს მახლენ დიდნი კლდენი და სუდნი ჩემნი შევიდრე, ზეითი მომხედენ ნუ თუ ფრთხილ...“

ღმერთსა შემიდრე, ნუ თუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომისა,

ციცხლსა წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომისა, მომცნენ ფრთენი და აღფრინდენ, მივხვდენ მას ჩემსა ნდომისა, და დღისთ და ღამით ვხედიდენ მზისა ელვათა კართა მას!

შე უშენოდ ვერ იქნების, რადგან შენ ხარ მისი წილი, ვანადამცა მას ეახლე მისი ეტლი, არ თუ წილი შენა გნახო, მასვე გნახო, განმინათლო გული-ჩრდილი და თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიცა მქონდა ტკბილი.

¹ ი. აბულაძე მე-12 საუკუნის ქართ. საერთო მწერლობა, 52—53. ² oper. citat. გვ. 127.

მე სიკვდილი არად მიმძიძის, შემოგვედრებ რადგან სულსა,
მაგრამ შენი სიყვარული ჩაიკეტანე, ჩამრჩა გულსა:
წომეგონის მოშორებება, მემატების წყლული წყლულსა;
და ნუცა მტირი და ნუცა მიგლოვ, ჩემო, ჩემსა სიყვარულსა?!

რაცა ვიჩივლუ ბედისა ჩემისა კმა საჩივარად,
ცან სამართალი მართალი გულისა გულსა მივსა რად,
შენთვის მოეკვდები, გაგხედები ყორანთა დასაყივარად,
და ვიდრე ცოცხალ ვარ, გვეყოფი სატროლად და სატკივარად!

აჰა, ინიშენ ნიშანი შემეუთისა რიდისა,
გადმიგვივითა ალამი, ჩემო, ერთისა კიდისა,
ესნდა დაგარჩეს სანაცვლოდ ენს იმედისა იდისა,
რისხეთი მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შეიდისა!...

ასეთი უიმედობით და უზომო სასოწარკვეთილებით არის აღსავსე ნესტან-დარეჯნის თავის მიჯნურისადმი სიყვარულის გრძნობა.

მაგრამ სწორუბოვარი პოეტის შემოქმედების ხერხები და მატერიალი ოსტატობა ადვილად გადალახავს ყოველგვარ სიმძნელს, იგი ადვილად ახერხებს ნესტანის ამგვარ უიმედობას და სასოწარკვეთილებას უპოვოს შესაფერისი გამოსავალი.

სახელმწიფო, მისი საყვარელ გმირის ტარციელის წრფელი და მძლავრი რაინდული სიყვარულის განუსაზღვრელი გრძნობა შესაძლებლად ხდის ამ უიმედობისა და სასოწარკვეთილების დაძლევისა და სიყვარულს იღვის ძლიერად დაგვირგვინებას.

და იმ სწორედ ამ განუსაზღვრელი სიყვარულის იდეიდან გამომდინარე გრძნობათა ჭიდილის იშვიათი მხატვრული ოსტატობით ჩატარებაში მდგომარეობს შოთას პოეტური შემოქმედების ძლიერ-მოსილება.

ყველაფერი ეს თითქო თავისთავად საცამო იქნება იმის დასასკენლად, რომ «ვეფხისტყაოსნის» მთარგმნელად მოსავლურ არაკში უნდა მომხდარიყო ძირითადი ცვლილებები პოეტის მსოფლმხედველობის გაკლენით და პირვანდელი მისი სახე, ანუ უკეთ, მტკნარი ზღაპრული მოთხრობა, აღმოსავლურ-გმირთა თავგადასავლების შესახებ უნდა გადაქცეულიყო პოეტის გენიალურ ნაწარმოებად.

მაგრამ მარტო შინაარსით არ ამოიწურება ამ ნაწარმოების მიმზღველობის ძალა.

შინაარსის შესაფერისად გვხიბლავს, ამ შინაარსში ჩაქსოვილი სიბრძნე ბრძნული აფორიზმების სახით ისეთი თემებზე, როგორიცაა: ძმა დიციობის მალა დაყენება, სიუხვე; მეგობრობა, სახელის მოხვეჭა, სახელოვანი სიკვდილი, ქემშარიტი მიჯნურობა, პოეზია და სხვა ამგვარები.

მოვიტანოთ ზოგიერთი ადგილები, მეგობრობის და ძმა დიციობის სატროფოსადმი სიყვარულზე მალა დაყენება:

პირველსავე დაცემობისათანავე და მხადციკობისათანავე ქვაში ტარიელ ამ სიტყვებით უხდის მადლობას თავის მხადციკს ავიანდილს:

«ამა დღემან დამაიჭრეა გული ჩემი ვინ დაბინდა,
გამიშვია შეჭირება, იგი იქმნას, რაცა გინდა,
იაგუნდი ვერცა სჯობს, აიასჯერცა მინა მინდა,
და შენ გიახლო სიკვდილამდის, ამის მეტი მინდა!»
სი უხვე:

მეფეთა შიგან სიუხვე: ვით ედგეს ალვა რგულია,
უხესა შპორჩილობს ყოველი იგიცა ვინ ორგულია;
სმაჰამა დიდად შესარგი, დება რა საეარგულია!
რასა ვასცემ შენია, რაცა არა—დაეარგულია.

ვარდთა და ნესეთა ვინათგან, მზე სწორად მოეფენების,
დილთა და წერილთა წყალობა, შენმცა ნუ მოგვეწყნების...
უხეი ახსნილსა დაბამს, იგი თვით ების, ვინ ების!...
და უხვედ ვასცემდი,—ზღვათაცა შესდის და გაეიდნების.

გულწრფელი და უმწიკლო მეგობრობა სადა და მარტივი უნდა იყოს, მას არაფერი არ უნდა ამძიმებდეს:

ღია მძულს მეტი მოყვრისა შიში, კრძალვა და რიდობა,
მძულს განუწყვეტლად კუშტობა და სულმძიმობა,
თუ მოყვარეა, გულისა ქმნას ჩემეც მონაზიდობა,
თვარა მე ჩემდა, იგ—მისდა, ღია სჯობს კიდისკიდობა.

რაინდი შეუდრეკელი უნდა იყოს ბრძოლაში, უნდა ისწრაფოდეს სახელის მოსახვეჭად:

«კაცი ჯაბანი რითა სჯობს, ღიაცა ქსლისა მებეველსა,
სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა.»

ნაზრახ სიციცხლეს სახელოვანი სიკვდილი სჯობს:

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა, გზა ევირო, ვერცა კლდევანი,
მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძალგულოვანი.
ბოლოდ შეჰყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მცხოვანი,
და სჯობს სიციცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი.

აწ ენახათ თუ როგორ ფორმებშია ყველაფერი ეს მოცემული? შოთა ენის სწორუბოვარი ოსტატია. ჯალღოსნური ენა, საუბრილო სტილი, ყველაზე მეტად უწყობს ხელს პოეტის გენიალური შემოქმედების გამოვლენებას, და ამ შემთხვევაში ყველაზე მეტი ძალა ეძლევა პოეტის ჯალღოსნურ მხატვრულ ლექსსა და რითმას.

პოეტის ლექსი შეიღარებელია.

მე უკვე აწერილი მაქვს დაწვრილებით რუსთაველის ენის ხალხურობა, სადაც ნაჩვენებია ამ ხალხურობის თითქმის ყველა თვალსაჩინო მაგალითი, რომლებსაც ხმარებაც გამომწვეულია მისი ჯალღოსნური რითმის საჭიროებით; მაგრამ ორი შემთხვევა პირდაპირ გასაოცარიათვის მოხერხებული თქვით:

490, 1 — 2: ზღვათაცან გავლენს სარემენლი, მაშინვე გაუჩინარდა,
დავარ თქვა: «მქმენლი ამისი, ვინ არ დამყოლოს, ვინ არა!»

ეს უკვე მარტო ლექსი კი აღარ არის, ეს არის საუცხოო სასიმღერო ლექსი, ნამდვილი საოპერო კანტატა, სახელო განმეორებელია, ხალხური ენის თანახმად, ერთი და იგივე ფრაზა, გალობის მიზნით.

მეორე მავალითი კიდევ უფრო საკვირველია (703,3—1), სადაც პოეტი ახერხებს საკვირველების გრძობის გამოხატვით, გამოიყენებს საექვემოცემო ადამტებითი ხარისხი:

„ველარ ვისმენ ხმასა შენსა, სასმენელად მე მას რულსა“—ო. ე. ი. სასმენელად რა გვარსაო, ანუ ისეთს, რომლის ქებას ენა ვერ იტყვის, ე. ი. ველარ მოვისმენ შენს ტკბილას ხმასა, რომელიც არ ვიცო, ვერ გამომოთქვამს, როგორია-ო. იგულისხმება ავთანდილის ხმა საკვირველი მოქმედი და ზეალმტაცი, ექსტაზის მომგვრელი, ტანში ერთვანტლის დამებრძო...

ამხარადა უსახლორო რაინდული სვეყარულის იდეა შეუღარებელი ხელოვანის მიერ ასე ოსტატურად ჩატარებული და მაცოცხლებელ—ქველად მიმდინარე პოემის მიუღს ნინარსში და პოეტის ჯაღინსური რითმა, აი ყველა ის, რაც ჰქობლავს და იხილავს და მისთვის შეუმჩნეველად იმონებს მკითხველს—ვეფხის ტყაოსანში“.

ყოველი დიდი პოეტი-გენიოსის ცხოვრებაში აშკარად შეინიშნება ერთი ყველა მსოფლიო მამტაბით დიდი პოეტებისათვის საერთო მოვლენა.

სახელდობრ, პოეტი გენიოსი იმდენად მალა დვას მის თანამედროვე საზოგადოებრივ წრეებზე, რომ მისი მსოფლმხედველობა და ნამდვილი მოაზროვნის სახე ჯერ კიდევ შეუცნობელი და აუთვისებელი რჩება მის თანამედროვეებაში და მხოლოდ შემდეგში მთელი წყება საუკუნეების სივრცეზე იგი თანდათანობით, სულ უფრო და უფრო, იზრდება შემდეგ თაობათა თვალში და ხდება ისევე ნათელი ძლიერი, როგორც მნათობი მზე, რომლის ელვარებასაც თვალს ვერ შეჰმართებ, მაგრამ საესებით ჰგრძნობ მის ცხოველ მყოფელ ძალას.

რომელი დიდი პოეტიც უნდა იღობ ჩვენი წარსულიდან—ყველა მოთავსნ ახასიათებს ეს თანამედროვეთათვის ჯერ საესებით არ შეგებული მათი—მთ დრომდე არ არსებული,—სიბრძნისა და აზროვნების სიღრმე-სივანე, ანუ უკეთე მათი მოწყინაევობა; და აქ ყველაზე საყურადღებოა ჩვენითვის ის, რომ გენიალური პოეტის ცხოვრებში შენიშნული ამგვარ მთვლენის ნიადაგზე რქმნება მისი დიდებეა; ანუ უკეთე, ამ ნიადაგზე ხდება იგი კაცობრიობის ფერმენტად და იმოსება ბრწყინვალე შარავანდითი მისი სახელი.

ასეთებია ჰომიროსი, დანტე, ფერდოუსი, შექსპირი, გოეთე, პუშკინი და ყველა სხვა დიდი პოეტი—გენიოსი მსოფლიოში.

ამიტომაც ავლიო წარმოსადგენია ჩვენითვის, თუ რატომ არ შენახულა მათ შესახებ ცოტად, თუ ბევრად სარწმუნო ბიოგრაფიული ცნობები.

ასეთივეა შოთაც. ჩვენი წიგნი წიგნი დღეს იმგვარ კულტადმე მთვლენა ჩვენითვის, როგორც ხალხის წარმოდგენაში მნათობი მზე, —ძლიერი ნათლით გაბრწყინებულნი, შარავანდედ მისილი, მსოფლიოსთვის სინათლისა და სიბრძნის გამომცემელი.

ჩვენ არ ვიცით, თუ როგორია ეს მზე ახლოს დასანახვად,—მის შესანებად საკირო ხდება ადამიანისათვის სინათლის ქანსენის შესწავლა, მაგრამ ჩვენ უამისობად ცნესუბით ვანციდით მის ცხოველ მყოფელ ძალას.

მაგრამ შოთასა და მზეს შორის არის კიდევ მეტი თვალსაჩინო მსვავსება:

როდესაც ცა მოპოქმეშებულია, როდესაც იგი პირბნელობს, მზეც ჩვენგან დეფარულია, მაგრამ როდესაც ცა მოიწმენდს, იგიც სრული თავისი ელვარებით აღმობრწყინდება ხოლმე; ავითვე შევანულ დროს, როცა ქვეყანა მონობის ბორკილში სულსა ჰლვებს პოეტი—გენიოსის პიროვნებაც მისთვის დეფარულია, მაგრამ რა ხალხი მონობის ბორკილს დაამსხვრევს, იგიც სრული თავისი დიდებთა და ნიქის ძლევამოსილებით გამოაშუქებს ხოლმე.

ეს ჩვენი უბედნიერესი დროც, — სტალინური ეპოქაც, — ამის საუკეთესო მოპასუფებელია.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ჩვენი ჩაგრული მასა მოკლებული იყო თავის დედა-ენაზე სწავლა-აღზრ, დის ცხოველმყოფელ ძალას, და ძვირად თუ ატკობდა ვინმეს სენას მისი ქვეყნის სახელოვან პოეტთა ჰიმნები, მაგრამ დაბეზა რევოლუციის უღმობებლმა გრივალმა იფეთა ოქტომბრის პროლეტარულმა რევოლუციამ, განაზნა მპოქმეშ ბორკიტი ძალეები, და ხალხმაც დაამსხვრია მრავალსაუკუნოვანი მონობის ბორკილი, და ჩვენი ხალხის გენიაც, — ჩვენი უკვდავი შოთაც, — მთელი თავისი ნიქის ელვარებით, მთელი თავისი ძლევამოსილებით ამობრწყინდა ჩვენს წინაშე.

დღეს ჩვენ ვტკებთ არა მარტო მისი ნაანდერძევი „ვეფხის-ტყაოსანის“ კითხვით, არამედ იმითაც, რომ როგორც ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის თვალსაჩინო ადგილზე, ისე ქვეყნის ყოველ კუნძულში, სოფლად თუ ქალაქად ქუჩასა და მოედანს ამკობს მისი უკვდავი სახელი, და ყველგან ოქროს ასოებით არის აღბეჭდილი ეს ჩვენი ხალხის კუწმარტი მესაიდუმლე, ეს საქართველოს ცის უდიდესი ვარსკვლავი.

ჩვენ ვტკებთ და თანაც ვამაყობთ იმით, რომ „ვეფხის-ტყაოსანი“ ითარგმნება ყველა კულტურისან ხალხთა ენებზე და სულ მალე შოთას სახელო ერთნირად ბრწყინვალე გახდება, როგორც ჩვენში, ისე ყველგან მიუღს მსოფლიოში, და ყველა ეს ჩვენ მოგვცა სოციალიზმის გენიალური შემომქმედის—დიდი სტალინის უბრწყინვალესმა ენოქამ.



დ. ჯანელიძე

რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“ თეატრისა და დრამატურგიის შესახებ

1

„ვეფხისტყაოსანი“ პირველი და საუკეთესო შემსრულებელი თეატრის მისი ავტორი უნდა ყოფილიყო. შაირობა მართლაც ლექსის წერას როდი გულისხმობს. მოზაირე ლექსის გამოთქმევი იყო და მისი მხატვრულად წარმართვმელიც ხალხურშიდაც „შაირი“, „მოზაირე“, „შაირობა“, „გაზაირება“, ხო, ამ აღრინდელი მნიშვნელობით არის შემორჩენილი.

რუსთაველის ეპოქაში, ლექსი ცალკეულ მკითხველის წასაკითხად კი არ იწერებოდა, არამედ მრავალთათვის მოსასმენად გამოითქმებოდა—

„შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო საღმრთოდ გასაკონი, მსმენელთათვის დიდი მარგი, ყველა აქცა იამების ვინცა ისმენს კაცი ვარგი.“

ამგვარად შაირობაში მოხვედრისა და შემსრულებლის ოსტატობა იყო გაერთიანებული. მოზაირე პოეტიც იყო და დეკლამატორიც. წინა დროების უფრო მსმენელი ჰყავდა ვიდრე წამკითხველი. ლექსი მუსიკა იყო („ენა მუსიკობდეს“) და მიტომაც მოსასმენად მეტად ემოციური („ვიინცა ისმინოს, დაესვას ლახვიანი გულსა ხეულა“). რუსთაველის შაირის წასაკითხავად განსაკუთრებული კილო ყოფილა შემუშავებული.

* წაკითხულია რუსთაველის ინსტიტუტის ახალი ლიტერატურის სექციის სხდომაზე.

ძველად „ვეფხისტყაოსანი“ წამღერებით იკითხებოდა¹. მოზაირის ოსტატობა შემდეგში პოეტმა და მსახიობმა გაიყვეს — პოეტი სწერდა, მსახიობი მხატვრულად ჰკითხულობდა. მაგრამ დრო და დრო მინაც გამოჩნდებოდნენ ხოლმე მოზაირის ორმაგი ხელოვნებით აღჭურვილი ოსტატები. პოეტი მამია გურიელი ნამდვილი მოზაირე იყო ამ სიტყვის რუსთაველური გაგებით. ქართული სცენის სახელმძღვანელო აქტიური კოტე ყიფიანი მხატვრულ მეტყველებას მისვან სწავლობდა და ლირის როლზედაც მისი მეთვალურების ქვეშ ვარჯიშობდა. პოეტი გრ. აბაშიძეც მოზაირის ყველა თვისებით იყო შეიარაღებული, საოცარი მეხსიერებითა და მომხიბველი დეკლამაციით მსმენელთა აღტაცებას იწყებდა. საბუთია ეპოქის დიდი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკიც ნამდვილი მოზაირე იყო, იგი ორმაგი

¹ „ვეფხისტყაოსანი“ კითხვა ნოტებზე გადაიტანა ი. ნიკოლეი-შვილმა, რომელიც შეუდგენა გავრცელებული საზოგადოებრივი წინა დროის მსმენელთა აწ განსვენებული პაუ. კვიციანი, ქართულის კარგი მცოდნე და მეტად დაკვირვებული მკვლევარი... მისი სიტყვით, „ვეფხისტყაოსანი“ ძველად სიმღერით კიოხულობდნენ და გვიღერა კიდევ. კლასიკის სიმღერით გვაკითხებდა ჯგუფობრივად და ცალკეულად. კარგად მასოფს ეს კოლო და პარტიკულური პროფესორის რჩევით ფართო საზოგადოებისათვის გასაცნობად გადაიტანე ნოტებზე“ (გაზ. „მუშა“ 1937 წ. № 259).

მე-19 საუკუნის მწერალთა შორის გამოირჩეოდნენ რუსთაველის პოემის შემდეგი წამკითხველები: დიმიტრი ყიფიანი, ბარბალე ჯორჯაძე, ილია ჭავჭავაძე, მამია გურიელი.



„შინა დაჯსყვით ნადამად მას დღეს მინდობს რაჟულა
მთაღარაღნი და მუჭტაღნი არ იყვნენ სულ დაღუჟულნი“

ივ. ტ. მ-17 საუჯუნის ხელნაწერიდან უცნობი მხატვრისა.

ხელოვნებით შეიარაღებული, როგორც პოეტი და როგორც ტრიბუნი, თავისი ლექსით იბრძოდა და ქედობდა, მიტომაც ასე დიდი და ძალუმი იყო მისი მხატვრულად ცოცხალი სიტყვის მასებზე ზემოქმედება.

პოეტი იოსებ გრიშაშვილი ნამდვილი მოშიირეა, პოეტად და არტისტიც (ის ხომ ქართული თეატრის პროფესიონალი სუფიორი იყო და მხატვრულ კითხვას ზეწინსკენის დიდი ოსტატებისაგან სწავლობდა), მიტომაც ასე აღტაცებით უსმენენ მას.

რუსთაველის ლექსის აქ აღნიშნულ თავისებურებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. უნდა გაირკვეს, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის, სანამ აქა-იქ კიდევ მოიძებნებიან „ვეფხისტყაოსნის“ კითხვის კილოს მცოდნენი, თუ როგორ იკითხებოდა შაირი, და ასეთი შესწავლის საუფქველზე უნდა აღმოცენდეს რუსთაველის თანამედროვე დეკლამაცია. დიდმა პოემამ უნდა ჰპოვოს ღირსეული დეკლამატორი, რომელიც რუსთაველის ლექსის ყველა თავისებურობათა გათვალისწინებით, სწორ კილოსა და საღებავებს იპოვის მისი დიდი სილამაზის, მომხიბველი ექსიკლოპისა და ბრძანად ნაკაზმი აზრის გამოსაჩენად. მხატვრულ-მეტყველებას, ხომ მუდამ გამაფრთხილებელ დევიზით შერჩება რუსთაველური აფორიზმი: „არ სასმენლსა მოსმენა არს უმეავესი წმახისა“.

„ვეფხისტყაოსნის“ ვასცენიურების საწყისების მისაკვლევად, ზოგი რამ ძველი ქართული თეატრის ისტორიიდან უნდა გაიხსენოთ.

მეთერთმეტე საუკუნეში საქართველოში უკვე არსებული „თეატრი მრჩობლითა“ (ორთა, ორ აქტიორისაგან, რომელსაც „ღვთის მეტყველებორ წაღმებლობა და ცოდვილთა მოქცევა“ მოეთხოვებოდა (დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანლისაგანი“) და რომელიც უპირდაპირდებოდა ამ დროინდელ საერო თეატრს — მგონებმის, მუშიათების, მუტრიბების, მომღერლების (მოთამაშების) სახიობას. აღბად ქართველი ხუცების ზეგავლენით აიხსნება, რომ დავით აღმაშენებლის დროს „მონასტერნი და საეპისკოპოსნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა, და ყოვლისა საეკლესიოსა განგებმისასა დარბაზის კარით მიიღებდნენ, ვითარცა კანონსა შევნიერსა ყოვლად უცთომელსა, და დაწყობილსა, კეთილ წესიერებისა, ლოცვისა და მარხვისასა, რამე თუ საეშმაქონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და გინება დეთისა განმრისხებელი, და ყოველი უწყესობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა“ (ქართლის ცხოვრება, ზ. კვიციანიძის გამოც. გვ. 372).

მაგრამ ეტყობა ეკლესიის წევრებმა, სახიობის ღვთის განრისხებულ ვინმემა მიჩინვამ სახიობის მოთამაშებებს ვერა დაალოლა რა.

მეთორმეტე საუკუნიდან მოყოლებული სახიობა უკვე ვაბატონებულ თეატრალური სანახაობა და იგი თვით სამეფო კარის მფარველობით სარგებლობს. თამარ მეფის ქორწილზე იყო „სიმრავლენი სახიობათანი“, — იყო ზმა მგოსანთა და მუწაითთა, და სახიობათანი, მჭკრეტელნი იყო რა ზმთა სიმრავლე“ (იქვე, გვ. 414, 425).

პოემიდან სჩანს, რომ რუსთაველი წინაღუდგა ეკლესიას და აშკარად მხარს დაუჭირა ხუცეების მიერ შეჩვენებულს „საეშმაყო“ თამაშობას. ვაგუსკაჩლა ეკლესიის მიერ დაგამობილ „სახიობას და თავის დიდებულ ჰომეში მგოსნებს, მუწათებს, მუჭრებებსა და მომღერლებს (მოთამაშებებს) სამეფო კარზე საპატიო ადგილი მიუჩინა და ყველა მათ, ზეიმში მონაწილეობაში მიიღეს. რუსტევან მეფემ —

„ესე თქვა და სიზარულთი თამაშობა ადიდა,
მგოსანი და მუწათი უხმეს, პოესს, რაჟა სადა“;

რუსთაველმა რომ „საეშმაკონი სიმღერანი (თამაშობანი), სახიობანი და განცხრომანი“ ადიდა, ამას ხუცეები ვერ აპატრებდნენ პოეტს და ალბათ ამითაც იხსენებენ ქართლის მთავარ-ეპისკოპოსისაგან რუსთაველის ძაგება: „ესე იყო მოქმელი ლექსთა ბოროტია, რომელმან ასწავლა ქართველთა სიწმინდის წილ ბოროტი ბილწებითა და განაჰრყენა ქრისტიანობა“ (ტიმოქე ვაბაშვილი-„მოხილვა წმინდათა და სხუთთა ადგილთა“, გვ. 154). თუ რუსთაველი ეკლესიისაგან წყევლა-კრულვით მოისხენიებოდა და მისი პოემა კი იღვენებოდა, მგოსანთა, მუჭრითა და სახიობის ყველა მოთამაშეთა წრეში, ალბად მის სახელს ყოველთვის დიდს პატივისცემითა და მოწონებით იხსენიებდნენ. რუსთაველმა ხომ დაბალი ენარიც კი, სახიობის სახელდახელო რეპერტუარად რომ გამოვლევოდა, სიბრძნის ერთ-ერთი დარგის — შაირობის გვერდით მოხსენების ღირსად სცნო და ამით მანამდე ყბადღებულთა და ეკლესიისაგან დევნილი „სანადიმო“, „სამღერელი“, (სათამაშო), „სააშყო“, „სალადობა“ და სატირეკული („სათრეველი“) ლექსთა მოხვედლობის წინშეწელობა აამბალა, მეტი პატივი და ფასი დასდო მის.

შემდეგი დროის წყაროებიდან სჩანს, რომ ერთად-ერთი უფლებმა, რომელიც ეკლესიის მინიც შეუნარჩუნებია, ეს ეს, რომ ქათალიკოსისა და ეპისკოპოსების სამეფო კარზე ყოფნის დროს, სახიობა ვერ განამარტობდა — „... მერმე შემოვიდიან მეფისა ვანი და შექმნიან ნადიმნი და პურობანი დიდნი მგოსან სახიობითა; არამედ ქათალიკოსნი და ეპისკოპოსნი ვიღერმდის იყენენ მუნ, არ იყოს მწყობრთა ძალთა ცქმანი, არამედ გალობანი; ხოლო შემდგომად წასვლისა მათისა იყო მგოსანთა, მომღერალთა და ყოველთა სახიობათა ცქმანი“. (ვახუშტი — „საქართველოს ისტორია“, ტფ. 1885 წ. გვ. 14 — 15).

„ევეფხის-ტყაოსანი“ საუკეთესო მასალა უნდა ყოფილიყო სახიობისათვის და ამ მხრითაც მოთამაშეები და შემსრულებლები დიდად დავალებული იქნებოდნენ დიდ მოზიარებაში. რუსთაველის ლექსებისათვის სავანეობა ჰანგები იქმნებოდა, დიდი პოეტის ტექსტი იმ თავითვე სასიმღეროდ ქცეულა. „ქართველი პოეტი თეიმურაზ მე-2 (1700 — 1761) თავის წიგნში საქართველოს ზნეობათა

შესახებ მოკავთობობს, რომ სიმღერა რუსთაველის ხანებისა („რუსთაველის მუნანიზენი“) მიღებული ყოფილა ძველი ქართული ქორწილის რიტუალში. ასევე რუდესიაც სასიძო („მეფე“) მაყრიონთ სასიძოსთან (მ. დუბოვსკოვი-თან) წასასვლელად გაემზადებოდა:

„მეფის წასლის დროს ასტებთან ხამალა თვით მაყრულები, თქვან მუნსაბი ლეშებე რუსთაველისაგან თქულები.“

აგრეთვე, როდესაც ქორწილი დასრულდებოდა და მეფე ასადგომად გაემზადებოდა —

„მემაყრული თქვან რუსთულისა მუნსაბიე კეზასა“.

შემდეგ, როდესაც დედოფალს ეავის სახლში წამოყვადნენ და მეფე დედოფალი მაყრიონის თანხლებით დიმიტროლა

„მოავონდეს რუსთაველის ლექსი, შემოსახან წამ ასია; მოყვანეს იგი პირნზე“ და შემდგომად იმისია“.

(იხ. პ. ინგოროყვა — „შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა“ — ევეფხის-ტყაოსანი“. სახელგამი 1937 წ. გვ. XI — IX ს.).

ხალს რუსთაველის ლექსებისათვის შექმნილი სასიმღერო ჰანგები დღემდე შემოუნახავს. დიმიტრი არაყიშვილს, ია კარგარეთელს, ან. ბენაშვილს, ზაქარია და გრიგოლ ჩხიკვაძეებს, ი. რატელს ჩაუწერიათ და შეუგროვებიათ ევეფხის-ტყაოსნის“ ტექსტით გამართული ხალხური სიმღერების მთელი ციკლი. იხ. ცხრილი გვ. 72“.

ამდენად დიდი მრავალფეროვანია ევეფხის-ტყაოსნის ტექსტით გამართულ სიმღერათა ციკლი. უნდა მოველოდეთ, რომ კიდევ არა ერთი და იორი სიმღერა ჩაიწერება ამავე ციკლიდან.

სახიობის რეპერტუარი ერთ-ერთი მთავარი ადგილი გავრცელებულ ლიტერატურულ სიუჟეტებს ჰქონდა მიკუთვნილი, რაც თეიმურაზ I სიტყვებიდან სჩანს,

„მკვრელნი მოქმელნი და რიტორნი, მგოსანი მოშათენი „ვარდ-ბულბულს“ გაიძახიან ყოველი სული იმთენი“.


(„ვარდ-ბულბულიანი“, 71).

თუ „ვარდ-ბულბულიანის“ სიუჟეტის შესრულება ასე გავრცელებული იყო სახიობის მოთამაშეთა შორის, მაშინ უნდა ვიფიქროთ რომ მათ რეპერტუარში საპატიო ადგილი უნდა სჭეროდა ეპიზოდებსა და დილოგებს „ევეფხის-ტყაოსანიდან“. ამის დამადასტურებელია ჩვენ დრომდე მოღწეული, პოემის ტექსტით გამართული სიმღერები.

3.

დიდი პოეტის ენამზებოდა და მისი შემოკრეველი ავტორიტეტი ბევრ მეღვთეს ძილს უფრთხობდა. დაწყებული სერაპიონ საბაშვილის (XVI ს.) და გათავებული თეიმურაზ

¹ იხ. დ. არაყიშვილი — ევეფხის ტყაოსანი“ ქართულ მუსიკაში — ვახ. ზარია ვოსტაკა“ 1937 წ. 23 აგვისტოს. პრით. დ. არაყიშვილისა და აშხ. გ. ჩარკვიანის მასალების მოწოდებისათვის დიდ მადლობას მოვასყებ. ამ მოხსენებულ მასალა ნაწილობრივ გამოყენილია რუსთაველის საიუბილეო გამოცემაზე.



მხატვარი ზიზი

მე-XVIII ს. მეორე ნახევარში გაბრიელ შაიოს და-
ვით ჩოლოყაშვილს და გიორგი ავალიშვილს ჰქონდათ
ჩვენში ევროპული თეატრის ფორმეზი შემოაქვთ, რაც
სამეფო კარის მფარველობით შევიდრდება (ქ. კეკელიძე—
„ქართული ლიტერატურის ისტორია“ ტ. I, გვ. 491—502).
სწორედ ამ დროს უნდა აღძრულიყო სურვილი „ვეფხის-
ტყაოსნის“ ტრადიციით გასცენოუებისა. მართლაც, მე-
თერთმეტე და მეცხრამეტე საუკუნეების მიჯნაზე იწერება
მე-XIX საუკ. პირველი ნახევრის დრამატურგიაში „ვეფ-
ხის-ტყაოსნის“ გასცენიურებამ მთელი ეტაპი შექმნა. ამ
საქეს ხელი მოჰკიდეს გოდერძი ფირალიშვილმა, ოქრო-
პირ ბატონიშვილმა და გიორგი ერისთავმა (გლუხარ ჩხ.).

მწერალის გოდერძი ფირალიშვილის მიერ გასცენიურ-
ბული „ვეფხის-ტყაოსნის“ შეახებ ოქროპირ ბატონიშვი-
ლი მოგვითხრობს: „1805 წელსა გოდერძი ფირალგმან,
რომელიც იყო მდივანი ნეტარხსენებულის გიორგი მეფე-
სა, ბატონიშვილობაში, და მერე ინოსტრანის კოლე-
გიაში იმსახურებოდა, დაწერა სანქტ-პეტერბურღში რუ-
სულ ენაზედ ვეფხის-ტყაოსანი, ტრადიცია ხუთ მოქმედე-
ბითი: მაგრა თეატრზედ არ უთამაშნაათ და მეც მაშინ მცი-
რე ყმა ვეყავ და კარგათ არ მახსოვს“ („ვეფხის-ტყაოს-
ნი“ ტრადიციით თქმული მეფის ძის ოქროპირისაგან.
მოსკოვი 1853 წ.). თუ 1802 წელს რუსთაველის სტროფე-
ბი პირველად ითარგმნა, რუსულ ენაზე, 1805 წელს, უკვე
ტრადიციით გასცენიურებული „ვეფხის-ტყაოსნის“ რუსუ-
ლი ტექსტაც ვაჩნებოდა. ეტყობა ფირალიშვილს მოუწოდ-
ებოდა ტრადიციით „ვეფხის-ტყაოსნის“ სცენაზე წარმოადგე-
ბით, რუსეთის საზოგადოებრიობისათვის გაეცნო რუსთა-
ველის უდიადი პოემა. იმავე ოქროპირ ბატონიშვილის ცნო-
ბით: „პირველი აზრი „ვეფხის-ტყაოსნის“ თეატრზე წარ-
მოდგენისა ეკუთვნის გიორგი ერისთავის შვილს, რომელ-
მანც პირველმან შეთხზა ქართულ ენაზე კომედია. თუმ-
ცა 1805 წელსა გოდერძი ფირალგმან... დაწერა... ვეფ-
ხის-ტყაოსანი, ტრადიციით ხუთმოქმედებით: მაგრა თე-
ატრზედ არ უთამაშნაათ... გიორგი ერისთავიშვილის
სურვილი კი სულ სხვა იყო; იმს უნდოდა, რომ ვეფხის-
ტყაოსანი წარმოადგენილი იყო, რავედნიც შეიძლებოდა
სცენის მიხედვით, იმავე რუსთაველის ლექსებით; და ამით
სხვა ახალი გვარი რამე შემოეღო, თვით მიჰყო ხელი და
ერთი მოქმედება დაწერა: მაგრამ მე არ წამიკითხავს, და
არ ეციო რისათვის აიღო ხელი, ვკინებ წარავნა საქმემ
და ახალთ აქტიორების განსწავლების ზრუნვამ არ მის-
ცეს მოკალეება“ (ჩქვე).

რახ II-ით (XVIII ს.) 400—600 წლის წინად მიცვალე-
ბულ რუსთაველს გაბაასებაში იწვედნენ და თავიანთი
ჟიბრატსობის დამტკიცებას ლამობდნენ. რუსთაველიან
ცილობა, გაბაასება აღორძინების ხანის პოეზიის მაგის-
ტრალურ თემად იქცა. ამ დიდ მნიშვნელოვან პიექრობას,
ცხადია, თავს ვერ მოარიდებდა იმ დროინდელი თეატრი,
და, მართლაც, დარჩენილა ცნობა, რომ ამ ცხარე ბრძო-
ლების ასპარეზზედ სწორედ თეატრი გამხდარა. „რუს-
თაველისა და თეიმურაზის გაბაასებაში“ არჩილი ათქმე-
ვინებს თეიმურაზს.

„არც მე მწადადა აწ მასის,
ვთქვი: აქებდეთ თქვენ რუსთაველსა,
ენა ხარხად მითხარასა,
ვითა ტყბილი მისილის სიველსა,
მაგრამ ავსებებს თეატრონსა
ასპარეზსა, კულაცა ველსა,
ბაასობზედ შეგადრიათ,
ხოჯაჯრ ვებდავ თვალთი სველსა“.

(„ანთოლოგია“ ტ. II, გვ. 96).

აქედან, უნდა ვივხდისხმით რომ გაბაასება ამ დროის
სასახლობო დრამატურგიის ერთ ერთი ფორმა იყო, რო-
მელიც აღორძინების ხანის პოეტების რუსთაველიან პიექ-
რობით იყო სულაადგებული. რუსთაველიან გაბაასების
წარმოადგენის ეტყობა დიდი გამოხმაურება ჰქონია თეატ-
რონში.

აქედან სიანს, რომ გიორგი ერისთავი არ ფიქრობდა
პოემა ფრანგულ კლასიკურ ტრადიციით გადაქციათ,
ტრადიციული დრამატურგიული ფორმებით შეგზულდა
მისი გასცენიურება. პირიქით იგი მოწოდებულელი ყოფი-
ლა „რავედნიც შეიძლებოდა სცენის მიხედვით, იმავე რუს-
თაველის ლექსებით“ (ე. ი. პოემის ტექსტის ხელშეუხებ-
ლად, სოფეტური განვიტარების შენარჩუნებით) სხვა ახალი
გვარი არ შემოეღო“ დრამატული მწერლობაში. ამ მხრი-
ვაც, წინააღმდეგ მე-XVIII და მე-XIX საუკ. პირველ ნახევრის
ქართული დრამატურგიის მიმართულეებსა, გიორგი ერის-
თავი ნოვატორობას იჩენდა და „ვეფხის ტყაოსნის“ გას-
ცენიურებით, „ახალი გვარი“ უნდოდა შემოეღო.

გ. ერისთავის მიერ გასაქციურებული „ვეფხისტყაოსანი“ მონინა და ხელა დაეუღლა ტფილისის თეატრალურ მუზეუმში. ოქრობირ ბატონიშვილის ცნობა არა თუ დადასტურდა, არამედ მონახულმა ხელნაწერმა მოლოდინს გადააჰარა. შავად, გ. ერისთავის მთელი დრამა „ვეფხისტყაოსანი“, ოთხ მოქმედებად და პროლოგით დამთავრებულია. პირველი მოქმედება დანარჩენ აქტებზე უკეთ არის დამუშავებული და ალბად ამით იხსნება, ოქრობირის ცნობაც, — თითქოს გ. ერისთავს მხოლოდ ერთი მოქმედება ჰქონოდა დაწერილი. რა კი, ოქრობირი გ. ერისთავის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ინსცენირებაზე ხელის აღებას „მასხიობების განსწავლებას“, უკავშირებს ცხადია, რომ მას თავის დრამაზე მუშაობა 1851 წელზე ადრე უნდა ჰქონოდა დაწყებული.

აქვე მოგვყავს ნაწყვეტი გ. ერისთავის პიესის დისაწყვილიან.

ვეფხისტყაოსანი

დრამა ხუთთაღმინა მოქმედებათა პროლოგით.
(ფარდა აიხლება ნესტან-დარეჯანის ზის მწვანე კაბით. ასმათ შემოიყვანს ტარიელს).

ნესტან-დარეჯანი (ასმათს) მოახსენე, ასმათ დასჯდეს ამიბარბარსა (ასმათ ბალიშს დაუღებს დასჯედება ტარიელ).

ტარიელ წოდან გეწყინა ვაგზავნა უებარისა, მზემან გაყრითა დავაქენ ვითა ყვაილი ბარისა, დავსჯიდა დენაცრემლისა ნარგვის ნავუბარისა, მაგრამ ხამს ჩემვანს სორცხვილია და რიღ ამილბარისა თუმცა მართებს დედაცს მამაკაცის დიღი კრძალვა მაგრამ მეტი უარეა, არა თქმა და ქირთა მალეა, მე თუ ზებირ მიცინია, ქვეჩვე მიიქვამს იღმალეა, ძილან ქალი გამოვგზავნე გვენ მართლისა შემოთავალეა. (ხელს გაჰართმევს).

ზნელითი ზნელა სიკვილი რა მიჯნურობა გგონია, სჯობს საყვარელსა უფენო საქმენი საგმირონია ხატავთს მყოფნი ყველანი ჩენნი სახარაჯონია, აჟ მითი ჯავრი ჩენზედა ჩენგან არ დასათმონია (თეატრალური მუხუმის ხელნაწ. კოლექციიდან, № 202 (5)).

5

ოქრობირ ბატონიშვილის ტრაგედია „ვეფხისტყაოსანი“ დაიბეჭდა კიდევ. ტრაგედიის თავფურცელზე ვკითხულობთ: „ვეფხისტყაოსანი“, ტრაგედია თქმული მეფის ძის ოქრობირისაგან. მოსკოვს. ივანე სურგიკოვის სტამბაში 1853 წ. ოქრობირ ბატონიშვილის ტრაგედიას იმდენად საინტერესოა წინასიტყვაობა აქვს წამძღვარებული, რომ ზემოთტი არ იქნება აქვე მთლიანად მოვიყვანოთ:

„ამა მოთხრობითისა წარმოდგინებაში ვეცადე, რომ დამეცვა წესი, შესაბამი ტრადიციისა, რაც ამ ახალ გავარს შეეფერებოდა: მხოლოდ მოქმედებისა დაეუღლა, ვინაიდან ფაფერია, რომელი წარმოქმნიდა უპირატესთა გავითა მხოლოა. იგივეობა ადგილისა არ შემიძლო დამეცვა, რადგან თვით ამბავი ნესტან დარეჯანის ძებნაა. მოქმედებანი, თუმცა სხვადასხვა ადგილს აღნიშნულბიან, გვეც ერთი მეორეზე დამოკიდებულ არიან, პირველის მოქმედებისაგან წარმოგვებს მეორე, ვინაითგან პირველში ნაძლევით დისკენის ნა-



მე-11 საუკ. ხელნაწერიდან (რუსთაველის საიუბ. გამომცემი)

ღირობა; მეორედგან წარგზავნება აეთანდლო ძებნად ტარიელისა, და მესამეში ჰპოვეს; მესამეს შეუღლება ფათების ამბავი, და მეხუთე შეუღლება მეოთხეს. ვინაიდან მეოთხეში სცნობენ ადგოს საცა ნესტან-დარეჯან იმყოფება და წაელენ მის გამოსახსნელად. აგრეთვე ყოველი სცენა, ანა წარმოდგენა, ერთი-მეორეზე დამოკიდებულ ბიან და უმიჯნუროთ არც ერთი არ არის ნახშირი, იქნება დამზარაბის ვინმე; რომ უპირატესნი არა ყოველსა მოქმედებაში იხილვებიან, ესე ბრალი თუ კი ბრალია, ამბოსა და არა ჩემი, თუ ნესტან-დარეჯან და ტარიელ, ერთად იხილვებოდნენ, გაყრილი აღარ იქმნებოდნენ და ამბავიც მათის მოშორებისა და ძებნისა აღარ იხსენებოდა. ტარიელ მეორე მოქმედებაში იომებს. მესამეში თავის ამბავს მოუხსრობს და მეხუთეში გამოისინის ნესტან-დარეჯანს, თუმცა ნესტან-დარეჯანი მეხუთე მოქმედებაში გამოჩნდება მაგრამ, ამითანდ მოსხენებული ტრადიციისაში, რომ, მსმენელნი სურვილით მის გამოსახსნას მოვილიან. როსტევეან მეფისაგან იმიტომ მიეცა ხელა ამბავს, ვინაიდან რუსთაველის წარმოდგენა ჯვინდოდა, და რუსთაველი როსტევეანითგან მოჰყვება ამის თხრობას, და თუ სხვა გვარად დავეწყუა, სხვა რამე იქნებოდა და არა რუსთაველის ამბავი, აგრეთვე თუ დამეწყუა ფარსადან მეფისაგან მაშინ ორი შესავალი გქმნებოდა; ერთი ტარიელის გამოიჯნურება და მეორე

„რომა“



მე-13 საუკ. მინიატურა


თინათინის ტახტზე ასულა და ავთანდილს ამბავი, ვინაიდან ავთანდილ არის პირველი მიზეზი ნესტან-დარეჯანის პოვნისა, ამას გარდა რა კი წარმოვადგენდი ტარიელის გამიჯნურებას, ხორანშას სიკვდილს, ტარიელის გაჭრას, ნესტან-დარეჯანის დაკარგვას, და დავარის სიკვდილს, ტრადედია უჩემოდ თვით ამითი დასრულდებოდა, და სხვა ახალი ტრადედია და მოქმედება უნა წარმოემდგინა; როგორც თინათინმა ვაგ-ზავნა ავთანდილ ტარიელის საქმენულად, როგორც იბოვა და როგორც გამოიხსნა ნესტან-დარეჯანი, და ეს მეორე ტრადედია იქნებოდა და თუ ტარიელის მიჯნურების ნაწილს რასმე წარმოვადგენდი, მაშინ უშსავსო და უზმარ იქნებოდა და ვამჯობინე რუსთაველს შეედგომოდი, ვინაიდან რუსთაველი უკეთ მოუთხრობს. რამითონიკ შევიხელ, უფროსი ერთი რუსთაველის ლექსები მოვიღე; ჩემი ლექსები ოღონ

დაკავშირებულ მოქმედობისა და შესაბამოდ თეატრისა მოვიხმარე“.

ოქროპირი სცილილობს ფრანგული კლასიკური დრამის წესებს მიჰყვება: „ამა მოთხრობითსა წარმოდგინებაში ეცადე დამეცვა წესი, შესაბამი ტრადედიისა, რაც ამ ახალ გვარს შეეფერებოდა“, ამბობს ის, თავისი ტრადედიის შესანიშნავ წინასიტყვაობაში, მაგრამ გასაცენიურებული მასალის თავისებურებათა გამო, იძულებული გამზდარა „სამი ერთიანობის კანონი“ დაერღვია. ასეთი „შეცოდების“ შესახებ ავტორი ასხნა-განმარტებას იძლევა: „ესე ბრალი, თუ კი ბრალია ამბისა და არა ჩემიო“. ოქროპირ ბატონიშვილმა, ალბად, კარგად იცოდა, რომ ასეთი „ბრალი“ თვით კორნელისაც კი ჰქონდა ტრადედია „სიდ“-ში, რომელიც ქართულ ენაზედაც იყო ამ დრუს გამომოთარგმნილი.

რუსთაველის პოემის გასცენიურებისას ყველაზე სამე-

აპავეი



მე-13 საუკ. ხელნაწერი

ლოა ორი პარალელური სიკუტის (ავთანდილ-თინათინისა და ტარიელ ნესტან-დარეჯანის) ერთ სცენიურ რკალში მოქცევა. ეს საკითხი პირველად ოქროპირ ბატონი-შვილმა წამოჭრა და მისი გადაწყვეტაც სცადა. ოქროპირის სცენიკალიზმმა პოემაში შეთავსებული ორი ამბისაგან ერთი სცენიური ამბავი შეექმნა. მაგრამ ამავე დროს რუსთაველს არ დასცლებოდა — „ვაჟაბრძინე რუსთაველს შევდგომოდ, ვინაიდან რუსთაველი უფრო მოუთხრობსა“. რაც შეეხება ტექსტს აქაც ოქროპირი ორიგინალურ მიდგომას იჩენს; „რამთინიც შევიძელ, უფროსი ერთი რუსთაველის ლექსები მოვიღ; ჩემი ლექსები ოღონდ დაეკეთებინა და მოქმედებისა და შესაბამისად თეატრის მივიხმარა“. ამითაც შევადგენბა, რომ ოქროპირი თავისი დროის განწყველული, მეტად ფრთხილი და დაკვირვებული დრამატურგი იყო. დიდადა თუ არა სცენაზე ოქროპირის ტრაველია ამწრობით ცნობა არა ვაპქეს, მაგრამ ეს კი აშკარაა რომ მისმა ცდამ შევადგენბა მოახდინა შემდეგი დროის გასცენიურებაზედაც. ოქროპირის მიმამძველები აღმოუჩნდნენ, რომელნიც მათივე თქმით „ოქროპირისებურად“. ასცენიურებდნენ „ვეფხის ტყაოსანს“.

1881 წლის ოქტომბერში საქართველოში უმოგზაურნი ცნობილ მხატვარს მ. ა. ზინს. ¹ მხატვარი ვაზ. „დროება“-ცნობით „მოსულა ჩვენში იმ გაზარახვით, რომ შეისწავლის ჩვენი (ქართველების) ტიპები და დახატოს რუსთაპირის ლერმონტოვის პოემის „დღენისა“ სურათებისას ვის; დახატოს აგრეთვე ზოგიერთები სურათები ბუნებისა-რომელნიც ამ პოემაში არიან მოხსენებული და აწერილი“, („დროება“, 1881 წ. №220). უნდა ვთქვათ, რომ ქართული თეატრის მოღვაწეებმა ზინსი ცნობილი თეატრული აც მიზნითყეს. მისი ჩამოკლის ქნობასთან ერთად ვაზეთი აქვეყნებს, რომ „დღევანდელ ქართულ წარმოდგენაზე, სხვათა შორის, გამართულ იქნება ერთი ცოცხალი სურათი „ვეფხის-ტყაოსანიდან“ ის სურათი, როდესაც ასმათი კოშკში მოიყვანს ტარიელს ნესტან-დარეჯანთან“ (იქვე).

სწორედ ამ ხანებში ვრ. ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის თავჯდომარეობით „ვეფხის-ტყაოსანის“ ტექსტის დამდგენი კომისია მუშაობდა, რომლის ვარშემო შექმნილ ცხოველ ინტერესს ზინის ყურადღებაც უნდა მიეზიდა რუსთაველის პოემისადმი. ათ ვიციელს მხატვარის საქართველოში მოსვლიდან 4 თვეც კი, და ის უკვე რუსთაველის აღგზნებული თაყვანისმცემელია. 1882 წ. 6 თებერვალს ზინი სდგამს ცოცხალ სურათებს „ვეფხის ტყაოსანი“-დან.

„ზინიმ დაგვანახვა ჩვენ სცენიდან — სწერდა ვაზ. „დროება“, — ცოცხლად რუსთაველის გმირნი და ვადმოგვცა მთელი ზინარის „ვეფხის ტყაოსანიცა“

ამ შემთხვევაში მიიღეს მონაწილეობა ჩვენმა ქართველმა ქალებმა; იმ ქალებმა, რომელნიც არიან ჩვენში გამოჩენილი თავის სილამაზით, ნაზობით და სხვის — მეტყველებით... ამ პოეტმა მხატვარმა ზინიმ ქართულ არ იცის, მაგრამ საქართველოს მილიტარმა ბუნებაში შთაავონა, ვააგებინა იმის დიდებულ რუსთაველის აზრი და მით წარმოუდგინა იმის გრწმობას გმირნი „ვეფხის ტყაოსანისა“. ზინიმ ვააცოცხლა ჩვენი მეკლდრი ქართველი. ამ ცოცხალ სურათებს მიიღეს რუსეთში და ევროპაში ექნება მნიშვნელობა რუსთაველისა, საქართველოს და იმის შვილების ვასაცნობად.

პირველმა სურათმა წარმოვიდგინა მამისგან როსტკვან არაბეთის მემუი ავან დავევრვიცინება თინათინისა.

მეორე — მეკლდისი ფარსადან მეფესთან.

მესამე — სურათი — ნესტან-დარეჯანის თავის ოთახში ზის, ასმათს ტარიელი შემოპყავს.

მეოთხე — მამიდა ნესტან-დარეჯანისა და ვარი ზანგებს აძლევს თავის ძის წულს ზღვაში ჩასაგდებად.

მეხუთე — ნადირობა და აღმოჩენა ტარიელისა „შის ყმისა „ვეფხის ტყაოსანისა“.

მეექვსე — ვაცნობა ტარიელისა და ავთანდილისა გამოვკაბულში. აქვე ასმათი.

მეშვიდე — ფატმანის კაცებისგან დახსნა ნესტან-დარეჯანისა.

მერვე — წარმოდგენა ნესტან დარეჯანისა გულანშორის მდვის მელქი-სურხავეს წინაშე.

მეცხრე — ქავეტის ციხის აღება და ნესტან-დარეჯანის ვანთავისუფლება და

მეათე — მევე მელქი-სურხავეთან ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის დაქორწინება.

უროგ არ იქნება, რომ ეს ამისთანა შრომა ბ. ზინისა ჩვენ ქართველებმა, ვარდა თანავრძნობის გამოცხადებისა, დავევირვიცინოთ, რაიმე ნივთის მირთმევით, რასაკვირველია ძველი დროის ნივთითა, რომ სასურველს ჰქონდეს რუსთაველის „შვილებისაგან“ (ვაზ. „დროება“, 1882 წ. №27).

იმავე თვეში, ამ ათ სურათს ზინიმ შეერთებტექც დაუშმა „მეთა რუსთაველი დამოკლილი მიაართმევს თავის შრომას თავის უკვდავ „ვეფხის ტყაოსანს“ თამარ დედლოფალს („დროება“). ეს სცენა, ისევე როგორც წინარე ათი, მხატვარმა თავისი შესანიშნავი ილუსტრაციების მიხედვით გამოიყენა.

ზინის მიერ დადგმულ ცოცხალ სურათებს დიდი გამოზნაურები ჰქონია, ზედინზე განწიერობით იღვებოდა. თვით გენერალურ რეპერტიციებზე დასასწრავლათაო კი ბილიეთები ისყიდებოდა: „აღლეს დილით, — ვკითხოლობთ „დროებაში“, — სახაზფული თეატრში დენერალური რეპეტიცია იქნება „ვეფხის ტყაოსანის“ ცოცხალი სურათებისა. ბილიეთები მანეთად ვასიყიდება. საღამოს კი თერთონ წარმოდგენაა“.

ქუთათურებიც დატრიალდნენ და ზინი ცოცხალ სურათების დასადგმელად ქუთაისში ვაიწყეს.

„ნიკოერის მხატვარს ზინის ვამგებლობით ქუთაისის სახანაურო (სამეფოს) სახლის ეზოში, ამისათვის საგანგებოდ ვაგებულ ფიკრულში, დადგმულ იყო ცოცხალი სურათები „ვეფხის ტყაოსანიდან“, ამ ერთი კვირის განმავლობაში ორჯერ. საქ. უსასყიდლო სკოლის სასა-

¹ მიხეილ ალექსანდრესკე ზინი (1829—1906) უნგრელი მხატვარი იყო. დამთავრა ვენის სამხატვრო აკადემია. 1847 წ. ვადმოსაზღვდა პეტერბურგში. 1858 წლიდან აკადემიკოსია. ხოლო 1880 წლიდან სასახლის ვარის მხატვარია. ზინმა დაასურთა ლერმონტოვის, რუსთაველის, გოგოლის, ბაირონისა, უნგრელი პოეტის არანისა და სხვათა თხზულებანი. ზინის სურათები დაყულია ლენინგრადის რუსულ მუზეუმში. ტრეტიაკოვის ვალერია და აგრეთვე საქართველოსა და შეტების მუზეუმებში.



„როკვა“

მე-13 საუკ. ხელნაწერი

რკებლოდ. ხალხი ორივეჯერ მრავალი დავსწრო, მაგრამ ბოლომდის დარჩენა უძენლდებოდათ, რადგანაც მაყურებელთათვის სასხლოში რიონის პირად ეხოში იყო და ერთობ ციოდა. სცენა ბარტო სურათებში მონაწილე პირთათვის იყო ფიქრულით აგებული“ („დროება“).

ზიჩის მიერ 1882—83 წლებში დადგულ ცოცხალ სურათებში „ვეფხისტყაოსნის“ ამ პირველად განხორციელებულ ინსცენირებაში მონაწილეობა მიუღიათ: რ. ერისთავს (როსტევენი), მამია გუროვს (რუსთაველი), დ. საჩაჯავილს (რუსთაველი), ნინო წერეთელს (თამარ-მეფე და თინათინი), გიორგი შერვაშიძეს (ტარიელი), მ. იოსელიანს (თამარ-მეფე), ვ. თარხნიშვილს (ფარსადანი), ე. მინცევიჩს (დედოფალი), ნ. ოვლობოვის (ნესტან-დარეჯანი), ფილავის (ნესტან-დარეჯანი), ბარათაშვილს (ტარიელი), ე. ოვლობოვის, მ. ჩოლოვაშვილს (მეჩანგებები), ა. მესხიშვილს (დავარი), ახახანს (ვეთანდილი), ნ. ორბელიანს (ფატმანი), გაბაშვილს (მელიქ-სურხაბი), მ. ბებურიშვილს (უსენი) და ჯება გურიელს (ფარდონი).

ცოცხალი სურათების ზიჩის დადგმისათვის ფული გაიღო ბარბალე ბარათაშვილმა. ზიჩთან დადგმის განხორციელებისას თანაშრომლობდნენ მხატვრები; ფილოზოფიჩი და ზოდორივიჩი, დეკორატორი — ჯუსტიჩი („კავკაზი“ 1882 წ. №6).

ზიჩის მიერ დადგმულმა ცოცხალმა სურათებმა „ვეფხისტყაოსნისადმი“ ინტერესი გააღვიძა, რუსთაველის გმირების სცენაზე გამოჩენამ დიდი გამოხატულება პოვა. ცხადია, ცარიზმის შავრავმულ კალმონებს ეს შეუძნეველი არ დაჩრთა და მოჰყენნ რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ ლანძღვა-გინებას, რუსული შავრავმული ეთერ. „გულს“ შხამს ანთხვედა:

„თუ ღმერთი გწამთ, ერთი გვითხარით რა ზარი უნდა ჰქონდეს „ვეფხისტყაოსნიდამ“ ამოღებულ ცოცხალ სურათებს? რას ეტნება მაყურებლის მქუთასა და გულს ამ სურათების შინაარსი? ღირდა ვანა ამით დასადგმელად ფულის დახარჯვა?... ნუ თუ ზიჩის ნიჭი სხვა უფრო უკაცრავად... საინტერესო შინაარსიანის სურათების დასადგმელად არ გამოადგებოდა“.

(„ცოცხალი სურათების“ მიხედვით, 1882 წ. №44). ზიჩის სისახელოდ უნდა ითქვას, რომ შავრავმულმა პრესამ „ვეფხისტყაოსნის“ გასცენირებაზე მას ხელი ვერ

ააღვინა, პირიქით, რამდენიმე წლის შემდეგ მან ხელე მოკიდა „ვეფხისტყაოსნის“ ილიუსტრირებას და რუსთაველის პოემის პირველი დასურათებული ბეჭდვითი გამოცემა (ქართველიშვილისეული 1888 წ.) ზიჩის წახსატებით შემოიღო და დაიბეჭდა და გავრცელდა.

ზიჩის მიერ, ჯერ ცოცხალი სურათების დადგმას და მერმე მისმა ილუსტრაციებმაც დიდი როლი ითამაშეს „ვეფხისტყაოსნის“ გასცენირების საქმეში.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში გამულეებით იღებებოდა „ვეფხისტყაოსნიდან“ ცოცხალი სურათები. ზიჩის საქართველოდან წასვლის შემდეგ ტფილისში დადგმებს ატარებდა მხატვარი ფილოზოფიჩი, შემდეგ კი მხატვარი კოლხინი („ივერია“ 1897 წ. №253). 1888 წ. ქართველიშვილისეული გამოცემის შემდეგ ცოცხალი სურათები ყველგან სოფლად და ქალაქად ზიჩის ილუსტრაციების მიხედვით იდგებოდა. ამავე წლიდან „ვეფხისტყაოსნიდან“ ცოცხალი სურათები უკვე რუსეთსა და უკრაინაშიც დაე იდგებოდა. 1888 წ. ი. ნაკაშიძის თაოსნობით პეტერბურგში გაიმართა კავკასიური საღამო, სადაც პროფ. ლავორიას ხელმძღვანელობით დაიდგა ცხოველი სურათები „ვეფხისტყაოსნიდან“. დამსწრეთ მგტის მგტად მოწონათ იაკიმიდის ქალი, რომელმაც წარმოადგინა განრისხებული ნესტან-დარეჯანი, პროფ. ლავორის საზოგადოებამ რამდენჯერმე გამოიწვია“ („ივერია“ 1888 წ. № 276).

1889 წ. მოსკოვში სტუდენტთა საღამოსათვის თ. ლ. სოლოგუბმა დასდგა ცოცხალი სურათები („ივერია“ № 23, 44).

1892 წ. პროფ. კოლოდგმა ქართველ სტუდენტთა საღამოზე წარმოადგინა ცოცხალი სურათები რუსთაველის პოემიდან („ივერია“ № 2).

1901 წ. ცოცხალი სურათები დაიდგა იურიევში („ენობის ფურცელი“ № 1665); 1903 წ. ხარკოვში („ენ. ფურც.“ № 247); ვლადიკავკაზში („ენ. ფურც.“ 1903 წ. № 2031); 1910 წ. ხარზინში („სახალხო გაზეთი“).

ცოცხალი სურათები „ვეფხისტყაოსნიდან“ საზღვარგარეთაც იმართება. 1900 წ. ტფ ლისში ჩამოდის მოგზაური ჯონ-მოსისი, რომელიც ტფილისისა და ქუთაისში ხალხს უჩვენებს ზიჩისაგან ლეიპციგში დადგმული ცოცხალ სურათები — ბუნდოვან სურათებად („ივერია“ 1900 წ. № 182; „ენობის ფურცელი“ № 1174).

1908 წ. „ვეფხისტყაოსნიდან“ ცოცხალი სურათები დაუდგამთ ბრიუსელში („ამირანი“ 1908 წ., № 34).

7

1887 წ. 15 დეკემბერს ტფილისის რუსული თეატრის გახსნისას წარმოადგინეს დრამატურგის პ. ვოლხოვსკის პროლოგი „კოლხიდა“. პროლოგი ცალკე წიგნაკათაც გამოვიდა ამავე წელს („Пролог к открытию русского драматического театра в Тифлисе“ 1887 г.).

ვოლხოვსკის პროლოგი საზეიმო ხასიათისა იყო. დრამატურგმა ურთიერთ შეახვედრა რუსეთისა და საქართველოს პროტები. რუსთაველის აჩრდილი სცენაზე რომ გამოჩნდებოდა „საქართველო“ (მოქმედი პირი) ღერმონტვის ანრიდლს მიმართავდა:

1 პუშკინის სახ. თეატრალურ მუზეუმში დატკლია 1900 წ. ჯონ ზორისის მიერ ტფილისისა და ქუთაისში ნაქმეფები ბუნდოვანი სურათების აფიშა.

„Взгляни (появляется Руставели)
увидим удивлением

По духу брата твоего,
Вот он, Тамари знаменитой
Соподвижник славы и герой,
Наш Руставели вдохновенный
С поднятой гордо головой.

Тень Лермонтова
„ . . . Образ твой живет по нине
Перед очарованной толпой
И звуки твоих чудных песен
Запали в душу глубоко,
И каждый стих твой раздается
С вершин Кавказа далеко“.

ცარიზმის ეპოქაში, როდესაც ვანდარმერისაგან დაქირავებული კალოზნები შხამს ანთხევენდნენ, პროლოგის ეს სიტყვები გაისმა, როგორც რუსეთის დიდი ხალხის, მისი საუკეთესო შვილების ინტერნაციონალური თანაგრძნობა ქართველი ხალხისადმი.

8

1890 წლის 4 თებერვალს კოტე მესხის საბუნებისმეტყველების ქართულ სენატზე დაიდგა მისივე 4 მოქმედებითი პიესა „რუსთაველი“. პიესაში მონაწილეობას ღებულობდნენ მსახიობ ქალღმერთი: ავალიშვილი და მელოქიშვილი; ვაყებინან: ვ. გუნია, კ. მესხი, სვიმონიძე, გიდევალი, ცვაგარელი და სხ. რუსთაველის როლს ასრულებდა კ. მესხი.

ინდროინდელი პრესა ამ სპექტაკლს განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდა; ამავე წლის „ივერია“-ში მანოელიძემ რამდენიმე წერილი მოათავსა პიესის შესახებ. რეცენზენტი პირველ ორ წერილში („ივერია“ 1890 წ. № № 28, 29) მკითხველს მოუხირობს პიესის ვრცელშინაარსს, ხოლო მესამე წერილში (იქვე № 31) დრამატული ნაწარმოების ღირსებისა და ნაქლის გარჩევას შესდგომია.

პიესა 14 მარცლოვანი ურითიმო ჭლებით არის წამართული:

შოტო

გრძელ ღამეთ ფიქრნი, გიჟის ქეჯანა და სულის შფოთვა
ვამცენ ამ ფურცლებს! მიიღე ეს, დიდ სულოვანო
და როს ამბავი ჩემი ნა გმირთა ამოკიბიზო,
მიოკონებდე რუსთაველს მათთვის ცრემლ შფეშრობებელსა.

რუსთაველი პიესაში წარმოდგენილია სახლოთუხუცესად, ის „ცდილობს ალაგმოს თავგასულობა ერისთავთა, ათაბაგთა და დიდკაცთა“. მას წინაღუდეგობიან დიდგვაროვანი ფეოდალები, ყოველი ღონით ცდილობენ ხალხის მოსარჩელე მგვანანი თავიდან მოიცილონ. ორბელიანს აცტორი ათქმევიზების რუსთაველის შესახებ:

ჭრისტე შობიდან შექმნილსა ჩემსა უფლებას,
გვარიშვილობას, დიდებასა იგი ხელს უშლის,
უნდა გამოსრისოს, გამასწოროს დედამწასთან,
დიდაცობა ჩვენი ქვეყნის სიცოცხლის ძარღვი,
და ვინც კი ღამის მის დაცემს განაჯღურებას,
მას სურებია საქართველოს ბოლო მოუღოს.

რუსთაველი თანამართლის გამიჯნურებულს. პიესა თავისებურ საექცეპტოშია მოქმედი, პიესის „მესამე კუთხე“ დაუჭერია რუსთაველის შვიტარდს მალხაზს, რომელიც რუსთაველისათვის გამიჯნურებული „ვაჟურათ“ გადამცემლი



„ვეფხისტყაოსნის“ მე-17 საუკ. ხელნაწერის მინიატურა
უცნობი ქართველი მხატვრის

ახალგაზრდა ქალია. ჩაგრულთა მოსარჩლე სახლოთუხუცესს ბოროტზრახვიანი ფეოდალები სასახლის ინტრიგის ქსელში გააბამენ, მალე თამარ მეფესაც დაიყოლიებენ, რუსთაველის სიკვდილით დასჯის განაჩენზე ხელს აწერინებენ. ღობატი ორბელიანი რუსთაველის შეწყალებას შესთხოვს მეფეს:

ის გან.ჩენი, რომელიც მას კაცის მკვლელებთან
ათანასწორებს, მიიღე ჯვეყანასა ლეჟსა, ჩირქსს სცხებეს.

თვალცრემლიანი მალხაზიც თავის ვინაობას ამკლავნებს და მეფეს ემუდარება რუსთაველს სიცოცხლე დაუბრუნოს. ბოლოს, გულაჩვილებული დედოფალი დასთანხმდება, რომ „მომავალი არ შეიწყნარებს მაც დიდებულის, ტყბილ მგონის სიკვდილით დასჯას“, და განაჩენს შესცვლის. პიესა მთავრდება რუსთაველის გამოჩენით, რომელიც თამარს „მცირე ძვინად“ მუხლოდრეკით „ვეფხისტყაოსანს“ მიაართმევს.

ამ პიესაში ერთგვარ გამოძახილს პოულობს 80-იან წლებში მთარული ნაროდნეული იდეები, რუსთაველი პიესაში გამოყვანილია დაბალ წოდებათა მოსარჩლეთ და ფეოდალური არისტოკრატის თავგასულობის სასტიკ მოწინააღმდეგეთ. თამარ მეფე გათავებდებულ დიდებულთა მხარეზე, გულის ტყვილით, მავრამ მინც ხელს

აწერს რუსთაველის სიკვდილის განაჩენს. მხოლოდ ლიპარიტ ორბელიანის საქმეში ჩარევით დასჯას ვადღერებმა. პეისის მიხედვით თამარი უნებისყოფო, ფეოდალური არისტოკრატის გავლენის ქვეშ მოქცეულ და მისი ნებისყოფის აღმასრულებელ მფეფთ არის გამოსახული. გასაგებია, რომ თავდაზნაურული პრესა „სადმიერთებელი“ მეფის ასეთ გადასახიერებას ვერ შეურავდებოდა; „ისტორიით, — გულისწყრომის გამოსთქვამს მანოელიძე, — მითელი დიდებულებით მეთორმეტე საუკუნისა თამარს აკრავს თავზე შარავანდედათ და ავტორის პეისას კი ისე მოსვლია, რომ ეს შარავანდედი, ეს დიდება თამარს ერთმევა“. (ივერია“ 1890 წ. № 31).

დრამატურგს ხსენებულ პეისაში გარკვეული ნაროდნიკული ტენდენცია შეუტანია, რუსთაველი არა მარტო მწერლად არის გამოყვანილი, არამედ პირველ ყოვლისა იგი მოქალაქეა, ხალხის გულშემატკივარი, მისი მოსარჩლე და მისთვის მებრძოლი. თავდაზნაურული კრიტიკა ვერ შერიგებია რუსთაველის სახით ამდაგვარ ტენდენციურობით გაგებას. „რუსთაველი, — ასწავლის დრამატურგს მანოელიძე. — უპირველესად ყოვლისა პოეტია, მწერალი, ამითია ეს ისტორიული ადამიანი შესანიშნავი, ამითი დამისახურა დიდება. პეისაში რუსთაველის პოეტობა უკან არის დაყენებული და (მას) უფრო სახელმწიფო საქმის კაცად ხატავს ავტორი ვიდრე მწერლად, მისი სახელმწიფო მოღვაწეობა და სახლთუხუცესობა კი ფანტაზიაა“. (იქვე). შეიძლება ფანტაზიაც იყოს, რა უყუთ, რომ, დრამატურგს თავისი წრის რეალური მისწრაფებანი ისტორიულ „ფანტასტიკის“ ენაზე უთარგმნის; წერილ-ბურჟუაზიული ინტე-

ლიგენტი რომელიც სახელმწიფო საქმეებში ჩასარგველთავეს დედა, ველარ ურიდებოდა მწერლობისა და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობის ურთიერთშორისკანთიშვას, ჩაგრულთა მოსარჩლე მწერლობა და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა მან ერთ მხატვრულსახეში შეადლუა. ამიტომაც ასე თავისებურათ გამოაჩინა სკენაზე „უგვარიშვილო“ ინტელიგენცია რუსთაველის სახე. აქ ერთი მომენტიც ხდება საინტერესო, წერილ-ბურჟუაზიული დრამატურგი მეთორმეტე საუკუნეში მცხოვრებ კოლეგას, დიდ მწერალს, მოაზროვნეს და სახელმწიფო მოღვაწეს თვით თამარ-მეფეზე მაღლა აყენებს და იმ დროინდელ საქართველოს სახელმწიფოებრივ ძლიერებას რუსთაველის სიბრძნეს მიაწერს. დრამატურგი თამარ-მეფეს ათქმევინებს რუსთაველისათვის:

„მე მეფედ გაგზდი და დიდ მეფედ სწორედ იმ დღიდან რა შენთან ვიწყე სახელმწიფო საქმეებზე სჯა, და მხოლოდ შენს ხერხს, ჭკუა-გონებას, გამოცდილებას შეეძლო ესრეთ დახლართულის საქმის გარკვევა. და კიდევ მოხსენ, განმამტკიცე როგორც სალი კლდე“.

ამგვარი შეხედულება გამოძახილი იყო იმ ბრძოლის, რომელსაც უგვარო ინტელიგენცია ეწეოდა დიდგვარიან აზრისპრობელთა წინააღმდეგ. წერილი ბურჟუაზია საკუთარი მსოფლმხედველობის მიხედვით ახდენდა ისტორიის გადაფასებას, — მეთორმეტე საუკუნეშიც — ამბობდა ის ამ პეისით — მხოლოდ ჩაგრულთა მოსარჩლე მოშაირეს, ხალხოსან რუსთაველს შეეძლო სახელმწიფო გაძოლო. ეს პეისა თავისებური პროტესტი იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რამდენადაც სამეფო ტახტი ხალხის მზავ-





რელთა მხარეზე მოსჩანდა და მეუღს ავტორიტატო სავა-
რძობლად იღაზებოდა. თავადზნაურულ პრესას ეს მოვინ-
ტი არ გამოჰპარვია: „რუსთაველის სათაყვანო თამარი,
— აცხადებს მინოლიძე, — მეტად მკრთალად აქვს დახა-
ტული ავტორის და თითქმის მესისედი არ არის იმ თამა-
რისა, რომლის სახელს გზლაც კი ვაოცებთ: იხსენიებს ყო-
ველი ქართველი“ (იქვე).

იმ დროინდელი პრესა იძულებულია აღნიშნოს, რომ პი-
ესა „რუსთაველი“ „დიდის სამოყვებით და ყურადღებით
მოიხიწა საზოგადოებამ, (იგი) ქართული სცენის [რეპერ-
ტუარში ერთ საუკეთესო ნაწარმოებად არის ჩათვლილი“
(იქვე). ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ეს პიესა მხატვრულად
აშბობდა იმას, რისთვისაც 80-იან წლების ნაროდნიულ
მეტეორიკოსი თავადდებულად იბრძოდა. „დიკენის შვი-
ლების“ თეატრის აუდიტორია აღტაცებით ეგებებოდა
წვრილ-ბურთუხაიულ სცენიდან ხალხის მოსაჩრჩლედ გან-
სახიერებულ რუსთაველს.

კოტე მესხის პიესას დიდი წარმატება ხვდა: თითქმის
მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში შერჩა ის ქართულ
სცენას. პირველ წარმოდგენისთანავე მან დიდი საზო-
გადოებრივი ყურადღება და ინტერესი მოიხვეჭა: „წარ-
მოდგენას ხალხი ძლიერ ბლომად დაესწრო... პარტევი
და ლოკები ერთიანად გვექვილი იყო, ვალირკილამ თა-
ვი ვადმოყუო პრელი ხალხის ურიცხვ გროვას. ბევრი
ჟადლოლი არის გამო ფეხებდ იდგა და მრავალი რომ ვერ
ვიერისა ახალი პიესის ნახვას, რადგანაც ვასაკიდი ბილე-
თები აღარც კი იყო“ (ვახ. „თეატრი“, 1890 წ. № 7).

„ნოვოე ობოზრენიე“ სწერდა: „Пьеса К. Меххи под
названием „Руставели“ имела несомненный успех среди
огромного стечения публики“ („ნოვოე ობოზრენიე“
1890 წ. № 2112).

იმ დროინდელ ქართულ თეატრალურ კრიტიკაში კოტე
მესხის პიესამ დიდი დავა გამოიწვია. „რუსთაველმა“ ერ-
თხელ კიდევ აღძრა ისტორიული დრამის საკითხი. ერთი
მხრით იმ დროის ცნობილი კრიტიკოსი ხომდღე ბრალს
სდებდა კოტე მესხს მისი პიესა ისტორიულ სინამდვილეს
არის აცილებულიყო, მეორეს მხრით სრულადაც არ მი-
იჩნებდენ საკითხო, რომ დიდი მგოსანის ცხოვრების ამ-
სახვედ პიესაში ისტორიული სინამდვილე ზემოქმედენ-
ლობით ყოფილიყო დაცული. „პიესა „რუსთაველი“, —
სწერდა ხომდღე, — უსტკობს. იგი თავისი დედა აზრის
ბოლომდე დაყვებით, ესე იგი, რუსთაველის თანამედრო-
ვე ცხოვრების ნამდვილი დახატული თავს ვერ მოიწონებს
და ღარბობა ამ ცხოვრებასთან შეთანხმებული და განზარ-
ცილებული ხასიათებით... პიესას აკლია შემუშავება,
მაშინდელ ცხოვრების მრავალგვარობას ვერ ხატავს და
მხოლოდ ერთი-ერთმანეთზედ დაშორებულ სურათებში
შეკრებილი“ (ვახ. „თეატრი“ 1890 წ. № 7).

ასეთი აზრის წინააღმდეგ პიესის დამცევის როლში
გამოიღის ნაროდნიკული ტრადიციების გამგრძელებელი
გაზეთი „ცნობის ფურცელი“. მეგახლავარი სწერდა: „ამ-
ბობიერ „რუსთაველს“ ისტორიული სიმართლე არ უტყვს
სარჩულად. ვინც რუსთაველზედ მხოლოდ მართალს ეძებს
ე. ი. ნამდვილ ყოფილს, ის, ჩვენ გვიკვირს, თეატრ-
ში რად მოძრძანებდ. ის აღლებდა „ქართლის ცხოვრ-
ბას“, ი თუნდაც ზ. კვიციანიის გამოცემულს, იპოველი
მე-12 საუკუნეს და წაიკითხავს თამარ-რუსთაველის ამ-
66 პიეს... ქართულ ცხოვრებაზედ გამოტანილი, ვადმოკეთ-

ქართული თეატრი
კვირას, 4 თებერვადს,
ბენეფისი
ქ. ს. მ. მ. ს. ს. ს. ს.

**ქართულის თეატრის არტისტებისაგან
წარმოდგენილი იქნება**
სახლი პიესა:

რუსთაველი

ოთხ-მოქმედებიანი პიესა კ. მესხისა.
რუსთაველის როლს ასრულებს
ქ. მ. მ. ს. ს.

მოთამაშენი: ქნნი ჯაგაიშვილისა,
მედიკაშვილისა; ბ. ნ. მესხი, გუნია,
სეიძინიძე, გეგეანაშვილი, ცაგარელი და
სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზე.

ბული პიესა ჩვენ ბევრი არა გვაქვს. ერთი, ორი, სამი...
და მეტიც აღარ იქნება... მით შორის „რუსთაველს“ ეკუთ-
ვნის ერთი პირველი ადგილთაგანი. „რუსთაველის“ ზეგავ-
ლენა მაყურებელზე, ბევრად ნაყოფიერია, „სამშობლო-
საზედ“. ჩვენს დარბ რეპერტუარში „რუსთაველი“ უნდა
ითვლებოდეს ერთ საუკეთესო პიესად („ცნობის ფურცე-
ლი“ 1893 წ. № 698).

პატრიოტულ-ნაციონალისტურ „სამშობლოს“ ნაროდ-
ნიკება „რუსთაველი“ დაუმორდაპირეს. ამ დამარისპირე-
ბისა და პიესის ვარშეო ატეხილი ბრძოლის აზრი, რომ
ნათლად გამოირკვეს კოტე მესხის შემოქმედების თავდა-
პირველ წყაროს მივმართოთ. მან „რუსთაველი“ დასწერა
ცნობილი დრამატურგის მიხეილ ბერის ტრადიციის
„სტრუენზესს“ მიხედვით. როგორი იყო ამ ტრადიციის
დედა-აზრი?

„სტრუენზესს“ ძირითადი თემა, — სწერდა 1828 წ.
ჰენრი ჰეინე თავის რეცენზიაში, — საშუალო წოდების
ბრძოლაა არისტოკრატისთან... „სტრუენზეში“ ჩვენ
ხებდეთ წინად თავის მხაგერებლბთან ბრძოლაში და-
ცემულს, მაგრამ ეხლა წელწამოღებულს; მხაგერებლბი
უკვე დამარცხებულნი არიან და არც აქ გვექმის —
არის ღირსებით აღსავსე პროტესტი, რომლითაც კა-
პობრიბობა აღიდგენს თავის ძველ უფლებებს და მით
მოითხოვს ყველა მოქალაქეთა თანასწორუფლებიანო-
ბას“ (ჰენრი ჰეინე ტ. IV, 1904 წ. № 438).

მის. ბერის პიესა სცენურადაც სრულყოფილად იყო
გამართული და ისეთი ენაწარე და გამკილავი რეცენზი-



მოწონება ჰქონია აგრეთვე ბაბო ავალიშვილის („თამარი“) თამაშს.

ყველა პიესებიდან, რომელნიც კი დაწერილია „თამარი“ ის. ტყაოსნისა“ და რუსთაველის თემაზე, ყველაზე უფრო სტენიური წარმატება კ. მესხის „რუსთაველის“ ერგო.

1895 წელს „ვეფხისტყაოსნის“ სცენაზე წარმოდგენა უცლიათ ქართული დრამატული დასის მსახიობებს რატონის გუნდის თანამონაწილეობით. (აი ამ წარმოდგენის აფიშაც.)
გაზ. „ივერია“ ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ სცენაზე წარმოდგენაზე სწერდა:
„ივერის, 21 მაისს ქართული თეატრის რეჟისორის თანაშემწის ა. თამაზაშვილის სასარგებლოდ სათავად-ახანაურო ბანკის თეატრში დანიშნულია წარმოდგენა

ტის ქებასაც კი იმახებუდა როკოკოიცი ჰენრიხ ჰეინე იყო. კ. მესხმაც „რუსთაველის“ კარგად „სტრუენზე“ აიღო და მის მიხედვით განიხილა მე-12 საუკუნეში დიდ-გვარიანთა წინააღმდეგ ამხედრებული დაბალი სოციალური ფენების ბრძოლა, „სტრუენზე“ ჰეინეს თქმით დაბალი მოქმედების სცენიური ნაწარ მოებია, კ. მესხს კი ეტყობა თავის პიესისათვის ვერ შემოუნახავს პირველ წყაროს მაღალი დრამატურგიული ღირსება. — ამას, ყველა რეცენზენტები ერთხმად აღნიშნავენ: „საერთა ნაკლოვანება პიესისა ის არის, — სწერს ერთი მათგანი, — რომ მოქმედება ნაკლებია, მკრთალად არის და ხატული მომქმედება სტლიური მდგომარეობა“ („ივერია“, 1903 წ. № 259). ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული „ნოვოე ობოზრენიეს“ რეცენზენტს: „საწყუხაროდ, რომ მოქმედების განვითარების საზიანოდ პიესაში სკარბობენ მონაგოლები“ (1890 წ. № 2112). ამ მიოთხებათა საუფქელზე აეტარს,

წარ. 26,

ქართული თეატრი

სამშაბათს, 2 დეკემბერს, 1903 წელს ქართულ დრამატულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება კ. მესხის საბენეფიზოდ

რუსთაველი

პიესა 4 მოქმ. კ. მესხისა.

ბიკიასთან გამოსხმება

ვოლ. 1 მოქმ. რ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ: ქანი ნ. დავითაშვილი, საფაროვ-აბაშიძე, ნ. ჩხეიძე; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე ნ. გვარამია, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოადგენად: „ზომაკვდავი სურათები“.

რეჟისორი აკაკი

როგორც სჩანს პიესის პირვანდელ ვარიანტები, მერმონდელთან შედარებით, თავისი დრამა შესაშვევად გაღაუქეოებია.

კოტე მესხის პიესაში სხვადასხვა დროს უთამაშნიათ: მაკო საფაროვ-აბაშიძეს (თამარი), ვე ში მესხს (თამარი), მელიქიშვილს, ბაბო ავალიშვილს (თამარი), ნინო ჩხეიძეს (თამარი), ნინო დავითაშვილს. ვალერიან გუნიას (ლაპარტ ორბელიანი), კოტე მესხს (რუსთაველი), სვიმონიძეს (ორთაველიშვილი), კ. ყიფიანს; ალ. ყაზბეგს, ა. ცაჯარელს, გედევანოვს, კ. შათირიშვილს, კოტე მარჯანიშვილს, ივანიძეს, საფაროვს, ვ. შალიკაშვილს, ალ. იმედაშვილს (ორთაველიშვილი), შ. დადიანს (რუსთაველი) და გ. დავითაშვილს (რუსთაველი).

„რუსთაველიში“ ყველაზე შესანიშნავი სანე შეუქმნია იმ დროინდელ რეცენზენტების მოწმობით ვალერიან გუნიას („ლაპარტ ორბელიანი“), კ. მესხის („რუსთაველი“) და ვეფხისტყაოსნისა („თამარი“) შესრულება აღტაცებულ რეცენზენტს ათქმევინებდა: „შედარებულნი იყვნენო“. დიდი

პირველად ახალი პიესა „ვეფხისტყაოსანი“, დრამახუთ მოქმედებულ და „იქვიანი“, ვოლდე რაფერისთავისა.

უეჭველია, საზოგადოება თანაგრძობით მიეგებება ამ წარმოდგენას და მით დაამტკიცებს, რომ იგი (საზოგადოება) ერთნაირად აფასებს, როგორც დიდ ნიქს ისე საქვის ერთგულ მსახურსაც. („ივერია“ 1895 წ. № 103).

პიესა, ალბად, იმდენად სუსტად იყო შესრულებული, რომ თბილისის სცენაზე მისი წარმოდგენის შესახებ გაზეთმა რეცენზაც კი არ დაბეჭდა.

პიესა „ვეფხისტყაოსანი“ ამვე წლის ივლისის პირველ რიცხვებში ქუთაისში ჩაუტანია თამაზიშვილს და იქ ქუთათურ დრამატული დასის მსახიობთა ევკ. ჩხეიძის, ნ. ჩხეიძის, დ. ივანიძის, ქუჯის, ვ. ბაღანიაშვილის და მ. ჯანოვიცის დახმარებით წარმოდგენია. ამ სპექტაკლმა კი მოვლი აფურ ზაფური შექმნა. „ივერია“-ში იმეჭდება ქუთათური რეცენზენტის მამილილებული წერილი:



ქართული თეატრი.

კვარს, 21 მაისს, 1895 წ.

ქართულის თეატრის რეისორის თა-
მაზიშვილის საარგემ-
ლოდ

ქართულ დრამატულის დასის სრ-
ტისტებისაგან წამოადგენილი იქნება ხ.
რამბლეს სიონის მონაწილეობით

I
პირველად პალატი პიესა

გეგზის-ტყაოსანი

დრამა 5 მოქმედ. და 7 სურ. შოთა
რუსთაველის „გეგზის-ტყაოსნიდან“,
სასცენოდ პროზად გადაკეთებული,
ტარიელის როლს შესარტლებს ს. შ.
სვიმონიძე. ენტან-დარეჯანის როლს
შესარტლებს ე. ნ. მელიქიშვილისა.

II

იშპიანი

ვად, 1 მოქ. თავ. რ. ერისთავისა.

მოთამაშენი: ქ. ქ. მელიქიშვილისა,
ჩერქეზიშვილისა, ტარიელიშვილისა,
ჩრქულიშვილისა; ბ. ბ. სვიმონიძე,
გედევანიშვილი, მარჯანიშვილი, ცა-
გარელი, აღამიძე, იანქოშვილი, თა-
მაზიშვილი და სხვანი.

დასასრულ

ლექსარი

აღიღლებს ფსიკიკულურიკია.

დასაწყისი 8¹/₂ საათზედ.

„ამის წინადაქ გვეწვია ქ. საფაროვისა და ვ. აბაშიძე.
რამ აიძულა ეს ორივე ცნობილი და ნიჭიერი არტის-
ტები, რომ ასეთ უხამსო და ყოვლად შეწერლობისა-
თვის დამამკირებელი ნაწარმოებზე, როგორც არის
თამაზიშვილის პიესა „გეგზის ტყაოსანი“ ითამაშეს?
(„ივერია“ № 147).

ვასო აბაშიძემ უარი სთქვა სპექტაკლი მონაწილეობა
არ მიმილიაო (თურმე აფიშაზე რეისორად იყო გამოცხა-
დებული) ხოლო, მაკო საფაროვი ამ დროს ქუთაისში
არც კი იყო, სპექტაკლი კი დაიკვა:

„გეგზის-ტყაოსანი“ წარმოადგინეს,—სწერდა ვასო
აბაშიძე,—ქუთაისის სცენაზედ ივლისის პირველ რიკ-
ხეებში, ქუთაისის თეატრის არტისტებმა და არა ვილაც
ბიჭუჭუბებმა, როგორც ბრანდის ეს ყოვლად პატიო-
სანი „სოჩინტელი“. თუ ეგვ. ჩხეიძისა, ნ. ჩხეიძისა,
დ. ივანიძისა და ქუჯს, მ. ბალანჩიძის და ვ. ჯანოვს
ბიჭუჭუბებზედ, სემინარიის მერვე კლასიდან უნიკობისა
თვის გამოირჩებულეს და გადამწერლეს უწოდებს
ძალიან შემცდარა. ყველა ესენი სახელმწიფო ადგილობ-
რივ დასს შეადგენენ და ქუთაისის საზოგადოება
დიდი ხანია ადგილობრივ არტისტებზედ სცინობს მთ-
რომელიც კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ
მოვალეობას. ესენი შეადგენენ რამდენიმე წლის განმე-
ლობაში კ. მესხის დრამატულ დასს და დღესაც
ერთად იღვწიან ქუთაისის სცენაზეო“ („ივერია“ 1895 წ.
№ 157).

თამაზიშვილის პიესა „გეგზის-ტყაოსანი“, ამის შემდეგ
აღარ სჩანს, რომ დადგმულიყოს. ჯერჯერობით ეს პიესაც
არ არის მონახული.

11

1901 წელს პეტერბურგში გამოიცა რ. მყინვარის:
„В барсовой коже“—картина для сцены. წინასიტყვა-
ობაში ავტორს ნათქვამი აქვს: „მოლიანად „გეგზის-ტყაო-
სნის“ თარგმნა ვაძნელად და ამის გამო გადავწყვიტე
მომეშველებოდა მუსიკა, ფერწერა და სასცენო ხელოვნება,
რომ ამით ინტერესი აღძრულიყო რუსეთის საზოგადოე-
ბრიობაში ამ შესანიშნავი ნაწარმოების მიმართ. ნაცნობ
მუსიკოსებს შევთავაზებ ნაწარმოების ლიბრეტო ბალეტისა-
თვის... ჩვენ შევძელით ერთ-ერთი ჩვენი მეგობარის—დამ-
წყები კომპოზიტორის დაინტერესება და რადგან მოკლე
საბალეტო ლიბრეტო არ იყო საკმაოის მისთვის, ამიტომ
იძულებული გახდი ბოემიდან ზოგი რამ გვეთარგმნა.
მეგობრების დაჯინებითი მოთხოვნით ეს მასალაც ლიბრე-
ტოში მოექცა და საჩქაროდ მომზადდა გამოსაცემად.“—
ასეთია მყინვარის „სასცენო სურათების“ წარმოშობის
ამბავი.

1. ამის შემდეგ მხოლოდ 1912 წ. აღდგრა სურვილი ერთ-ერთ
მსახიობს, და მან „გეგზის ტყაოსანი“ პიესად გადააკეთა. მსახიობთა
ჯგუფმა კიდევ წამოაადგინა იგი სცენაზე. ეს დადგმა სკანდალურად
გაიკადა. „სახალხო გაზეთი“ სწერდა: „საკურობა, ჩვენმა საზოგადო-
ებამ ერთხელ და საუბრადმა დაჭმოს და დაგვიხსნა ზოგიერთი მად-
აშლილ პირთა ანგარიშით დახედიხარ და საქობაში.“ („სახ. გაზეთი“
1912 წ. № 538). ამ დროს თვს აბაშიძე და ყოვლადგეგზული ქუთაისში
„ვიკ-ვისის“ კულუბტებს ასრულებდნენ, მოკარნახუთ სოსო გრიშაშვილი
ჭკადეანი. რომელმაც მოსწრებულად უკარნახა სასულიეროდან
დასო აბაშიძეს ექსპრომტ:

ჩვენში ბევრი არის პოეტო მგოსანი
აქურდომც დასწერა „გეგზის-ტყაოსანი“.

რ. მყინვარი „გეგზის-ტყაოსნის“ ვასცენირებისადმი
სრულიად დამოუკიდებელ, ორიგინალურ მიდგომას იჩენს,
სიუჟეტური განვითარების მხრივაც, კომპოზიტორადაც
სცენების სრულიად ახალ წყობას ქმნის. ოქროპირ ბატო-
ნიშვილის გამომუშავებულ ვასცენირების პრინციპებს შეინ-
ვარი დიამეტრალურად ეწინააღმდეგება. თუ ოქროპირმა
ამჯობინა „რუსთაველს შესდგომოდა“, მყინვარი პირიქით,
ცილილობს რამდენადაც შეიძლება ამბების სიუჟეტურ და
კომპოზიტორ წყობაში რუსთაველს დაშორდეს და ამით
მასალას მეტი სცენიურობა შესძინოს. მყინვარის სცენები
16 სურათისაგან შესდგება. რომ სურათები გაერთმთლია-
ნებულ სასცენო რეალში მოთავსებულიყდა და სიუჟეტებიც
პარალელისმისაგან თავი დაეღწია, მყინვარი სრულიად
პირადი უფლის ავთანდილ-თინათინის ამბავს. უცხო მოყმის
ნახვა მე-7 სურათშია და წინა სცენებში კი ტარიელის
გამიჯნუბების, რამაზ მელის დამარცხების, ხვარაშვი-
მედის შვილის მოკვლის, ნესტანის გატაცებისა და ტარიე-
ლის გაკრის ამბებია. თინათინი მხოლოდ ამოთეოზში



რევოლუციის წინა წლებში დრამატურგმა **გეორგი შერვაშიძემ** დასწერა ისტორიული დრამა „**გიორგი მსქ III**“. პიესა დადგმული იყო ქართული თეატრის სცენაზე შალვა დადიანის მიერ 1914 — 1915 წლებში. პიესაში სხვა მომქმედ პირთა შორის არის შოთა რუსთაველიც — შოთა მესხის სახელწოდებით. დრამატურგი, სცენიდან ლექსებსაც ათქმევინებს რუსთაველს, აი ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდია —

ჯ ა ვ ა ხ ი — სრული დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, დედოფალო. (თამარი თავს უტრავს და გადის ჯავახი მარტო, ეშმაკურად ჩაიციენებს) კარვად მაქვს საქმე ჯერჯერობით დაწყობილი. (დახედავს სამხრეს) გავგზანით ჯაყელი, თუ არა! რომ მართლა როგორმე გაძვრეს და ისინი გააქეოს?! მაგრამ ვერა, გზები შეკრულია... ვერ მიადრწევს.

(შემოდინს სოსლანი, შოთა მესხი და ზაქარია მხარგრძელი. მესხი ათავებს ადრე დაწყებულ ლექსს) — **მ ე ს ხ ი** — მივივრის კაცი რად იფერებს

საყვარლისა სიყვარულსა!
ვინცა უყვარს რად აყოვნებს
მისთვის მკვდარსა, მისთვის წყლულსა,
თუ არ უყვარს, რათ არა სძულს,
რად აყოვნებს რაცა სძულსა?
ავსა კაცსა ავი სიტყვა;
ურჩევნია სულსა გულსა.

ჯ ა ვ ა ხ ი (სოსლანს) ბატონიშვილს სალამი! (სამხრეს მალავს) შოთა კიდევ ლექსს ამბობს? დიდი საქმეა სწორედ მოგახსენოთ ახდენი ზაირების წერა!...

გ. შერვაშიძის პიესაში ასახულია გიორგი მესამის ბრძოლა ფეოდალებთან. შალვა დადიანის მიერ დადგმულ სპექტაკლში მონაწილეობას ლებულბდენ: შ. დადიანი (გიორგი III), ნ. ლორთქიფანიძე (თამარი), ქეთო ანდრონიკაშვილი (რუსუდანი), შ. ხონელი (დავით სოსლანი), დ. ჩარკვიანი (დიმიტრი), ა. მურუსიძე (შალვა), ყალბაგვიშვილი (ყუბასარი), ნატ. ჯავახიშვილი (ნიაგული) გ. თეთბერიძე (სარგის მხარგობელი), გრ. ლორთქიფანიძე (შოთა მესხი), კოკელაძე (წალკისელი) და სხვ.



მე-12 საუკ. ბუზრბუღი რუსთაველის საივნიბლო გამოფენა

გამორჩნდება. თვითმპყრობელობის სულის შემხუთველ პირობებში რ. მყინვარის ცდას ცხადია არაეითარი ხელისშეწყობა არ ჰქონდა, მიტომაც ეს წამოწყება ჩანასახშივე გააქრა.

1909 წელს პიესა „ვეფხისტყაოსანი“ დაწერა პეტრე მირიანაშვილმა. უფრ. ფასკუნჯი: ამ პიესის შესახებ მკითხველთ შემდეგ ცნობას აწვდიდა:

პ. მირიანაშვილს „ვეფხისტყაოსანი“ გადაუტეოებია სასცენოდ. პიესისთვის უმეტესი ლექსი ამოღებულია უცვლელად პოემიდან, ხოლო ზოგიერთი ადგილი შევსებულია ოქროპირ ბატონიშვილის პიესად გადატეოებულის „ვეფხისტყაოსნიდან“. პიესა შეიცავს 11 სურათს, დასადაგამად არ წარმოადგენს ტექნიკურ სიძნელეს. უმეტესია, თუ დადგმული იქნება ჯეროვანის ყურადღებით, დიდს შთაბეჭდილებას მოახდენს საზოგადოებაზე. პიესა უკვე წაიკითხა რეჟისორმა და გადასცა დრამ. საზოგადოების გამგეობას („ფასკუნჯი“, 1909 წ. № 9.)

მაგრამ პ. მირიანაშვილის პიესა სცენაზე არ დადგმულა, იგი შემდეგ ლობრეტოთ იქნა გამოყენებული ლეო ფალიაშვილის მიერ ოპერა „ვეფხისტყაოსნისათვის“.

ანტონ ფურცელაძის მიერ გამოქვეყნებული ლეგენდის საფუძველზე დრამატული პოემები დასწერეს სანდრო შანშიაშვილმა და ი. მჭედლიშვილმა. რაც შემდეგ დიმიტრი არაყაშვილმა თავის ოპერის („თქმულბმა შოთა რუსთაველზე“) ლობრეტოდ გამოიყენა.

ქართული საბჭოთა თეატრის პირველ სპექტაკლების დიდ წარმატებისთანავე წამოიჭრა საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ გასცენირების შესახებ. დიღმა ოსტატმა კოტე მარჯანიშვილმა (რუსთაველის თეატრის რეჟისორების კ. ანდრონიკაშვილის, მ. ქორელის, ა. ფლავას დ. ანთაძის, გველსიანის თანამშრომლობით) შექმნა „ვეფხისტყაოსნის“ სცენური მონტაჟი და მის სპექტაკლად განხორციელების გეგმა. მთავარი როლი მარჯანიშვილმა მახრობელს



მხატვ. ზიჩის მიერ დადგმული ცოცხალი სურათი „ვეფხისტყაოსანი“-დან

მიაკუთვნა, სპექტაკლი მხატვრული ნაწარმოების სცენურ ილუსტრაციით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, დეკორატიული გაფორმება მოფიქრებული იყო როგორც გადაშლილი, არშივებ მოხატული წიგნი, რომლის ფურცლებზე შენაცვლებით ჩნდებოდნენ და ამეტყველებდნენ გმირები. მიხრობელი დეკორატიული წიგნის გარეთ უნდა მდგარიყო ავიან ცენაზე.

ბიესის სპექტაკლად გარდაქმნის ასეთი ხერხისათვის, თავის ხანგრძლივ და მდიდარ შემოქმედებითი მუშაობაში, მარჯანიშვილის მეტ ნაყლები წარმატებით, არა ერთხელ, მიუმართავს, 1908/99 წწ. ოდესის თეატრში მან დასდგა მეგერისის „პრინცი“ მაღალი, რომელიც ამ სპექტაკლის მონაწილის გოლუბევის სიტყვით: „არაჩვეულებრივი იყო, სცენაზე მარჯანიშვილმა გამართა სამი პატარა ჩარჩოვში. მოქმედება უანტრაქტოდ ერთი ჩარჩოდან მეორეში გადაჰქონდა. და ის რამდენიმე წუთი, რაც აშორებდა სურათებს ერთიმეორესაგან მოცული იყო სხვა და სხვა ხმაურებით; ისმოდა—ან შარდვანი შხაფენი, ან შორიდან საყვირების ხმა, ანა და ჩურჩული ან კენესა. ყოველივე ეს განწყობილებას ჰქმნიდა და სპექტაკლს მუსიკალურად აფორმებდა („ო. გოლუბევა—„შეხვედრები მარჯანიშვილთან“, წიგნიდან „На провинциальной сцене“, 1937 წ. გვ. 122). ამდგვარი რეჟისორული მიდგომათი ფიქრობდა მარჯანიშვილი „ვეფხისტყაოსნის“ გასცენურებას.

ამვე მოგვყავს, კოტე მარჯანიშვილის ტექსტის გასაცნობად მე-II სურათი, მის მიერ გასცენურებულ „ვეფხისტყაოსნიდან“..

ს უ რ ა თ ი II

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი — სთქვა:
ათიანილი — ზედაზედა მომხედების ნახვა მის ბროლი-ფიქალისა და ნუ თუ ვერც ვპოვო წამალი მე ჩემი, ვერ გამქ...

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი — არაბეთს გასცა ბრძანება დიდმა არაბეთა მფლობელმან.

რ ო ს ტ ე ვ ა ნ — თინათინ ჩემი ხელმწიფედ დავსვი, მე მისმან მშობელმან, მან განანათლეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან! და მოლდი და ნახეთ ყველამან შემსხმელმან, შემამეცობელმან.

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი — მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი გამრავლდა ხასია, ვაზირი სოგრატ-მოახლე შეფისა დასთა დასისა, და მათ რომე დასდგეს საჯლოში სთქვეს:

ს ო გ რ ა ტ — უთქმელია ფასისა.

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი — თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა, დასვა და თავსა გვირგვინი დაადგათვის ხელითა, მისცა სიკბურა და შეშოსა მეფეთა სამოსელითა, და ქალი მზეებერ უჭერეტს ყოველთა, ცნობითა შემხედველითა. უკვე დადგეს და თავყანი სცეს მეფემან და მისთა სპათა დალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა. ბუქსა ჰკრეს და წინწილანი დაატკობდეს ტკბილთა ხმითა; და ქალი ტრის და ცრემლსა აფქრევეს, ჰყრის ყორანისა ბოლო ფრთათა. მამისა ტახტსა საჯლომად თავი არ ეღირობებოდა, ამაღ ტრის ბალი ვარდისა ცრემლითა აიყვებოდა;

მეფე სწვრონის:

როსტევან: მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა და ამისად ქმნამდის დამწვევი ცეცხლი არ დამეცებოდა.

მთხრობელი — უბრძანა:

როსტევან — ნუ სტირ, ასულო, ისმინე ჩემი თხრობილი:

დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩვენგან ხელმწიფედ ხმობილი (ვიდრე)

და რასაცა ვასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია! მარჯანიშვილს „ვეფხისტყაოსნის“ ინსცენირებისათვის როლების განაწილების ვარაუდიც ჰქონდა:

მთხრობელი — აკ. ფალავა, აკ. ხორავა, ილია ზურაბიშვილი შ. დადიანი; როსტევან — ხორავა, ლამბაშიძე; თინათინ — ვ. ანჯაფარიძე, ალ. ქიქოძე; ავთანდილი — გ. დავითაშვილი, ვასაძე; სოგრატ — ლამბაშიძე; I ვეზირი — უშ. ჩხეიძე; II ვეზირი — ჯიქია; ამილახორი — კანდელაკი; უფ. მონადირე — მალაკელიძე; ტარიელი —

(დავითაშვილი; მონა — მიქაბერიძე; ნესტან-დარეჯანი — ჩხეიძე, თ. ქავჭავაძე; ასმითი — დონაური.)
(დაკლდა რუსთაველის თეატრის მსახურში)
გენ. მ. მ. მ. მ. მ.

„ვეფხისტყაოსნის“ გასცენირება მხოლოდ მხატვრულად მომძლავრებულს, შემოქმედებითი ძალებით მომწიფებულს, ტექნიკურად სრულად შეიარაღებულს, საბჭოთა თეატრს ძალუძს. მიტომაც არის, რომ ქართული საბჭოთა დრამატურგია ამ მხრივაც შემოქმედებითი აქტიუობას იჩენს და უკვე დაიწერა მრავლი რიგი „ვეფხისტყაოსნისა“ და რუსთაველის თემაზე: აკაკი ფალავამ დასწერა პიესა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც დრამატურგთა სექციის რუსთაველოლოგთა მონაწილეობით იქნა განხილული და მოწონებული. პიესა გადაცემული აქვს რუსთაველის თეატრს.

პიესები აგრეთვე დაწერილი აქვთ ნიკო შიშკაშვილს, რეკ. გ. ჭურულს, გიორგი მირიანაშვილსა და ჯაფარიძეს.

ბოლო დროს რუსთაველის ცხოვრების ამსახველი პიესა (კ. მესხის „რუსთაველის“ მიხედვით) დასწერა შალვა დადიანმა.



მხატვ. ზიჩის მიერ დადგმული ცოცხალი სურათი

შოთა მეთქვენის პოემას თეატრს




რიგ. №№	სიმღერის დასახელება	სასიმღერო ტექსტის დასაწყისი	საიუბილეო გამოცემით სტროფი	ვის მიერ ჩაწერილი.
1.	„სუფრული“ (კახური)	„ვერ დაიპირავს სიკვდილსა“	800	დ. არაყიშვილის
2.	„ზამთარიო“ (კახური)	„ზამთარი ვარდსა დააჭკნობს“	1347	„
3.	„სუფრის ღიღინი“ (გურული)	„ვარდსა ჰკითხეს“	878	„
4.	„ბინდის ფერია სოფელი“ (კახური)	—	1094	„
5.	„ჰერიო“ (ქართლური)	„ერთი მოყმე ვინმე ვნახე“	ხალხური „მ. ტ.“	„
6.	„სათამაშო“ (ქართლური)	—	—	„
7.	„ღმერთო-ღმერთო“ (ქართლ-კახური)	„ღმერთო-ღმერთო მოწყალეო“	811	„
8.	„ბინდის ფერია ეს სოფელი“ (ქართლური)	—	1094	ია კარგარეთელის
9.	„მასპინძელსა მზიარულსა“	—	724	„
10.	„ზამთარიო“ (ქართლ-კახური)	„ზამთარი ვარდსა დააჭკნობს“	1347	„
11.	„ღმერთო-ღმერთო მოწყალეო“	—	811	ზაქ. ჩხიკვაძის
12.	„მასპინძელსა“ (გურული)	—	729	გრ. ჩხიკვაძის
13.	„მე რუსთველი“ (გურული)	—	8	„
14.	„მე რუსთველი“ (გურული)	—	8	„
15.	„მასპინძელსა“ (გურული)	—	729	„
16.	„ძველი მაყრული“ (გურული)	„ვარდსა ჰკითხეს“	878	გრ. ჩხიკვაძის
17.	„ცალ მაყრული“ (გურული)	—	878	„
18.	„გრძელი მრავალგამიერი“ (კახური)	„ლეკვი ლომისა სწორია“.	39	„
19.	„სუფრული“	„სმა-ჰამა დიდად შესარგი“	50	„
20.	„ბარათი“ (გურული, საჩინგურო)	„მოგეწერა წავიკითხე“	1095	დ. არაყიშვილის
21.	„ვამ, სოფელი რაშიგან ხარ“	—	951	„
22.	„მო ზუალო“	—	958	„

„ვამ სოფელი რაშიგან ხარ“

ხალხური სიმღერა

ვამ სოფელი რაშიგან ხარ
 ვამ სოფელი რაშიგან ხარ
 ვამ სოფელი რაშიგან ხარ

ჩაწერილი პროფ. დ. არაყიშვილის მიერ



იაკოვ გომიძე

„ვეფხისტყაოსანი“ აქრანიზაციის შესახებ

ეს იყო ძველად. ერთმა ქართველმა თავის ერთადერთი ასული საქართველოს შორეულ კუთხეში გაათხოვა და მზითვად სხვათაშორის ოქროს ყდაში ჩასმული თავისი საყვარელი წიგნი „ვეფხისტყაოსანი“ მისცა. „აქედან სწავლობდე სიყვარულს, სიბრძნეს და მეგობრობას“-ო „დაარიგა მამამ ასული და ქმრის ქვეყანაში გაისტუმრა. განვლეს წლებმა. მამას მოსურდა დიდი ხნის უნახავი ასულის ნახვა, მოაზნადა მხლებლები, ცხენებს ძვირფასი ძლიერი აპკიდა და გზას გაუღვა. რამდენიმე დღის განმავლობაში ქარსა და წვიმაში მთებსა და ღრეებში სიარულს შემდეგ როგორც იყო სიძის კარებს მიაღწია. სიძეს უცხო სტუმრები ჰყავდა დიდი ნაღიმი ჯამბოთა, შორს გაისმოდა ლხინისა და მზიარულების ხამი. მამამ მხლებლები კარებთან დააყენა და თვითონ სახლის ეზოში ჩაივდა. სიმღერაში გართულმა ქალმა შორიდან იცნო დიდი ხნის უნახავი მამა და სიხარული აღფრთოვანებულად მისცემდა ღმირეკანს, რომ გულში ჩაჰკროდა მას. მაგრამ მამამ ასული შორს შეაჩერა და საღამუდ უწინ რუსთაველის სიტყვებით მიმართა.

„რა მოვეშორე, მას აქეთ, სიკაცხელე მომძეფლები;
თუკა შენ ჩემად არა გვალდა, მე შინთვის მომსურევები;
შენ უჩემობა ღზინად გზამს, მე დია მომიჭრებია!
თხერ სიკაცხელე უშენოდა, სიფიდი გამარბებია!“

მამა მოელოდა, რომ ქალიშვილიც რუსთაველისვე სიტყვებით მისცემდა მამას პასუხს, მაგრამ ასულმა გვირგვინი ვერ უპასუხა. მას პოემა წაკითხულიც არ ჰქონდა. „არა ღირსხარ ჩემად შეილად იწოდებოდე“-ო მიუგო შეურაცყოფილმა მამამ, თავის ასულს და საღამიც არ მიუტია ისე, გაბრაზებულთა თავისივე ამალით უკან გამობრუნდა.

ფურცლავ ქართულ ზეპირ გადმოცემათა დაუღვეველ წიგნს და შიგ „ვეფხისტყაოსანისადმი“ დამოკიდებულების შესახებ არა თუ ამ გვირს, უფრო მეტს, უფრო მნიშვნელოვან ამბებს და შეფასებებს კითხულობ. 750 წელმა განვილო ამ პოემის პირველ წაკითხვიდან. ამ მანძილზე არა თუ „ვეფხისტყაოსანის“, თვითონ ძველის შემქმნელი ხალხის ყოფნა—არ ყოფნის საკითხიც კი ხშირად ბუწუხედ ეკიდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართველმა ხალხმა მაინც შესძლო შეენარჩუნებია თავისი არსება, თავისი კულტურული სახე და ამ კულტურის საუკეთესო გამომატველი პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ქართველი ხალხი გულით იტყობდა, მას, ომობი მარგალიტებით ინახავდა, იმისათვის, რომ რუსთაველის უკვდავ ქმნილებაში ხალხი თავისი ლტოლვის, თავისი სურვილების შესაფერ მდგომარეობებს

პოულობდა, მის გმირებში თავის გმირულ მისწრაფებებს ხედავდა. ამ გმირების სიყვარულსა და მოქცევაში, თავდადებულ მეგობრობისადმი და წმინდა, ჯანსაღ სიყვარულისადმი თავის განსაზღვრულ ლტოლვას ამჩნევდა. თვითველი ქართველი მოვალედ სთვლიდა თავის თავს ზეპირად შეესწავლა, გადაეწერა და თაობიდან თაობისთვის შეენახა პოემის ეს ძვირფასი საუნჯე. ყოველი მშობელი ცდილობდა, მისი შვილი „ვეფხისტყაოსანის“ სულით აღეზარდა და უმედურად სთვლიდა თავს, თუ მისი შვილი პოემის შესწავლაში უნიჭო აღმოჩნდებოდა.

ამისათვის იყო, რომ ზემოდ მოყვანილ შემთხვევაში მამამ თავისი დიდი ხნის უნახავი, ერთადერთი ასული, მიუხედავად მისდამი დიდი სიყვარულისა, საღამის ღირსდაც არა სცნო და უკან გაბრუნდა.

დღეს ჩვენს პირობებში სიყვარული რუსთაველის პოემისადმი უფრო მაღლა სდგას ვიდრე ოდესმე. 7 ნახევარ საუკუნს ჰგანმავლობაში „ვეფხისტყაოსანს“ არც ერთხელ არ ჰქონია ისეთი დაუახება, როგორც დღეს.

„ვეფხისტყაოსანი“ რომელიც საუკუნოების განმავლობაში, როგორც რთულ ისტორიულ პირობებისაგან, ისე განსაკუთრებით საშუალებებისადმი დევნას განიცდიდა, რომელიც უფრო მეტად მისაწვდენი იყო წერაკითხვის მცოდნე მაღალ ფეოდალურ კლასისთვის, დღეს სტალინური ეპოქის მზიან ქვეყანაში, ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში მიუღიო ხალხის საკუთრებათ ხდება. „ვეფხისტყაოსანი“, არასოდეს ისე ახლო არ მდგარა ფართო მასებთან, როგორც დღეს.

კაცობრიობის ისტორიის გრძელ მანძილზე, სიტყვა—ადამიანი ისე ამაყად, ისე ფართოდ არ ვრდებოდა, როგორც ჩვენს ხანაში, ლტოლვა გმირობისადმი, მეგობრობისადმი, ერთიმეორის დახმარებისადმი, არასოდეს არ ყოფილა გავლილი ისე, როგორც დღეს, სოციალისტური მორალი, დღეს ქალებისადმი სიყვარულის საკითხს მეტად ფაქიზად უტყპრის. მსოფლიო პროლეტარიატის დიდი მასწავლებელი ვლადიმერ ილიჩს-ძე ლენინი ჯანსაღ ოჯახის საფუძვლად ჯანსაღ სიყვარულს სთვლიდა, აქედან ნათელია, რომ ლენინური პრინციპებით აღზრდილი ჩვენი მასები, რომლებიც თავისი ცოდნის კულტურისა და გრძნობის განვითარებისთვის საკირო მასალას ხალხს მიერ საუკუნოებით შექმნილ ძვირფას წყაროებთან ჰკრეფავს, რუსთაველის გენიალურ პოემას, რომელიც ადამიანობის, გმირობის და წმინდა სიყვარულის ხორბას წარმოადგენს და სადაც თავისი ლტოლვების გამომატველ

უმაღლეს ფორმებს ბოულბოზს, ცხადია უმაღლესი სიყვარულით ამქობს.

ფაბრიკა-ფაბრიკებში, კომლექტურნობებში, სკოლებში, სახლში და სხვაგან, დღეს ხშირად ვხვდებით წრეებს, ჯგუფებს, რომელთა შემოაზნა განსაზღვრავს „ვეფხისტყაოსანის“ დამუშავება-შესწავლა არა მარტო საქარბელთაში, არამედ სხვა მოძვე რესპუბლიკებშიც დღეს ანალოგიურ წრეებს და ჯგუფებს ვხვდებით. ასეთია „ვეფხისტყაოსანისადმი დაპოკიდებულება“ ამ ქაზად. ამ გვარ დამოკიდებულების პირობებში, როგორც მისი ეკრანიზაციის საკითხი, ან როგორ უნდა მიუღვეთ მას, რომ არც პოემის მნიშვნელობა დაემახინჯოთ და არც კინოხელოვნების პრინციპებს ვეღაღატოთ.

საერთოდ ლიტერატურული ნაწარმოების კინო ინტერპრეტაცია მეტად რთული შემოქმედებითი პროცესია, ის მით უფრო რთული მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს ისეთ რთულ კლასიკურ ნაწარმოებთან, როგორცია „ვეფხისტყაოსანი“. მაგრამ ეს სიმძლე არ ნიშნავს, იმას, რომ დავიკავითთ ხელები ამ სიმძლეთა წინაშე და პოემის ეკრანიზაციის ფიქრი თავიდან მოვიშორებთ. საჭიროა ამ სიმძლეთის გადალახვა, საჭიროა დიდი მზადება, ძალბა სრული მომზადება, საქმის ბოლმევიყური დაყენება და მიზანი მიღწეული იქნება.

უპირველეს ყოვლისა უნდა თქვას, რომ პოემის ეკრანიზაციის დროს მისი ერთ სრულმეტროვან ფელში (7 ნაწილი) მოთავსება სრულიად უნაყოფო ცედა და პოემის დამახინჯება იქნება. სწორედ „ვეფხისტყაოსანისადმი“ ამ გვარა დაპოკიდებულებამ ჩაშალა 1935 წლის კინო კონკურსი და პოემისადმი წარმოდგენილ სცენარებში ცდილობდნენ პოემის შეკუთვას, შეცვორებას, არს გამო ისინი სრულიად ამახინჯდნენ პოემის, როგორც იდენტრ ისე მხატვრულ ხარისხიანობას, მაგრამ ამ ევე დროს ზოგიერთი ის სცენარები, რომლებიც კი ცდილობდნენ ცდილობდნენ სურათის ფარგლებს გასცილობდნენ და აღიღწენ ორ სერამდე, კომისიის მიერ უპირველეს ყოვლისა უარყოფილ იქნენ იმისთვის, რომ ამით კონკურსში გამოცხადებულ პირობებს არღვეოდნენ, ე. ი. შეიღ ნაწილიან სურათის ნაკლებად 14—15 მდე ნაწილს იძლეოდნენ. „ვეფხისტყაოსანზე“ ახალ შემოაზნის დაწყების დროს ეს შემთხვევა გათვალისწინებული უნდა იქნეს.

„ვეფხისტყაოსანის“ ეკრანიზაციის დროს ძირითადი მიზანი ის კი არ უნდა იყოს, რამდენ ნაწილში დავატოთ სურათი, არამედ ის, რომ საესეებით ვაღმოვიტანოთ პოემის აზრი, შინაარსი, მისი მხატვრული სიღაღდე, და მასა მისი საყვარელი პოემის შესაფერი კინო-სურათი მივსცეთ.

აღნიშული კონკურსის ჩატარების დროს ავრეტვე ფიქრბდნენ თითქოს საჭირო არ იყო „ვეფხისტყაოსანისადმი“ შექმნილ კინო სცენარული მასალების (სცენარის, სიუჟეტის, ლიბრეტოს, ეპიზოდების, სცენების და სხვა) შექმნა, შეგროვება და შემდეგ მათი სისტემაში მოყვანა. საკონკურსოთა წარმოდგენილ მასალებში ბევრი იყო ისეთი ეფხობილ სცენები, რომლის გამოყენება შემდეგში შეიძლებოდა, მაგრამ ისინი არა თუ შექმნილ იქნენ, პირიქით უკან დაუბრუნეს ავტორებს და ისიც უკანაუბოლ. ეს ხალხი ფიქრობდა, რომ თვითონ პოემა „ვეფხისტყაოსანი“ არის შესანაწივე მასაღ და სხვა გვარი მასალების მიღება შექმნა სრულიად ზედმეტი იქნებოდა, ამით ისინი

გარდა იმისა, რომ ივიწყებდნენ საერთოდ კინო ხელოვნების სპეციფიკურ პირობებს, გამოვიდნენ უბრალო ფაქტოგრაფის პრინციპებით და უუურადღებულად სრულვებდნენ იმ გარემოებას რომ თვითონ პოემა „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს ისეთ გრანდიოზულ მასალას, რომელიც ხელოვნების სერაში არ მოთავსდება: რომ საჭიროა თვითთელი ეპიზოდის კინემოტოგრაფიული დამუშავება და მისი კინო ხელოვნების ენაზე აღაპარაკება.

ეს მდარბი და პრაქტიკას სრულიად მოკლებული თეორია, საშუალოდ დღემდე ვრცელდება, ჩვენს კინოში „შავებში“ კიდევ მოპოვებიან ამხანაგები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მოცემული პოემა სრულიად კინემოტოგრაფიულია და მას არავითარი კინო-სპეციფიკური ხელშეწყობა არ სჭირდება, რომ მისი სხვა შემოქმედის ხელის ხელბა დასცემს პოემის ღირსებას და ფასს დაუგარავს მას. ეს არ არის სწორი.

მართალია „ვეფხისტყაოსანის“ ეკრანიზაციის დროს კინო-შემოქმედებითი კოლექტივი ვალდებულია ანგარიში გაუწიოს პოემას, ხალხის მისდამი სიყვარულს, რომელიც პოემაში ცოტა ცვლილებების შეტანის წინააღმდეგაც კი არის, მაგრამ არ უნდა დაივიწყოს ის გარემოება, რომ ენა პოეტური ხელოვნებისა და კინო-ხელოვნებისა სხვადასხვადა და მდენად თავისი სპეციფიკური თვისებებით ერთმანეთისაგან არაღატოლად განსხვავდებიან.

„ვეფხისტყაოსანი“ კინოში გამოყენების მხრივ მეტად რთული და მძლეად დასაძლვეი მასალაა. პოემაში საჭირო კინო ცვლილებების შეტანის გარეშე, ჩვენ არა თუ მივიღებთ კარგ ფილმს, პირიქით ვავაზუნდებნებთ მეულ რეგ მომენტებს. გაუგებრად ვავხდით მათ და ამით უფრო დავსკვებთ პოემის იდენტრ მხატვრულ ღირებულებას.

მაგრამ ის, ვინც კარვად იცის „ვეფხისტყაოსანი“, და ვინც ივარძობს ამ პოემას როგორც თავის კინო-შეწინაგანიბა ორგანულ ნაწილს, დარწმუნდება, რომ პოემის ეკრანიზაციის დროს, შედარებითი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, შორის წასვლა არც არის საჭირო, ათაფრის მოგონება არ არის საჭირო, რომ გენიალურბა რუსთაველმა თავისივე პოემაში თვითონვე მოგვცა ის ელემენტები, რომლებიც კინო დრამატურგსა და რეჟისორს ამ ცვლილების შეტანისთვის შესაფერს ვასაღებს მისივე და ამავე დროს პოემისადმი ფარგლებში მოთავსებას.

პოემის კინო-ინტერპრეტაციის დროს ცვლილება, რომელიც პოემის ძირითადი აზრით არ მართლდება, დაშვებული არ უნდა იყოს, ეს პოემის დამახინჯება იქნება. ასეთ შეცდომებს კი ადვილად შეიძლება მავალდებ რეჟისორ კოტე მიქაბერიძის ფილმში „ქაჯეთში“. ეს სურათი ამ მხრივ წარმოადგენს იმის მავალითს, თუ როგორი ცვლილების შეტანა არ უნდა მოხდეს პოემაში მისი ეკრანიზაციის დროს.

რეჟ. ე. მიქაბერიძემ სიუჟეტის „დაძაბულობის“ მიზნით პოემის ტექსტში შემდეგი ძირითადი ცვლილება შეიტანა, უპირველეს ყოვლისა რაც მაყურებელს თვალში ხვდება რაც რუსთაველს აზრადაც არ ჰქონია, ეს ქაჯეთის ბანჯგვლიან და საშინელ არსებებად გამოყვანა. მეორე, რაც სიუჟეტის კონსტრუქციას ყირაზაღა აყენებდა ეს ქაჯეთა მთავარ საინდალის როშატის ციხეში დატოვება ტარცილისა და მისი ამხანაგების თავდასხმის დროს.

რეჟისორმა სურათში ფორმალურ მხარეს საგნის დედა-

არის შესწირა, როგორც ცნობილია პოემამი, ტარიელის თავდასხმის დროს, ქაჯთა უმოხიბესი და უმოხიბესი ნაწილი ქაჯეთში არ არის, ერთი ნაწილი თან ახლავს მეფე დულარდუტს და ზღვაში გაღმა იმყოფება: — ყოველი მცოდნენი განძნობს მას თანა წაუტანია. — ეუბნება ფატმანს თავისა შინა. როშაქი არ არის ციხეში, ისიც ამ დროს, თავისი ჩრეული კაცებით თავის მეფეს ახლავს, ასე რომ ციხის მცველები შესუსტებულია და შედარებით ადვილი ასაღები, თუკი ეს მცველებიც ისე ძლიერები არიან, რომ თვითონ ნესტკენი ეჭვობს მათან შებმის დროს ტარიელის გამარჯვებას.

„ქაჯთა მეფე არ მოსულა, არც ამოვლენ ქაჯნი ჯერ, მაგრამ სხინა უთვალავს მცვენი და მათი სიალფე — რე არასა ჰქვან ქაჯნა ჩემი, არ ვებვის დაიჯერე.“

სწერის ის ფაქტები.

რომ როშაქი და საერთოდ ქაჯთა ჯარი ციხეში დარჩენილიყო, ტარიელისთვის ნესტანის დახსნის ცდა უშედეგოდ დამთავრდებოდა. ამის გამო არის, რომ ფატმანის კი აფრთხილებს ავთანდილს, „თუ ქაჯნი მოვუტყურებთან, მუნ მისელა გაგიძნელდებიან“. და თვით ლომგული ფრიდონიც კი ცდილობს დაჩაქაროს ამხანაგები, „თუ ქაჯნი მოვუტყურებთან, სა ქვო არის სიძნელისა — ეუბნება ის ამხანაგებს. ფრიდონს, ფრეიტება იმ კამალ ქაჯეთში მყოფი მეორეებიც კი, ისინი საშინაბი მტრები იყვნენ. მით უფრო სრულიად შუქდებელი იყო ქაჯთა ციხის აღება და ნესტანის დახსნა როშაქისა და ქაჯეთის ძლიერი მებრძოლის ციხეში ყოფნის დროს. ამისათვის რუსთაველმა დიდი ხელოვნებით გამოიყენა ქაჯეთიდან ქაჯთა უძლიერების ნაწილი და თავის გმირებს გამარჯვების ლორიკური სახელდება მისცა. ამგვარი მცველებით ამ ეპიზოდში რუსთაველი იძლეოდა ნესტანის ტყვეობის ტრადიკულ სურათს, ქაჯთა ძლიერებას, ტარიელ — ავთანდილის და ფრიდონის სწრაფ აზრთან და ენერგიულ ცოკმედებას.

სურათში კი როშაქი და მისი ლაშქარი ციხეში არიან, ამას ხომ უფრო უნდა გაერთულებია სიძნელე. მაგრამ სურათში ეს; დავთ რომ ნესტანა ქაჯთა სიძლიერე, წესუბუქად ნესტანის ტყვეობის სიმკაცრე, და გმირებსაც უბრალო ხმლის ნოქების მეტი არაფერი დარჩათ, რომ ქაჯები შეეშუსრათ, აით მათი გმირობის სიდიდე დაძლავნიან. ამით ჩვენ ის გვიჩვენებს, რომ პოემის ეკრანიზაციის დროს მხვავს ცელიკლებების შეტანას პოემაში უნდა ვერიდოთ.

ასოლუტურად შემცდარად უნდა ჩაითვალოს ეგროთეე სურათში ქაჯების რქოსან და საშინელ არსებებდ გამოიყვანა. რუსთაველს არაფერი მხვავსი თავის პოემაში არა აქვს.

„ქაჯნი სახელად მით ჰქვან, არიან ერთად კრახულნი კაცნი გრძნებისა მცოდნენი, ზედან გაზულუნებულნი“

თვარემ იგიინე კაცინა, ჩემებნერე ხორციელენი“.

ეუბნება ფატმანი ავთანდილს. მათალაც ვარდა ამისა ქაჯები სრულიად ნორმალური ხალხია, სიტყვით, პასუხით, ერთიმეორესთან დამოკიდებულებით და სხვა. ქაჯებს აქვთ ნავაგროუთერთობა და სხვადასხვა მხარესთან, მიდან-მიდინად და არც თავის ქვეყანაში შესართავს უშლიან ვისმის. ფრიდონსაკი უმოგზაურია ქაჯეთის ქვეყანაში.

ესე, რომ, როგორც ვთქვამთ პოემამი გამოყვანილ ჯეგებს, საერთო არაფერი აქვთ სურათის სურათთან. არც რქები აქვთ, არც სახარელი და საშინელი მსხვერპლები. მას რად დასჭირდა რეისოსის პოემაში ამგვარი ცელიკლებების შეტნა? რომ ეფექტი გაერმაგვიწიოს ეს მხოლოდ ფორმალური ძიებაა, პოემის შინაარსთან მას არავითარი კავშირი არა აქვს და ამის გამო, როგორც ეს ისე, ანალოგიური ტენდენციის ცელიკლებში პოემის მისი ეკრანიზაციის დროს შეტანილი არ უნდა იყვის.

„ე ფხის-ტყაოსნის“ ეკრანიზაციის დროს თუ აუცილებელი პირობა სხინ ხელოვნების სპეციფიკა არ მოითხოვს ამა თუ იმ სახის ცელიკლებების აუცილებელ შეტანას, მისი მოხდენი საჭირო არ არის. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ „ვეფხისტყაოსანი“ ამ გვარ ნომენტებისაკან სულ თავისუფალი არ არის, მასში არის მთელი რიგი მომენტებისა, რომლებიც თავის კინემატოგრაფიულ ვარდაქმნას საჭიროებს. ამრიგად იმ ამხანაგების აზრი, რომლებიც ამუციკებდნენ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ისეთი მასალაა, რომელსაც არაფერი გარდაქმნა არ სჭირდება, ჩვენ შემედარათ მიგვაჩინა. მაგრამ ეს კინო ვარდაქმნა არ უნდა მიიღოდეს ისე როგორც სურათ „ვეფხისტყაოსნი“.

უპირველეს ყოვლისა ამ გვარი შეცვლის ობიექტად ჩვენ პოემის სიუჟეტის მსგელობა მოგვაჩინა, პოემის ეკრანიზედ გადატანის დროს საჭიროა მოქმედებათა მიმდინარეობის შეცვლა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მათი გადაადგილება და შეკუმშვა, კინო-ხელოვნების პრინციპების მიხედვით, მონახვა ისეთი კინოგამომსახველი ფორმებისა, რომლებიც პოემის აზრობება და მხატვრულ სიდიდეს საცხებით ვამოგვეცემენ ეკრანიდან.

როგორც ვიცით თვითონ პოემა არაბეთის ამბით იწყება, არაბეთის მეფე როსტყვანი თავის ასულს თინათისს აძეუებს. სან დიროთ ვასულ მეფე და მისი მხლებლები უტხო მოემეს „ე ფხის-ტყაოსნის“ ევდებიან, რომლის ენათობაც ძლიერ დაინტერესებს მეფე. მეფე ცდილობს მის შეუბრძოლს, მაგრამ უტხო მოემე უცავს მეფის მხლებლებს და უტხო-უყოლ იკარება. მეფე ანალოგიანდება, მისი ასული თინათინი კი თავის შეყვარებულ ავთანდილს აზუანის „ვეფხისტყაოსნის“ მოსაძებნად. დიდი ძეხნის შემდეგ ავთანდილი გამოკვებულნი პოულს იმ „ვეფხისტყაოსანს“. იგი ინდოეთის მეფის ამირაბარი ტარიელი აღმოჩნდება. აქედან იწყება მთელი რიგი ამბებისა, რომელიც დაკავშირებულია ტარიელისა და მისი შეყვარებულა არაბეთის მეფის ასულის ნესტან-დაიჯვანის ცხოვრებასთან.

ჩვენი აზრით კინოსურათი პოემის მხვავსად არ უნდა დაიწყოს, ის არ უნდა ვაგვეყვ პოემის კვალს, კინო-ხელოვნების სპეციფიკის თვალსაზრისით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფილმი ინდოეთის ამბიდან უნდა დაიწყოს. პოემის ცენტრალური ღერძი, რომლის გარშემოც ტრიალებს ყველა შემთხვევა, ეს ტარიელისა და ნესტანის ცხოვრების და სიყვარულის ამბებია. დანარჩენი მომენტები მხოლოდ ხელს უწყობენ პოემის ძირითად კვანძის განვითარებას და ამ კვანძში მოქმედულ ადამიანების და მოვლენების ხასიათის გამოარკვევას ემსახურებიან. ამისათვის ფილმში ცენტრალური ადგილი ნესტანისა და ტარიელის ამბებმა უნდა დაიჭიროს.

რუსთაველმა, როგორც ეს საგმირო ეპოსის წყისა, პოე-

მის ვალმოციმისთვის თხორობითი ფორმა აირჩია. ერთი გმირი უამბობს მეორეს, მეორე მესამეს, მესამე პირველს და ასე ამ რიგად მკითხველი დაკნინული უკრავდებოდა თანდათან ეცნობა პოემის გმირების თავებადასავალს. ამას ემატება რუსთაველის უდიდესი მხატვრული ფორმა და ამ საფუძველზე ჩვენ ვეუბნებოდით, როგორც შინაარსითა ისე ფორმით გენიალურ ნაწარმოებს, მაგრამ პოემის ვალმოციმის ასეთი ფორმა კინოსათვის ჩვენ შეუძლებლად მიგაჩნია.

კინო უპირველეს ყოვლისა დინამიკის, მოქმედების სწრაფ სულისა და განვითარების ხელოვნებაა, შებრუნებული უკუ მოქმედება კინო სურათში ქმნიან სტატკისა და ასუსტებენ მთავარ შთაბეჭდილებას. ეს შებრუნებული მოქმედებით კი „ვეფხისტყაოსანში“ ძლიერ ბევრია. მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი:

1. მეფე როსტევენი თინათინს უამბობს „ვეფხისტყაოსანის“ ნახვის შესახებ. 2. ავთანდილი ნახულობს „ვეფხისტყაოსანს“ ტარიელს, რომელიც მას უამბობს თავის თავებადასავალს. 3. ტარიელი უამბობს ავთანდილს იმას, რაც მას ფრიდონმა უამბო. 4. დაბრუნებული ავთანდილი როსტევენსა და თინათინს უამბობს ტარიელის ნახვის ამბავს და იმას, რაც მას ტარიელმა უამბო. 5. ტარიელთან დასახმარებლად ვაძვანგურებილი ავთანდილი, ხდება ფრიდონს და უამბობს მისი და ტარიელის დამოძილებების ამბავს, ცხადია არ სტოვებს თავის პირად სიყვარულის ამბავსაც. 6. ვაჭრულად ვადაცხულ ავთანდილს ფტემანი უამბობს ნესტან-დარეჯანს პოემის შესახებ და უამბობს იმასაც, რაც მას ნესტანის ქაჯეთში წყაყანის შესახებ ქაჯმა უამბო. და ასე შემდეგ.

პოემის ეკრანიზაციის დროს ჩვენ თუ პოემას კვლავდაცვლა გავცემით, მოქმედების მსვლელობის დროს მოგიხდება აუცილებლად უკან დაბრუნდები, უნდა შევსწავიკოთ მსვლელობაში მყოფი მოქმედება და დაუბრუნდეთ იმ მოქმედებას, რომელსაც ამ მოქმედებამდე ჰქონდა აღდგოლი, მაგალითად: როდესაც ტარიელი უამბობს ავთანდილს ფრიდონთან შეხვედრის ამბავს, ფილმში ეს სცენა უნდა შევწყვიტოთ, მოქმედება უკან უნდა შემოვაბრუნოთ და მფურცელის ვაჩვენოთ ტარიელისა და ფრიდონის შეხვედრის ამბავს, მათი დამძილებაც, ომი და სხვა. მაგრამ მოგიხდება შევსწავიკოთ ეს სცენებიც და ვაჩვენოთ ის, რასაც ფრიდონი ტარიელს უამბობს ე. ი. მისი ნესტანთან შეხვედრის ეპიზოდები.

ჩვენ ახრით მოქმედების ასეთი მსვლელობა რამდენადაც პოემაში შთაბეჭდილებას აღრმავეს, იმდენად კინოფილმში სუსტი აღმონიშნება და უფრო დაპყარავს თავის ზემოქმედების ხარისხს, ამიტომ პოემის კინო-ინტერპრეტაციის დროს პოემის კვალს ვერ ვაგვეყოთ.

როგორც ვთქვით ფილმი ინდოეთიდან უნდა დაიწყოს, ეს პოემის შინაარსს არ ეწინააღმდეგება და პირიქით სიუჟეტის განვითარებისათვის სასარგებლოცაა, რადგან ამით ამათვე გმირის მოგონებებით ვამოწყობა მოქმედების შეწყვეტა და უკან შემობრუნება მინიმუმამდე მცირდება.

არ არის აუცილებელი ფილმი ტარიელის ქაბულობით, მამის სიკვდილით, ნესტანის დაბადებით და სხვა ამ მომენტებით დაიწყოს. ამ ამბებზედ არც რუსთაველი ჩერდება დიდხანს, ტარიელის სიყრმის ამბავს მოქმედების შემდეგ კინო განვითარებისთვის ვადაამუშავებთ მნიშვნელობა არა აქვს.

ამბავი სინამდვილეში ტარიელისა და ნესტანის გამოხატურობით იწყება. ფილმიც აქედან უნდა დაიწყოს.

აქედან კი ჩვენ ვხვდებით მთელ რიგ ეპიზოდებს, სცენებს, როგორც არის მავალითა: ნესტანისა და ტარიელის პირველი შეხვედრა, ტარიელის ომი ხატიათის წინააღმდეგ, მისი დაბრუნება, ხვარაზმ-შის შვილის სასიძოთი მოწვევა, ტარიელის მიერ სასიძოს მოკვლა და ბოლოს ნესტანის დაკარგვა. ეს ეპიზოდები და სცენები იმდენად დასრულებული კინემატოგრაფიული მასალია, რომ მათი შეცვლა და ვადაცხება საქარო არ არის. მაგრამ როგორ უნდა განვითარდეს სიუჟეტი ტარიელისა და ნესტანის გამიჯნოების და ნესტანის დაკარგვის შემდეგ?

არსებითი დრამა ნესტანის დაკარგვით უნდა დაიწყოს. შემდეგ, ტარიელი ეძებს დაკარგულს ნესტანს. როგორ უნდა განვითარდეს ეს ძებნის მომენტები? რა კინემატოგრაფიული ხერხი უნდა ავირჩიოთ ამ მოქმედების განსავითარებლად? ჩვენი აზრით აქ მოქმედება პარალელური განვითარების პრინციპი უნდა ავირჩიოთ. მთავარ ვადაცხებულ ნესტანი, ტარიელი ეძებს მას და ამ ნიადაგზე შეიქმნეს მოქმედების დაძაბული მდგომარეობა.

